პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 6 სექტემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 207 (2250)

დღიური

- ამხ. ჩიჩერინი საზღვარგარეთ გაემგზავრა საექიმოდ.
- დააპატიმრეს რუმინეთის ყოფ. ვაჭრობის მინისტრი ტალენაუ.
- ბუდაპეშტში ჩავიდა საბჭ. კავშირის დელეგაცია ექიმთა საერთაშორისო კონგრესზე.
- ვენაში გაიხსნა მე-15 საერთაშორისო ბაზრობა.
- კაიესი უარს ამბობს მექსიკის პრეზიდენტობაზე.
- მოსკოვში გამოემგზავრა ცნობილი გერმანელი მწერალი ბერნგარდ კელერმანი.
- არხანგელსკში დაბრუნდა ყინულის მჭრელი „სედოვი“.

პარასკევს, 7 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია საქართველოს კომპარტიის (ბ)

თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება

დღის წესრიგში სდგას მოხსენება: კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგები — მომხსენებელი ამხ. მანუილსკი.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ამ.-კავკ. საკონტროლო კომისიის, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას, საკონტრ. კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები ბილეთებით, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას რაიკომებში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა სექტემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

სპეციალისტების როლი საბჭოთა მეურნეობის განვითარებაში

(საკავშირო ცაკის პრეზიდიუმისა და საკავშ. სახკომსაბჭოს თათბირის გამო)

მეცნიერებისა და წარმოების კავშირი ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოციალიზმის აღმშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის. სამეცნიერო მუშაკთა, ტეხნიკოსებისა და მეურნეობის შეთანხმებულ მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი სახალხო მეურნეობის მაღალ, სოციალისტურ რაციონალიზაციის საფუძველზე დაყენება. ამიტომ არის, რომ პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტეხნიკურ კადრების მომზადების საკითხს. და ეს მით უფრო, რომ ამ ფრონტზე ყველაფერი რიგზე არ არის.

ჩვენი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დარგი, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სექტორიდან, სპეციალისტ მუშაკების ნაკლებობას განიცდის. ამასთან ერთად, სპეციალისტების ის განსაზღვრული კადრიც კი, რომელიც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება, ხშირად ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას. აქ არის მთელი რიგი სხვადასხვა ხასიათის მიზეზებისა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაწილი ძველ სპეციალისტებიდან არ არის მომზადებული ახალი მშენებლობის და მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ის აღზრდილია სხვა სკოლაში, მას გავლილი აქვს საწარმოო სტაჟი სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობაში და, ბუნებრივად, ეძნელება ახალი აღმშენებლობის ამოცანების შეთვისება.

ამასთან ერთად, ტეხნიკა შეუჩერებელი ნაბიჯით მიდის წინ. ახალი აღმშენებლობა, ახალი წამოწყებანი, შესაფერისი ცოდნით შეიარაღებულ ხელმძღვანელებს მოითხოვს. ამიტომ კვალიფიციურ მომზადების მხრივაც ძველ ტეხნიკურ კადრებში ხშირად შეხვდებით ისეთ ელემენტებს, რომელნიც არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას.

ასეთ მდგომარეობაში ახალ კადრების მომზადების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. ამ მხრივ, თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ უკვე იწყება სათანადო მუშაობა. დღემდე ჩვენი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები ვერ უზრუნველჰყოფდნენ სახალხო მეურნეობას სათანადო ცოდნით შეიარაღებულ ტეხნიკური ძალებით. სკოლას არ ქონდა და ჯერ კიდევ არა აქვს გაბმული ორგანიული კავშირი მეურნეობასთან. უამისოდ კი ახალ სპეციალისტების მომზადების საქმე ვერ დადგება საღ ნიადაგზე. ტეხნიკური განათლების საქმე მოწყვეტილია წარმოებას, წარმოება ვერ იჩენს სათანადო მზრუნველობას ტეხნიკურ განათლების გაჯანსაღების საქმეზე.

ამ პირობებში, ე. ი. როცა ჩვენ ერთი მხრივ განვიცდით საჭირო სპეციალისტების ნაკლებობას და მეორე მხრივ ახალ ტეხნიკურ ძალების მომზადება სათანადოთ ვერაა დაყენებული, გაშალა ფრთები ეგრედწოდებულ ცრუ-სპეცობამ. ამ სენს, რომლისაგანაც ზარალობს ჩვენი მეურნეობა, თითქმის ყველგან შეხვდებით.

რა ზომები უნდა იქნას მიღებული იმ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რომელიც ჩვენ გვაქვს სახალხო მეურნეობის სპეციალისტებით უზრუნველყოფის ფრონტზე? საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ ამ საგანზე იქონია სპეციალური მსჯელობა და სათანადო პრაქტიკული მითითებანი მისცა ქვემდგომ ორგანოებს.

პირველყოვლისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არსებულ სპეციალისტთა კადრების რაციონალურად გამოყენებას. ამ მიზნით საჭიროა მათი არა მარტო საზოგადოებრივად, არამედ ტეხნიკურად გადამზადებაც კი. ჩვენი დროის ინჟენერი, აგრონომი, ტეხნიკოსი თუ სხვა სპეციალისტი, მხოლოდ მაშინ იქნება ღირსეული და საქმის სასარგებლო სპეციალისტი, როცა ის უშუალოდ დაუკავშირდება საბჭოთა საზოგადოებრივობას, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მასიურ ორგანიზაციების მუშაობაში. ეს მუშაობა ჩვენ, რასაკვირველია, მარტო ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საჭიროა სპეციალისტები პირდაპირ ჩაებნენ პროფესიონალურ კავშირების, კოოპერაციის, საბჭოების თუ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობაში. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება. მაგრამ, რაც მთავარია, სპეციალისტის საზოგადოებრივი მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს უმთავრესად მასასთან ტეხნიკურ თანამშრომლობაში, კოლექტიურ შემოქმედებაში.

ამას გარდა სპეციალისტებს უნდა შეუქმნათ ისეთი პირობები, რომ ისინი ტეხნიკური მომზადების მხრივ ერთ წერტილზე არ იყინებოდნენ, რომ შესაძლებლობა ექნეთ თვითგანვითარებაზე იზრუნონ. ამ მიზნით უნდა მოეწყოს სპეციალისტთა სისტემატიური მივლინებები საზღვარ-გარეთ, დიდ ქალაქებში და მნიშვნელოვან სამრეწველო პუნქტებში უნდა შეიქმნას სპეციალისტთა საქმიანი კლუბები, უნდა მოწესრიგებულ იქნას სათანადო ლიტერატურის გამოცემა-შემოტანის საკითხი და სხვა.

ამავე დროს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყრათ ახალი კადრების აღზრდის საქმეს. სკოლას ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარება მართებს. საჭიროა რადიკალური ხასიათის ღონისძიებების მიღება, რომ ჩვენმა სკოლამ მოგვცეს სახალხო მეურნეობისათვის მართლაც გამოსადეგი ტეხნიკური ძალები. საჭიროა სკოლისა და მრეწველობის, სკოლისა და სასოფლო-მეურნეობის შეთანხმებული მუშაობა. ამისათვის კი ერთ-ერთ მთავარ პირობას შეადგენს სათანადო მატერიალურ შესაძლებლობის გამონახვა. აქ ჩვენ მარტო სახელმწიფოს სალაროს იმედით ვერ დავრჩებით. მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის ცალკე დარგებმა და კოოპერაციამ, ყველა მათ, ვისი მუშაობაც უშუალოდ გრძნობს სპეციალისტების ნაკლებობის მავნებლობას, აქტიური, ორგანიზაციული და მატერიალური მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალი ტეხნიკური კადრების მომზადების საქმეში.

მხოლოდ ყველა ამ ღონისძიებათა ენერგიული გატარებით ჩვენ შევძლებთ სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხის მოგვარებას, როგორიცაა სპეციალისტების ნაკლებობა. ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობათაგანია იმისათვის, რომ საბჭოთა აღმშენებლობა არა თუ წარმატებით მიდიოდეს საზოგადოთ, არამედ ამავე დროს წინ უსწრებდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მეურნეობებს.

მთავარი ყურადღება პურის დამზადებას

პურის დამზადების საქმემ ახალი სასოფლო-სამეურნეო წლის პირველი ორი თვის განმავლობაში თავისი შედეგებით არ გაგვიმართლა ის იმედები, რომლებსაც ჩვენ მასზე ვამყარებდით. ორ თვეში—ივლისსა და აგვისტოში—დავამზადეთ 36.920.000 ფუთი, რაც დაახლოებით გეგმით ნავარაუდევ რაოდენობის მხოლოდ ნახევარს შეადგენს. ეს შედეგი თითქმის ორჯერ ნაკლებია იმაზე, რაც მივიღეთ პურის დამზადების უკანასკნელ სამ წელს იმავე პერიოდის განმავლობაში. ცხადია, გეგმის ეს შეუსრულებლობა საფუძვლად უდევს იმ სიძნელეს, რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ განვიცდით მომხმარებელი და ნედლეულის უმნიშვნელოვანესი რაიონების პურით მომარაგების საქმეში.

პურის დამზადების შედეგებმა პირველი ორი თვის განმავლობაში ნათლად გამოააშკარავეს ის ობიექტიური სიძნელენი, რომლებიც თან სდევდენ წელს პურის დამზადებასა და პურით მომარაგებას. ეს სიძნელენი გეგმის შეუსრულებლობის მეტად მნიშვნელოვანი მიზეზია. სიძნელეს წარმოადგენს, ჯერ ერთი, მოსავლის ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა—იგი ვოლგას საკმაოდ დაშორებულია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით; მეორე—პურის ნაგვიანევად მოსვლა სწორედ იმ რაიონებში, სადაც წელს ჩვენ ყველაზე მეტი მოსავალი გვაქვს; მესამე, როცა ჩვენ ახალი პურის დამზადებას შეუდექით, ძველის მარაგი საკმაოდ აღარა გვქონდა, რადგან ზაფხულშივე შევჭამეთ იგი; მეოთხე—პურის დამზადების ახალი კამპანიის დასაწყისშივე—ივლისისა და აგვისტოს პირველი ნახევრის განმავლობაში—თვალსაჩინოდ იქნა აწეული პურის ფასი, რასაც გლეხობის ზოგიერთ ფენებში არ შეეძლო არ გამოეწვია ერთგვარი მოლოდინი; მეხუთე: პურის ქვედა ბაზრების მოშლა ზოგიერთ სამხრეთ რაიონში არსებული მოუსავლიანობის გამო, აგრეთვე ის საგანგებო ზომები, რომელთა მიღება საჭირო შეიქმნა გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში პურის დამზადების დროს.

ბუნებრივია, რომ ეს მომენტები აფერხებდნენ პურის ახალი დამზადების განვითარებას, და თუ ჩვენ ორი თვის განმავლობაში მაინც მოვახერხეთ დაახლოებით 37 მილიონი ფუთის დამზადება, ეს გვიჩვენებს საღ ტენდენციებს პურის დამზადების საქმეში. წელს რომ პურის დამზადება საღ ტენდენციებს იჩენს და პურის დამზადების მთელ საქმეში რომ არ არსებობს ის ორგანიული უბედურება, რომელიც ზოგიერთ პანიკით შეპყრობილ ადამიანს ელანდებოდა, ამას ადასტურებს პურის დამზადების განვითარების ტემპი ხუთდღეულების მიხედვით, მეტადრე აგვისტოს განმავლობაში. პირველ ხუთდღეულში დამზადდა 1 970.000 ფუთი, მეორე ხუთდღეულში — 3 060.000 ფუთი, მესამეში — 3.970.000, მეოთხეში—5.860.000 ფუთი, მეხუთეში — 6.420.000 ფუთი, მეექვსეში—10.270.000 ფუთი, ამასთან ყოველ შემდგომ ხუთდღეულში პურის დამზადების ზრდას იწვევდა მზადების დაწყება ახალ რაიონებში. პირველ ხანებში პურის ამზადების თითქმის მთელი სიმძიმე (დაახლოებით 75 პროცენტი) დააწვა ჩრდილოეთ კავკასიას, მაგრამ მესამე ხუთდღეულთან ძლიერდება პურის დამზადება უკრაინაში, თვითეულ შემდეგ ხუთდღეულში იგი იზრდება და, ბოლოს, უახლოვდება მთელი დამზადებული პურის ერთ მესამედს.

მეხუთე და, მეტადრე, მეექვსე ხუთდღეულიდან თვალსაჩინოდ ძლიერდება ვოლგის მხრის, უმთავრესად, ქვემო მხრის როლი, ძლიერდება აგრეთვე როლი ყაზახსტანისა, რომელიც დღემდე, მიუხედავად დიდი მოსავლისა, პურს თითქმის არ იძლეოდა, ისევე, როგორც ციმბირი. პურის დამზადების ზრდის ანალიზიც კი,—რაიონებისა და კულტურების მიხედვით,—გვიდასტურებს, რომ დამზადების საქმე უეჭველად განვითარდება უახლოეს თვეებშივე, როცა ამ წლის ნაგვიანევი მოსავალი აიკრიფება და დაიფქვება არა მარტო სამხრეთ, არამედ ცენტრალურსა და აღმოსავლეთ რაიონებშიაც.

პურის დამზადების შედარებით საღი და ნორმალური (თუმცა შეგვიანებული) განვითარების მიუხედავად, ამ საქმის, ობიექტიურ სიძნელეთა გარდა, ემჩნევა აგრეთვე თვალსაჩინო სუბიექტიური დეფექტები და შეცდომები. აღნიშნულ ობიექტიურ დაბრკოლებათა ამის პირობებში ამ დეფექტებსა და შეცდომებს შეუძლიათ გააძნელონ ჩვენი ქვეყნის მომარაგება პურით. საქმე ის არის, რომ, ერთის მხრით, სხვადასხ. რაიონებში ხელოვნურად მალავენ მოსავლის ნამდვილ რაოდენობას და ამ გზით ქმნიან ერთგვარ შინაურ [illegible] ფონდებს. ბუნებრივია, რომ ეს გარემოება აძნელებს დამამზადებელი ორგანიზაციების მოქმედებას პურის ბაზარზე—პურის მიწოდებას ერთი რაიონებიდან მეორე რაიონებისათვის.

მეორეს მხრით, გაზეთების ცნობებისა და კორესპონდენციების მიხედვით, ხელახლა გაჩაღებულა კონკურენცია პურის მთავარ დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის, უმთავრესად, „სოიუზხლების“ ერთის მხრით და ცენტროსოიუზსა და „ხლებოცენტრს“ შორის მეორეს მხრით, ე. ი. დაწყებულა კონკურენცია სახელმწიფო და კოოპერატიულ პურის დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში კონკურენცია ღებულობს ისეთ მახინჯ ფორმებს, რომ იგი იწვევს არა მარტო პურის დამზადების განვითარების შენელებას და მეტს ზედნადებ ხარჯებს, არამედ აძნელებს აგრეთვე ახალი ფასების მტკიცედ განხორციელებას და ადგილობრივი ბაზრების მოწესრიგებას, უპირატესობას აძლევს პურის დამზადებაში კერძო პირს და ხელიდან აცლის სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს თაოსნობას ამ საქმეზე. ადგილობრივ ამ კონკურენციის მოსდევს გლეხების უკმაყოფილება, რამდენადაც ამ კონკურენციასთან დაკავშირებულია პურის რეალიზაციის გაძნელება. ალაგ-ალაგ კონკურენცია ღებულობს მეტის-მეტად შეუსაბამო ფორმებს, იწვევს ყოველგვარ ფორმალიზმს, ზედმეტ-მისვლა-მოსვლას, ლოდინს საგზაო ფულის, ქვითარების მისაღებად და სხვ. ორ მთავარ დამამზადებელ ორგანიზაციის მუხრუჭში მოქცეული გლეხი უმჯობესად სცნობს ჩააბაროს თავისი პური კერძო პირს, რომელთაგანაც საქმე უფრო მარტივად და სწრაფად კეთდება.

აღნიშნულია ისეთი შემთხვევები, როდესაც კოოპერაცია, პურის ჩამბარებლებზე გავლენის მოსახდენად, სცდილობს დააინტერესოს ისინი სამრეწველო საქონლის მიღებით. ამ ავადმყოფურ კონკურენციას საზღვარი უნდა დაედოს. ეკონომიურად ამას ბოლოს მოუღებს პურის შემდგომი გაძლიერებული მიტანა ბაზარზე, მაგრამ ამას გარდა საჭიროა, რომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და ადგილობრივმა ამსაკომებმა მიიღონ სხვადასხვა საორგანიზაციო ღონისძიებანი, რათა ძირიანფესვიანად აღმოთხვრას ამ კონკურენციის ყველაზე უფრო ბოროტი და მავნე ფორმები.

შემდეგ, ზოგჯერ ადგილი აქვს პურის დამზადების კამპანიის იძულებითი გატარების ავადმყოფურ რეციდივებს. ზოგ ადგილას აშკარა ან ფარული სახით მაინც მიმართავენ ხოლმე ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის მიერ უარყოფილი „საგანგებო ღონისძიებებს“, რასაც, რასაკვირველია, მეტად ცუდი შედეგები მოსდევს. შემჩნეულია [illegible] როდესაც გლეხებს უკრძალავენ მარცვლის დაფქვას, რითაც აიძულებს მიწაში ჩაყაროს იგი და არა საჭმელად მოიხმაროს, ხან ზოგ ადგილას პურის დაფქვის ნებას აძლევენ, მაგრამ შემდეგ ფქვილს ართმევენ. ალაგ-ალაგ ცალკე გუბერნიებს შორის ჯერ კიდევ მოქმედობენ გზის შემღობავი რაზმები და სწარმოებს მეზობელ გუბერნიებიდან და ოლქებიდან ჩამოტანილი პურის ჩამორთმევა მტკიცე დაბალ ფასებში, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე დამამზადებელი ორგანიზაციები ყველგან როდი იჩენენ სათანადო უნარს მოხერხებულად მიუდგნენ სოფლებს შორის პურის ბრუნვის მოწესრიგების საქმეს, ისინი ძალით აბრკოლებენ ამ ბრუნვას, რაც ხშირად საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა და არ უზრუნველჰყოფს ჩვენ დღევანდელ საჭიროებას—ადგილობრივი პურის ბრუნვის, რაც შეიძლება სწრაფ მოწესრიგებას და აღდგენას, რომ ამ გზით გაადვილებულ იქნეს საბაზრო პურის გატანა რაიონებს შორის საბრუნავად. ამგვარ გადამახინჯებებს ადგილი აქვს პურის ახალი ფასების გატარების პრაქტიკაში. ქვედა ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებიათ ჩვენი ფასების პოლიტიკის ძირითადი პრინციპი ფასების მტკიცედ დაცვა, რომელიც შეფარდებული უნდა იყოს პურის ფასების მთელი სისტემის მოქნილობასთან.

ყოველივე ეს დამახინჯება საშინლად აფერხებს პურის ახალი დამზადების საქმის განვითარებას. მრავალი ჩვენი საბჭოთა და პარტიული საშუალო და ქვედა ორგანო ჰფიქრობს, რომ საგანგებო ღონისძიებათა გაუქმება გულისხმობს იმას, რომ მათ მხრივ საჭირო აღარ არის რაიმე კონტროლი და დახმარება პურის დამზადების ნორმალური მსვლელობის განვითარებისათვის და ისინი აღარავითარ წინააღმდეგობას აღარ უწევენ ამ გადამახინჯებებს, რომელნიც ზემოაღნიშნულ პირობებში უკმაყოფილებას იწვევენ გლეხობაში, აძლიერებენ კერძო ვაჭრის როლს, აგვიანებენ პურის გატანას სოფლიდან და სხვ.

თავისთავად ცხადია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც თავის უკანასკნელ პლენუმზე დაადგინა გააუქმოს ყოველგვარი საგანგებო და იძულებითი ღონისძიება პურის დამზადების საქმეში, არ დაუშვებს, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა უყურადღებოთ დასტოვონ ასეთ ღონისძიებათა რეციდივები, მით უმეტეს, რომ, როგორც ამ წერილის დასაწყისში მოყვანილ ცნობებისაგან სჩანს, ამ ღონისძიებათა გამოყენებას არ ამართლებს არავითარი [illegible] მაინც სერიოზული ობიექტიური მიზეზი და პირობა. ის ჯანსაღი და დადებითი ტენდენციები, რომლებმაც თავი იჩინეს ახალი სასოფლო-სამეურნეო წლის პურის დამზადების განვითარების პროცესში, უნდა შეუფარდოს პურის დამზადების მოქნილ პოლიტიკასა და პრაქტიკას, სწრაფ და მკაფიო მანევრებს პურის ბაზარზე და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, პურის დამზადების გატარებისათვის აქტიური კონტროლისა და დახმარების გაწევას საბჭოთა და პარტიულ ორგანოების მთელი სისტემის მხრივ.

გადამახინჯებანი პურის დამზადების საქმეში გამოწვეულია უმთავრესად იმ გარემოებით, რომ საზოგადოებრივობა არ აქცევს ამ საქმეს სათანადო ყურადღებას, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ იჩენენ სათანადო სიფხიზლეს. ისინი არ ებრძვიან კონკურენციას და საგანგებო ღონისძიებათა რეციდივებს, არ უწევენ სათანადო წინააღმდეგობას კულაკებს და კერძო ვაჭრებს იმისთვის, რომ მათ ვერ შესძლონ ჩვენი შეცდომების გამოყენება თავიანთ სასარგებლოდ.

კულაკს, კერძო ვაჭარს და პურის დამამზადებელ მოხელეს საშუალება ეძლევათ ჩაშალონ საქმე, თუ ჩვენი ორგანოების მთელი სისტემა მასიურ კონტროლს არ გაუწევს მათ.

ამ მასიურ მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად, სადაც ყველაზე სიმახინჯეს დიდი უარყოფითი ეფექტი მოსდევს. ცხადია, სწორედ აქ უნდა დაუპირისპიროთ მათ მაქსიმალური აქტივობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა, მეტადრე [illegible] უჯრედებისა, მოჯამაგირეთა ორგანიზაციებისა, გლეხკორებისა, მუშკორებისა და შვებული მუშებისა, რომელნიც სოფლად მიდიან და უკან ბრუნდებიან. მთელი ჩვენი მასიური მუშაობა უნდა მოვახმაროთ პურის დამზადების საქმეს. ეს საქმე უნდა მოექცეს არა მარტო სახელმწიფოებრივი, არამედ საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში. მხოლოდ ამ პირობებში განვითარდება სრულიად ნორმალურად პურის დამზადების საქმე და წარმატებით დავძლევთ იმ ობიექტიურ სიძნელეებს და დაბრკოლებებს, რომლებიც გვხვდება ამ დამზადების გზაზე.

„პრავდა“, 5 სექტემბერი.

გაიხსნა ინგლისის პროფკავშირთა კონგრესი

ბურჟუაზიული პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს გენსაბჭოს რეფორმისტული პოლიტიკის გამო

ჩან-კაი-შის მანიფესტი ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

ინგლისის პროფკავშირთა კონგრესი

სვონსი, 4 სექტემბერი. 3 სექტემბერს გაიხსნა ინგლისის პროფკავშირთა კონგრესი. კონგრესზე გამოცხადდა 640 დელეგატი — პროფკავშირთა 3.374.000 წევრის წარმომადგენელი. შარშანდელთან შედარებით, პროფკავშირთა წევრებს 289.000 კაცი დააკლდა.

თავმჯდომარე **ბენ ტერნერი** გამოვიდა ვრცელი მისასალმებელი სიტყვით, რომელშიაც შეეხო ორ საკითხს: მშვიდობიანობას მრეწველობაში და პროფკავშირთა შინაურ ურთიერთობას. ტერნერმა მიაფუჩეჩა მნიშვნელობა კუკის კამპანიისა მონდის ჯგუფთან მოლაპარაკების წინააღმდეგ და განაცხადა: „გენერალური საბჭო მსხვერპლი გახდა მისი მოქმედების შემცდარი შეფასებისაო“.

შემდეგ ტერნერი შეჩერდა უმუშევრობის საკითხზე. მან სთქვა: როგორც უახლოესი ღონისძიება, უნდა გამოვიყენოთ ბრიტანეთის იმპერიის უთვალავი ადგილები „კოლონიების მოსაწყობად უმუშევართათვისო“-ო. უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესების მეორე ღონისძიებად ტერნერს მიაჩნია 8 საათის სამუშაო დღის შემცირება მაღაროებში და პენსიების გადიდება.

ომის საფრთხის შესახებ ტერნერმა განაცხადა: „ინგლისის მთავრობამ ჟენევაში გაგზავნა ისინი, ვინც ომის გუნებაზეა; მათ ამოცანას შეადგენს—ხელი შეუშალონ რუსეთიდან და ამერიკიდან მომდინარე ყოველგვარ მოძრაობას, რომელსაც შეუძლია მშვიდობიანობამდე მიგვიყვანოს“.

შემდეგ ტერნერი შეეხო ინტერნაციონალურ ურთიერთობას მუშათა პროფესიონალურ მოძრაობაში და სთქვა: „გენერალურმა საბჭომ გააკეთა ყველაფერი, რომ რუსები ამსტერდამის ინტერნაციონალში შეეყვანა. ეხლა იმედი მაქვს, რომ რუსები გამოიჩენენ შერიგების სურვილს და პრაქტიკულ უნარს, რასაც მოჰყვება მათი თანამშრომლობა მუშათა სხვა ორგანიზაციებთან“. (ადს)

სვონსი, 4 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის დილის სხდომაზე 4 სექტემბერს **ელსბერი** (მკერავთა კავშირი) შეეცადა, გენსაბჭოს ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით, გაეხსნა დისკუსია გენსაბჭოს მიერ მონდის ჯგუფთან წარმოებული მოლაპარაკების საკითხზე, მაგრამ თავმჯდომარემ არ დაუშვა დისკუსია და განაცხადა, რომ ეს საკითხი განხილული იქნება მაშინ, როცა, დღის წესრიგის თანახმად, განვიხილავთ სათანადო რეზოლიუციებსო. კონგრესმა მიიღო წესდების ხასიათის რეზოლიუცია გენსაბჭოს და ცალკე პროფკავშირების შორის ურთიერთობის შესახებ. რეზოლიუცია გენსაბჭოს ფაქტიურად ანიჭებს კონტროლის უფლებას ამა თუ იმ კავშირის მოქმედებაზე იმ შემთხვევაშიაც, თუ პროფკავშირი ასეთი კონტროლის წინააღმდეგი იქნება. რეზოლიუცია გენსაბჭოს ანიჭებს აგრეთვე კავშირიდან დროებითი ან საბოლოო გამორიცხვის უფლებას.

რეზოლიუციის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს **ტომ კინომ** (მეავეჯეთა კავშირი) და **ლემერმა,** რომლებმაც აღნიშნეს, რომ რეზოლიუცია მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციონურ მუშების წინააღმდეგ. მეავეჯეთა კავშირის წარმომადგენელმა **კოენმა** შეიტანა წინადადება, რომ უარყოფილ იქნეს გენსაბჭოს ანგარიშის ის ნაწილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ უმუშევართა ნაციონალური კომიტეტი ინგლისის პროფმოძრაობას არ ეკუთვნისო. კოენი შეეკითხა: ხომ არ იყენებენ კომუნისტურ საფრთხობელას იმისათვის, რათა უჩვენონ [illegible], რომ პროფმოძრაობაში რევოლუციონური მიმდინარეობანი არ არსებობენ. კოენის წინადადება უარყოფილი იქნა.

კონგრესის კულისებში ყოველგვარ ზომას მიმართავენ იმისათვის, რომ კუკი გენსაბჭოში არ აირჩიონ.

მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ძალღონით სცდილობენ არ დაუშვან რევოლიუციონური ფრთის წარმომადგენელთა გამოსვლა კონგრესზე, კონგრესის ოთხმა წევრმა, რომლებიც უმცირესობის რევოლიუციონურ მოძრაობას ეკუთვნიან, კამათში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვები წარმოსთქვეს.

სვონსი, 5 სექტემბერი. დღეს პროფკავშირთა კონგრესის დილის სხდომაზე განიხილეს მანქანების საამშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირის რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ, კაპიტალის გაერთიანების გამო ტრესტების სახით, მუშათა კლასმა უნდა შექმნას უფრო მძლავრი პროფკავშირეული ორგანიზაციები. რეზოლიუცია ავალებს გენერალურ საბჭოს შექმნას კომისია მუშათა მდგომარეობის გამოსარკვევად მრეწველობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგებში და შეიმუშაოს პროფესიონალური მოძრაობის ფორმების რეორგანიზაციის გეგმა. რეზოლიუციის განხილვის დროს მანქანების საამშენებლო მრეწველობის კავშირის წარმომადგენელმა ტანერმა მკაცრი კრიტიკა გაუკეთა გენერალურ საბჭოს მუშაობას. კამათის შემდეგ რეზოლიუცია მიიღეს ერთი მილიონი და 807 ათასი ხმის უმრავლესობით ერთ მილიონ და 731 ათასი ხმის წინააღმდეგ. (კენჭის ყრა სწარმოებდა მანდატებით). საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი იმ რეზოლიუციის გარშემო, რომელიც ავალებს გენერალურ საბჭოს მოახდინოს „გამთიშველ ელემენტების მუშაობის გამოკვლევა პროფესიონალურ მოძრაობაში“ (ეს რეზოლიუცია მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ). (ადს).

აბნეული ლაყბობა

სვონსი, 4 სექტემბერი. უმცირესობის მოძრაობის ბელადმა გარი პოლიტმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ტერნერის სიტყვა არ შეიცავს არც ერთ სახელმძღვანელო დირექტივას მუშათა მოძრაობის მწვავე პრობლემების გარკვევისათვისო.

„თავმჯდომარის მისასალმებელი სიტყვა, — განაცხადა პოლიტმა, წარმოადგენდა იმ მოხუცი კაცის აბნეულ ლაყბობას, რომელსაც მუშათა მოძრაობის განვითარების პირობები წარმოდგენილი აქვს იმგვარად, როგორც ეს იყო 60 წლის წინადო. (ადს)

უმუშევართა დემონსტრაცია

სვონსი, 4 სექტემბერი. იმ შენობის წინ, სადაც კონგრესის სხდომები იმართება, მოხდა დემონსტრაცია უმუშევრებისა, რომლებმაც სამხრეთ უელსის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ. დემონსტრაცია მოაწყო უმუშევართა ნაციონალურმა კომიტეტმა. პოლიციამ დიდ ძალებს მოუყარა თავი იმისათვის, რომ უმუშევრებისათვის ნება არ მიეცათ—შეჭრილიყვნენ კონგრესის სხდომის დარბაზში.

სიტყვები წარმოსთქვეს ტომ მანმა, ხანინგტონმა და პოლიტმა. უმუშევართა მიერ არჩეული დეპუტაცია კონგრესზე დაშვებულ იქნა იმ პირობით, რომ იგი „კონგრესს არ წაუყენებს არავითარ ახალ თვალსაზრისს“. (ადს)

ბურჟუაზია კმაყოფილია რეფორმისტების ღალატით

ლონდონი, 4 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის გახსნასთან დაკავშირებით, ინგლისის ბურჟუაზიული პრესა სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს გენერალური საბჭოს რეფორმისტული პოლიტიკის გამო.

რეაქციონური „მორნინგ პოსტი“ ესალმება ბენ ტერნერის და სმიტის პოლიტიკას და მოუწოდებს მათ—„კიდევ უფრო გადამჭრელი ზომები მიიღონ“ მემარცხენე უმცირესობის წინააღმდეგ.

მეორე კონსერვატიული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ აღიარებს „ტერნერის თვალსაჩინო მუშაობას მრეწველობაში მშვიდობიანობის დასამყარებლად“ (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩან კაი-შის განცხადება

შანხაი, 4 სექტემბერი. ჩან კაი-შიმ გამოაქვეყნა განცხადება ჩინეთის საერთო მდგომარეობის შესახებ და ამავე დროს დაგზავნა მანიფესტი, რომელიც შეეხება მდგომარეობას გომინდანის შიგნით და იმპერიალისტების—ჩვენი ლიტიკურ მდგომარეობას.

ჩან კაი-ში კატეგორიულად უარჰყოფს ფრაქციების არსებობას გომინდანში. ხმებს ჯგუფების შექმნის შესახებ, მისი სიტყვით, ავრცელებენ კომუნისტები, რომელთაც სურთ სახელი გაუტეხონ ეროვნულ მოძრაობასო.

„გომინდანი,—აცხადებს ჩან კაი-ში,—მთლიანია იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებს კონტრევოლიუციონერების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის შიგნით და იმპერიალისტების—ჩვენი გარეშე მტრების — წინააღმდეგ. თავის თავად ცხადია, რომ არ შეიძლება ადამიანები ერთნაირად ფიქრობდნენ და ერთნაირ იდეებს აღიარებდნენ. მიუხედავად ამისა სავსებით შესაძლოა თანამშრომლობის უზრუნველყოფა იმ მიზნით, რომ განხორციელებულ იქნეს სუნ იატ-სენის სამი სახალხო პრინციპი“.

ჩან კაი-ში მკაცრად აკრიტიკებს ჩან გუნ-ბოს საქციელს და ბრალს სდებს მას, რომ იგი „კანტონში დახმარებას უწევდა კომუნისტებს“. ჩან კაი-ში მაღალფარდოვანი სიტყვებით იხსენიებს უ-ცზე-გუ-ს და ამბობს, რომ იგი „გომინდანის ერთ-ერთი დამაარსებელია და მას შეგნებული აქვს კომუნისტებთან მედგარი ბრძოლის აუცილებლობა; იგი ღირსია პარტიის ყოველი წევრის პატივისცემისა“. ჩან კაი-ში იმედს გამოსთქვამს, რომ სამხედრო ლიდერების დახმარებით „კომუნისტების მოსპობა შესაძლებელი იქნება სამი თვის განმავლობაში“.

ჩან კაი-ში მანიფესტში იმეორებს ჩვეულებრივ ცილისწამებას კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც განცხადება, ისე მანიფესტი ხაზ გასმით აღნიშნავს იმის საჭიროებას, რომ გომინდანში დაცულ უნდა იქნას მთლიანობა, რომელიც „წინასწარი პირობაა რევოლიუციის წარმატებით დამთავრებისათვის“. (ადს).

ბაი ცზუნ-ჩის პირადი ხელმძღვანელობით

პეკინი, 4 სექტემბერი. ბაი ცზუნ-ჩი ჩამოვიდა ტიან-ცზინში, რომ უხელმძღვანელოს კამპანიას ჩჟილისა და შანდუნის ჯარების წინააღმდეგ. პეკინიდან წასვლის წინ ბაი ცზუნ-ჩიმ ინახულა სახელმწიფოთა წარმომადგენლები და დაარწმუნა ისინი, რომ უცხოელთა ქონება და სიცოცხლე დაცული იქნება (ადს).

სამხრეთის ჯარის გამარჯვება

პეკინი, 4 სექტემბერი. იუწყებიან, რომ სამხრეთის ჯარმა დაიკავა ლუნკოუ, ტუნჩოუ და ჩიფუ. იაპონიის ორი გამანადგურებელი ცინდაოდან ლუნკოუში გაემგზავრა. ჩიფუში სდგას იაპონიის ორი გამანადგურებელი. (ადს).

საბჭოთა კავშირის 15 მოქალაქის საქმის გარჩევა

პეკინი, 4 სექტემბერი. გაზეთებში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის იმ 15 მოქალაქის დამცველის — დოქტორ ფოკსის — განცხადება, რომლებიც 17 თვეა დაპატიმრებულნი არიან პეკინში. როგორც დოქტორ ფოკსი იუწყება, ნანკინიდან მიღებულ იქნა განკარგულება საქმის გარჩევის განახლების შესახებ. ფოკსის სიტყვით, „ნანკინის უმაღლეს სასამართლოს მოსამართლეებს არ სურდათ დაპატიმრებულთა გასამართლება, ვინაიდან მათ არ შეეძლოთ ბრალდების დამტკიცება, მაგრამ ვერც განთავისუფლებას ბედავდნენ, რადგან ჩან-ძო-ლინისა ეშინოდათ. ნანკინის მთავრობის განკარგულებით, ხელ ახლა იწყება საქმის გარჩევა და რამდენიმე დღის შემდეგ სიმართლე, ალბად გაიმარჯვებს“. (ადს)

რუს თეთრგვარდიელთა გადასახლება

ვარშავა, 4 სექტემბერი. პოლონეთიდან 18 რუს ემიგრანტის გადასახლების გამო, ფილოსოფოსოვის გაზეთ „ზა სვობოდუ“-ში იგონებს, რომ წარსული წლის აგვისტ. 12 გადასახლებული ემიგრანტი თითქმის ერთ თვეს იჯდა საპყრობილეში და არც ერთმა სახელმწიფომ არ მისცა მათ შესასვლელი ვიზა. ეხლაც, — ფილოსოფოსოვის სიტყვით, — იგივე ისტორია მეორდება. „კვლავ იწყება საქმის დაუსრულებლად გაჭიანურება, რაიც აშკარად ამტკიცებს გადასახლების, როგორც რეპრესიული ზომის, მიზანშეწონილობას“.

ფილოსოფოსოვის ეს განცხადება ამტკიცებს, რომ გადასახლებულ ემიგრანტებს მაინც აქვთ იმედი დარჩნენ პოლონეთში მას შემდეგ, რაც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ვიზას ვერ მიიღებენ რომელსამე სახელმწიფოსაგან. (ადს)

კეშენდენს არ ენდობიან

ლონდონი, 4 სექტემბერი. ჩემბერლენის სერიოზული ავადმყოფობის გამო, ხმა დადის, რომ იგი პოლიტიკურ მუშაობას ვეღარ დაუბრუნდება. შეიძლება არჩევნებამდე საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობა კეშენდენმა შეასრულოს.

პრესის ნაწილი შეშფოთებულია ინგლისის პოლიტიკის ახალი კურსით, რომელიც მიმართულია ანტანტის აღდგენისაკენ. ამ განწყობილებას აძლიერებს უნდობლობა კეშენდენისადმი. მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წრეებში მოითხოვენ—თვალყური ადევნონ კეშენდენის პოლიტიკას, რადგან იგი შეურიგებელი მტერია საბჭოთა კავშირისაო. (ადს).

გერმანის პროფკავშირთა ყრილობა

„სკანდალი, რომლის მიფუჩეჩებაც შეუძლებელია“

ბერლინი, 4 სექტემბერი. 3 სექტემბერს კომპარტიამ ჰამბურგში მიტინგი მოაწყო. მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოცხადებულია მკაცრი პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ყრილობაზე არ დაუშვეს კომუნისტური პრესის წარმომადგენლები, მათ შორის მოსკოვის გაზეთის „ტრუდ“-ის წარმომადგენელი. ამ გარემოებას რეზოლიუცია უწოდებს „სკანდალს, რომლის მიფუჩეჩება შეუძლებელია“, და პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ სახალხო მეურნეობის მინისტრს, ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის წარმომადგენელს, საშუალება მიეცა მისალმებოდა კონგრესს, ხოლო მუშათა დელეგაცია და ომის მსხვერპლთა კავშირის დელეგაცია კონგრესზე არ დაუშვეს.

რეზოლიუციაში ნათქვამია: ეს „აშკარა გეზია პროფკავშირებში განხეთქილების ჩამოსაგდებათ, ეს სოციალ-დემოკრატების ჯავშნოსანი პოლიტიკის მეორე მხარეა“. (ადს)

ლენინის წერილი ამხ. მოლოტოვისადმი *)

პოლიტიკური მოხსენების გეგმის შესახებ პარტიის მე-11-ე ყრილობისათვის

მოსკოვი, 30 აგვისტო. ქვემოდ მოყვანილი დოკუმენტი, რომლის ორიგინალიც ინახება ლენინის ინსტიტუტის არქივში, შედის მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ შეგროვილ მასალაში. ამ მასალას ინსტიტუტი ამზადებს „ლენინის მერვე კრებულისათვის“. ამავე კრებულში შევა წერილში აღნიშნული მიმოწერა შრომისა და თავდაცვის საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

დოკუმენტი დაწერილია ლენინის მიერ შავი მელნით დახაზული ქაღალდის ორ ფურცელზე (სამ გვერდზე), თითქმის შეუსწორებლად და წაუშლელად ტექსტში.

ლენინის ინსტიტუტი

23 მარტი, 1922 წ.

„ამხანაგო მოლოტოვ!

გთხოვთ გადასცეთ ცეკას პლენუმს:

1. ჩემი შუამდგომლობა—ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულ ვიქნე პლენუმზე მონაწილეობისაგან (პლენუმის სხდომებზე დასწრებასაც და ყრილობაზე მოხსენების გაკეთებასაც მე ვერ შევსძლებ).

2. თუ საჭირო შეიქნა ჩემი მოსვლა პლენუმზე მოხსენების ქვემომოყვანილი გეგმის გამო ახსნა-განმარტების მისაცემად, მე უეჭველად შემიძლია მოსვლა და მოვალ 2—3 საათის შემდეგ, როცა გამომიწვევენ.

3. ყრილობაზე ცეკას პოლიტმოხსენების ჩემი გეგმა ასეთია: მთავარ ნაწილში განმეორება, ხოლო ზოგიერთ პუნქტში განვითარება იმისა, რაც ვსთქვი ჩემს სიტყვაში მელითონეების ყრილობაზე 1922 წლის 6 მარტს[1]). სულ მოკლედ გენუის შესახებ[2]). უფრო დაწვრილებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე და „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ ცნებაზე.

უკან დახევის (ეკონომიური) შეჩერება და ძალთა გადაჯგუფების ამოცანა. გაფრთხილება ბურჟუაზიის მხრივ, რომელიც „სმენოვეხელ“ უსტრიალოვის[3]) პირით აცხადებს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის ბოლშევიზმის არა „ტაქტიკა“, არამედ „ევოლიუცია“.

უმთავრესი, რაც ჩვენ გვაკლია, არის კულტუროსნობა და მართვა-გამგეობის ცოდნა. ამისი ილიუსტრაცია მცირე მაგალითებით. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეკონომიურად და პოლიტიკურად სავსებით უზრუნველჰყოფს იმის შესაძლებლობას, რომ სოციალისტურ ეკონომიკას საძირკველი ჩაუყაროთ. საქმე „მხოლოდ“ პროლეტარიატის და მისი ავანგარდის კულტურულ ძალებშია.

იმის შესახებ, რაც ჩვენმა რევოლიუციამ განუყრელად მოიპოვა, და იმის შესახებ, რაც მან ვერ დაამთავრა.

ინტერვენციის შესაძლებლობა, ფინანსიური კრიზისის საფრთხე. „შესვენების“ გამოყენება: მუშაობის ცენტრის გადატანა ხალხის შერჩევაზე და ფაქტიური შესრულების შემოწმებაზე.

შეუსაბამობა როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ სიღატაკისა და იმ ამოცანათა სიდიადის შორის, რომელთა განხორციელება უკვე დაიწყო.

მოხსენების დასამატებლად აღინიშნოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ორი მოადგილის როლი; ჩემი მიმოწერა ამის შესახებ ა. დ. ციურუპასთან 1922 წლის ბოლოდან; დებულება, რომელსაც ამჟამად სამნი ვამუშავებთ (პლიუს რიკოვი) და რომელიც შეეხება მუშაობის ახალ ნიადაგზე დაყენებას — შესრულების რაც შეიძლება მეტი შემოწმებით.

განთავისუფლებულ იქნას სახალხო კომისართა საბჭო წვრილმან საქმეებისაგან; უფრო სისწორით გაიმიჯნოს მისი ფუნქციები შრომისა და თავდაცვის საბჭოს და მცირე სახალხო და მცირე სახკომსაბჭოს ფუნქციებისაგან. აწეულ იქნას სახალხო კომისართა საბჭოს ავტორიტეტი იმით, რომ მის მუშაობაში ჩაბმულ იქნან ხელმძღვანელი ამხანაგები, სახალხო კომისრები, და არა მარტო მათი მოადგილეები.

ამასთან დაკავშირებით და თანახმად კალინინის მიერ არა ერთხელ გაკეთებული სიტყვიერი განცხადებისა და აგრეთვე ენუქიძის ამასთანავე დართულ წერილობითი ცნობისა[4]), ცეკას სახელით წინადადება მიეცეს ყრილობას, მოიწონოს როგორც ზემოთმოყვანილი გეგმა, ისე სრ. რუსეთის ცაკის მოწვევა უფრო ხანგრძლივი სესიებით კანონმდებლობის ძირითადი საკითხების დასამუშავებლად და სახალხო კომისარიატებისა და სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის სისტემატიური კონტროლის გასაწევად.

ბოლოს, საჭიროა უფრო სისწორით გაიმიჯნოს პარტიისა (და მისი ცეკას) და საბჭოთა ხელისუფლების ფუნქციები; გადიდებულ იქნას საბჭოთა მუშაკებისა და საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა, ხოლო პარტიას დარჩეს ყველა სახელმწიფო ორგანოების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, საჭირო არ არის ძალიან ხშირი, არარეგულიარული, და ზოგჯერ წვრილმანი ჩარევა, როგორც ეხლა ხდება.

გამომუშავებულ იქნას სათანადო რეზოლიუციის პროექტი პარტიის ყრილობის დასამტკიცებლად.[5])

4. ვსთხოვ ცეკას პლენუმს, დანიშნოს დამატებითი მომხსენებელი ცეკადან, ვინაიდან ჩემი მოხსენება ერთობ ზოგადია. გარდა ამისა, მე სავსებით არა ვარ დარწმუნებული, რომ შევსძლებ ამ მოხსენების წაკითხვას; უმთავრესი კი ის არის, რომ პოლიტბიუროს მიმდინარე მუშაობას მთელი თვეებით ჩამოვრჩი.

კომუნისტური სალამით **ლენინი.**

---

*) „კომუნისტი“ №202-ში უკვე იყო მოთავსებული ლენინის ეს წერილი ამხ. მოლოტოვისადმი. ვინაიდან პირველ წერილში გაიპარა კორექტურული შეცდომები და, გარდა ამისა, მიღებულია მოსკოვის გაზეთების ის ნომრები, სადაც ეს წერილი მოთავსებულია უფრო სრულად და სათანადო განმარტებების დართვით, განმეორებით ვბეჭდავთ მას. **რედ.**

[1]) იხ. ვ. ლენინის თხზულებათა კრებული, ტ. XVIII, ნაწ. 2, გვერ. 5—17.

[2]) ნაგულისხმევია 1922 წ. აპრილში გენუაში (იტალია) ევროპის სახელმწიფოების მიერ მოწვეული კონფერენცია. კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა ყველა ის საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო ევროპის მეურნეობის აღდგენასთან იმპერიალისტური ომის შემდეგ. საბჭოთა რუსეთმა მონაწილეობა მიიღო ამ კონფერენციაში, ის კონფერენციაზე წავიდა „პრაქტიკული მიზნით—გაეფართოვებია ვაჭრობა და შექმნა ისეთი პირობები, რომლის დროსაც იგი ყველაზე უფრო წარმატებით და ფართოდ განვითარდებოდა“ (ლენინი). გენუის კონფერენციის მთავარ საკითხად რუსეთის საკითხი გადაიქცა, კერძოდ, საკითხი უცხოელთა საკუთრებისა და რუსეთის ძველი ვალების ცნობის შესახებ. უცხო სახელმწიფოთა ცდამ, იძულებული გაეხადათ რუსეთი შეეცვალა საკუთრების სისტემა რუსეთში და ეცნო ძველი ვალები,—უშედეგოდ ჩაიარა. რუსეთის დელეგაციამ (ჩიჩერინის მეთაურობით) ეს პირობები უარჰყო, და შეთანხმება აღარ მოხდა.

[3]) ნ. უსტრიალოვი—„სმენოვეხოველების“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი. ხსენებული მიმდინარეობა რუს თეთრგვარდიელ ინტელიგენციაში 1921 წელს ჩაისახა. ინტელიგენცია ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში ხედავდა ევოლიუციას კომუნიზმიდან კაპიტალიზმისაკენ და ძველი ბურჟუაზიულ ურთიერთობათა აღდგენისაკენ, ამიტომ იგი საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობის მომხრე იყო.

[4]) ა. ს. ენუქიძის წერილი 1922 წლის 21 მარტის თარიღით. წერილი ინახება ლენინის ინსტიტუტში. მასში დასახულია სრ. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის გეგმა და აგრეთვე გეგმა საკავშირო ცაკის სესიების მუშაობისა იმ ძირითადი კანონების გამოსამუშავებლად, რომლებიც ადგილობრივ სამეურნეო მშენებლობას შეეხებოდნენ.

[5]) ლენინის ყველა ზემოხსენებული წინადადება შევიდა მე-XI ყრილობის იმ რეზოლიუციაში, რომელიც გამოტანილ იქნა ც. კ. ანგარიშის გამო.

ახალგაზრდ. კომინტერნის V კონგრესი

მოსკოვი, 5 სექტემბერი. ახალგაზრდათა კომინტერნის მე-V კონგრესზე 4 სექტემბერს დაიწყო კამათი ამხ. ხითაროვისა და გორკინის მოხსენებათა გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის კომკავშირის მდივანმა ამხ. ბლენკლემ და ინგლისის კომკავშირის მდივანმა ამხ. რასტმა. შემდეგ გამოვიდნენ ამხ-ბი ბოტო (იტალია), ფირნბერგი (ავსტრია), კროსო (რუმინეთი) და საიკინი (ლენინგრადი).

საღამოთი კონგრესს მიესალმა ნიჟნი-ნოვგოროდიდან ჩამოსული დელეგაცია. დელეგაციამ რადიო - მიმღები გადასცა ჩეხოსლოვაკიის კომკავშირს, რომელსაც იგი შეფობას უწევს.

შემდეგ ახალგაზრდათა კომინტერნმა მოისმინა დონეცის აუზის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის დელეგაციის მისალმება.

ახალგაზრდათა კომინტერნს დაესწრო მოსკოვში ჩამოსული პირველი ექსკურსია საფრანგეთის, შვეციის, ავსტრიის, გერმანიის და ჩეხოსლოვაკიის კომკავშირის აქტივისტებისა. ექსკურსიის წარმომადგენელმა მისალმების შემდეგ აცნობა კონგრესს, რომ მათი ჩამოსვლის მიზანს შეადგენს მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობის შესწავლა, აგრეთვე შესწავლა იმისა, თუ რა წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა კავშირში პარტიამ, კომკავშირმა და პროფკავშირმა.

ექსკურსიის მონაწილემ, ვედინგის მუშათა რაიონის (ბერლინში) წარმომადგენელმა მისალმების შემდეგ, გადასცა კონგრესს დროშა ჩინეთის გმირულ კომკავშირისთვის. (ადს).

ერთა ლიგის სესია

მსურველი არ აღმოჩნდა

ჟენევა, 4 სექტემბერი. თუმცა ერთა ლიგის პლენუმის თავმჯდომარემ ორჯერ მოუწოდა დელეგატებს ჩაწერილიყვნენ მონაწილეობის მისაღებად იმ კამათში, რომელიც უნდა გამართულიყო გენერალური მდივნის მოხსენების გამო, მაგრამ არც ერთმა დელეგაციამ არ დაასახელა ორატორი. ამ გარემოებამ უხერხული მდგომარეობა შექმნა. გაისმა სიცილი. თავმჯდომარე იძულებული გახდა სხდომა გადაედო. მან განაცხადა, პლენუმი არ შესდგება, თუ საღამოსაც არავინ ჩაეწერაო.

მოწვეულია პლენუმის პრეზიდიუმი მუშაობის წესრიგის განსახილველად.

კელოგის პაქტი და საბჭოთა კავშირი

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა

ბერლინი, 4 სექტემბერი. ამსტერდამიდან მიღებული ცნობებით, ჰოლანდიის პოლიტიკური წრეები აცხადებენ: ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი პაქტს შეუერთდა, ამ პაქტის ისტორიაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

სტოკჰოლმი, 4 სექტემბერი. დანიის გაზეთი „ბერლიგნსკე ტიდენდე", ეხება რა იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი კელოგის ხელშეკრულებას შეუერთდა, კითხულობს:

„შეუძლია თუ არა ვაშინგტონის მთავრობას ამ პირობებში სთქვას, რომ მან არ სცნო და არ სცნობს საბჭოთა მთავრობას? მართალია, ამერიკელებმა საფრანგეთს მიანდვეს საბჭოთა მთავრობის მიწვევა, მაგრამ განა ცნობას არ ნიშნავს ის, რომ ამერიკა და საბჭოთა კავშირი ერთი და იგივე ხელშეკრულებით არიან დაკავშირებულნი?"

ნორვეგიულ გაზეთს „არბეიდერ ბლადეტ"-ს საბჭოთა მთავრობის თანხმობა პაქტის მიღებაზე მიაჩნია უდიდეს ისტორიულ ფაქტად. ამ ფაქტმა, გაზეთის სიტყვით, ჩააბა საბჭოთა კავშირი იმ ხელშეკრულებრივი ურთიერთობის სისტემაში, რომელიც არსებობს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებს შორის. აქედან, გაზეთის სიტყვით, ლოღიკურად გამომდინარეობს, რომ „სხვა სახელმწიფოებმა თანასწორუფლებიან ქვეყნად უნდა ჩასთვალონ საბჭოთა კავშირი. უნდა შესწყდეს ყოველივე ლაპარაკი დე-ფაქტო და დე-იურე ცნობის შესახებ და დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან უსათუოდ უნდა განახლდეს" (ადს).

ესტონეთი უერთდება პაქტს

რევალი, 4 სექტემბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ესტონეთი უერთდება კელოგის ხელშეკრულებას.

ამერიკის პრესის კომენტარიები

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. რეაქციონური რესპუბლიკანური ორგანო „ვაშინგტონ პოსტი" კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა მთავრობის პასუხს იმ მიწვევაზე, რომელიც მან მიიღო კელოგის ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად; გაზეთი სწერს:

„თუმცა ლიტვინოვის ნოტა ისეთ დებულებებს შეიცავს, რომელთა შესახებაც დავა შეიძლება; მაგრამ მაინც უნდა მივესალმოთ საბჭოთა კავშირის ხელის მოწერას ხელშეკრულებაზე. საჭირო არ არის ხელშეკრულებაში შევიტანოთ მუხლები ინტერვენციების, ბლოკადების, სამხედრო ოკუპაციის და შეიარაღების გადიდების წინააღმდეგ. ეს რომ ხელშეკრულებაში შეგვეტანა, ეს საბაბს მისცემდა ბევრ სახელმწიფოს არ მოეწერათ ხელი ხელშეკრულებაზე, რომელიც განსაზღვრულია ერთად-ერთი წინადადებით; ეს წინადადებაა უარის თქმა ომზე, რომლის საწინააღმდეგოდ ვერც ერთი სახელმწიფო ვერაფერს იტყვის".

ლიბერალურ-დემოკრატიული გაზეთი „ბალტიმორ სენ" სწერს:

„განსაკუთრებით უნდა მივესალმოთ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას—შეუერთდეს კელოგის ხელშეკრულებას. მისი შეერთება გამოსწვევს საბჭოთა კავშირისა და დანარჩენი მსოფლიოს შეთანხმების გზას, ხელს შეუწყობს ეჭვების გაფანტვას და ბოლოს მოუღებს საბჭოთა კავშირის იზოლიაციას. საბჭოთა კავშირის ხელის მოწერა ხელშეკრულებაზე ბევრს დაარწმუნებს, რომ საბჭოთა კავშირს გულწრფელად სურს მშვიდობიანობის განმტკიცება. საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა განიარაღების შესახებ. პოზიცია კარგად არის ამორჩეული. სხვა ერები, თუმცა პირობას სდებენ—არ მიმართონ ომს, მაგრამ მათ ხელში ყველაფერია, რაც კონფლიქტებისათვის საჭირო. ახლა მუდმივი არმიები მსოფლიოში რიცხვობრივად აღემატება ჯარების რაოდენობას 1910 წელს. მხოლოდ საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა განიარაღების ნამდვილი სურვილი" (ადს).

უპირობოდ

ლონდონი, 4 სექტემბერი. რეიტერი იუწყება: „ეგვიპტის მთავრობამ შეატყობინა ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ ის ღებულობს კელოგის ხელშეკრულებას მთლიანად და სავსებით. ამასთან მთავრობა აცხადებს, რომ ხელშეკრულების მიღება ისე არ უნდა იქნას გაგებული, ვითომ ეგვიპტე ეთანხმება იმ შენიშვნებს, რომლებიც ხელშეკრულებას გაუკეთეს მისმა მონაწილეებმა". (ადს).

„კრასინის" ექსპედიციის გარშემო

ნაპოვნი საცურავი „ლატამ"-ს ეკუთვნის

ოსლო, 4 სექტემბერი. ტრომსედან გადმოცემული ცნობით, საფრანგეთის კრეისერის „სტრასბურგის" უფროსი, ადმირალი ერრი აცხადებს, რომ ნაპოვნი საცურავი ეკუთვნის „ლატამ"-ს. გამორკვეულია, რომ საცურავი ზღვაში იყო ორი თვის განმავლობაში. (ადს)

რადიო „კრასინი"-დან

ყინულის მჭრელი „კრასინი" 4 სექტემბერი. 3 სექტემბერს 18 საათზე ჩუხნოვსკიმ, სტრაუბემ, ალექსეევმა და შელაგინმა დასტოვეს ყინულის მჭრელი. ისინი რჩებიან კინგსბეიში. სანამ ყინულის მჭრელი არ პოვის შვიდი კუნძულის რაიონში მოსახერხებელ ადგილს თვითმფრინავის დასაშვებად. ბორტ-მექანიკოსი ფედოტოვი „კრასინ"-ზეა.

18 საათსა და 50 წუთზე „კრასინ"-ი ჩრდილოეთისკენ დაიძრა. (ადს)

ყინულის მჭრელი „კრასინ"-ი, 4 სექტემბერი. 3 სექტემბერს, 20 საათზე, „კრასინ"-ი შეხვდა გემ „ბრაგანცა"-ს, რომლის წარმომადგენლებმაც გადასცეს მას ცნობები ყინულის მდგომარეობის შესახებ და იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ფრენა შპიცბერგენის ჩრდილოეთის რაიონში.

ამერიკელები ტაშს უკრავენ

ვაშინგტონი, 4 სექტემბერი. „ვაშინგტონ პოსტ"-ი, რომელიც დღემდე მეტად მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი, „კრასინ"-ის მეორედ გამგზავრების გამო ათავსებს წერილს, რომელშიაც, სხვათა შორის სწერს: „მთელი ქვეყანა მადლობელია საბჭოთა კავშირისა მისი მუშაობისათვის პოლიარულ მხარეში. მიუხედავათ პოლიტიკური უთანხმოებისა, მოსკოვი ადამიანურად მოეპყრა იტალიელებს და გაჭირვებაში მიშველა მათ. კეთილშობილი საქციელი აღტაცებას იწვევს მაშინაც კი, როდესაც ის უბოროტესი მტრისგან გამომდინარეობს ამერიკელები, რომელთაც სძულთ კომუნიზმი და რომელნიც მის რუს მომხრეებს ცივილიზაციის საშიშ მტრებად სთვლიან, მაინც ხმამაღლა ტაშს უკრავენ მათ სწრაფსა და კეთილშობილურ მუშაობას ადამიანების დალუპვისაგან გადასარჩენად. (ადს)

რადიო „კრასინ"-იდან

ყინულისმჭრელი „კრასინ"-ი, 4 სექტემბერი. 4 სექტემბერს, საშუადღევის სამ საათსა და 30 წუთზე გავჩერდით ბევერლიტუნდეში. აქ მშვენიერი ადგილია ავიობაზისათვის. ყინულისმჭრელი „კრასინ"-ი დაუცდის თვითმფრინავს. ამინდი ხელსაყრელია, ღრუბლები მაღლაა, წყალი წმინდა, ყინული არ მოსჩანს". (ადს).

პანების რესპუბლიკაში

რეპრესიები ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის

ვარშავა, 4 სექტემბერი. ვილნოში ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს მოხდა დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ გაფანტა. დააპატიმრეს 35 კაცი.

ლოძში ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის წინ, დემონსტრაციის ასაცილებლად, დააპატიმრეს 16 კაცი. ეჭვი აქვთ, რომ ისინი კომუნისტურ მოძრაობას ეკუთვნიან (ადს).

ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის

ვარშავა, 4 სექტემბერი. დომბროვის რაიონის მემაღაროეთა კავშირმა მიმართა მეწარმეებს—განიხილონ საკითხი ხელფასის მომატების შესახებ (ადს).

ვარშავა, 4 სექტემბერი. ხელფასის ნიადაგზე იწყება კონფლიქტი არაყისა და თამბაქოს მრეწველობაში. მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას 4 პროცენტით (ადს).

ბრძოლა იაპონიის პარტიების შიგნით

ტოკიო, 4 სექტემბერი. პრესის ცნობით, ოპოზიციონურ პარტიის—მინსეიტოს შიგნით გრძელდება დაშლის პროცესი. ოპოზიციონერ[illegible] 30 წევრმა შექმნა ფრაქცია და წამოაყენა შემდეგი მოთხოვნილებანი: პარტიული ბიუროკრატიის გაწმენდა და პარტიული ხელმძღვანელების შეცვლა.

ასეთივე ფრაქციული ბრძოლა გათიშვის მიზნით სწარმოებს მთავრობის პარტიის — სეიუკაის შიგნით. (ადს).

კაიესი უარს ამბობს პრეზიდენტობაზე

მექსიკო, 4 სექტემბერი. პარლამენტის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში პრეზიდენტმა კაიესმა განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს კვლავ იქნას არჩეული პრეზიდენტის თანამდებობაზე. კაიესმა უარი განაცხადა აგრეთვე იმაზე, რომ მან ახალი არჩევნების ჩატარებამდე დროებით შეასრულოს პრეზიდენტის მოვალეობა. შემდეგ კაიესმა წინადადება მისცა კონგრესს, არჩეულ იქნას დროებითი პრეზიდენტი და შემდეგ უზრუნველყოფილ იქნას პრეზიდენტის არჩევნების თავისუფლება, რათა პარტიამ შესძლოს ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

კაიესს ვადა გასდის 1 დეკემბერს. ფიქრობენ, რომ ახალ პრეზიდენტად არჩეული იქნება ეხლანდელი სამხედრო მინისტრი იოახიმ ამარო. (ადს).

საბჭოთა კავშირში

მ. გორკის ავადმყოფობა

ლენინგრადი, 5 სექტემბერი. ექიმებმა გამოარკვიეს, რომ გორკის ნაწლავების ავადმყოფობა აქვს. ავადმყოფს სჭირია სრული სიმშვიდე და სასტიკი დიეტა რამდენიმე დღის განმავლობაში. (ადს)

ახალი შეთანხმება ჰარიმანთან

მოსკოვი, 5 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ახალი შეთანხმება ჰარიმანთან, ნაცვლად იმ საკონცესიო ხელშეკრულებისა, რომელიც 1925 წლის 12 ივნისს იქნა დადებული და რომელიც ჰარიმანს ანიჭებდა მარგანეცის და პეროკსიდის ამოღებისა და ექსპორტის განსაკუთრებულ უფლებას ჭიათურის რაიონში. ამ შეთანხმების ძალით, საკონცესიო წარმოება გადადის სპეციალურად დაარსებულ საბჭოთა ტრესტის ხელში. ჰარიმანის მიერ დაბანდებული კაპიტალი—3.450.000 დოლარი რჩება წარმოებაში. ეს კაპიტალი უზრუნველყოფილია ობლიგაციებით, რომლებიც განაღდებული იქნება 15 წლის განმავლობაში, წლიურად 7 პროცენტის ანგარიშით (ადს).

მაღაროების ამუშავება

არტემოვსკი, 5 სექტემბერი. ერთ დროს შახტელმა მაზიანებელმა ლიურიმ განკარგულება გასცა, შეეწყვიტათ მუშაობა „დვოინის" მაღაროში. ამჟამად მუშაობა განახლებულია. გამოირკვა, რომ ახალ ფენას ამ მაღაროში 16.000 ტონა ქვა-ნახშირის მოცემა შეუძლიან.

მუშაობა დაიწყო აგრეთვე „ტოლსტოი"-ს მაღაროში.

განაჩენი უხობანოვას მკვლელობის გამო

მახაჩკალა, 5 სექტემბერი. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი გასანოვის საქმის გამო. გასანოვს ბრალდებოდა თავისი ცოლის, საზოგადოებრივი მოღვაწის უხობანოვას მოკვლა. გასანოვს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და უფლებების აყრით 5 წლის განმავლობაში. სასჯელის მოხდის შემდეგ გასანოვი გადასახლებული იქნება დაღესტანიდან. (ადს).

კომინტერნის კონგრესის დელეგატები ლენინგრადში

ლენინგრადი, 5 სექტემბერი. 5 სექტემბერს ლენინგრადში მოვიდა კომინტერნის კონგრესის დელეგატთა ჯგუფი ამხ. კაშენისა და ტელმანის მეთაურობით.

სტუმრების შესახვედრად ოქტომბრის სადგურზე შეიკრიბნენ ყველა ფაბრიკისა და ქარხნის მუშათა დელეგაციები. შეკრებილებმა სტუმრებს გაუმართეს მხურვალე ოვაცია. შესდგა სახელდახელო მიტინგი. უცხოეთის დელეგაციების სახელით ამხ. ტელმანი მიესალმა იმ დიდი ქალაქის პროლეტარიატს, სადაც წარმოიშვა რევოლუცია. ლენინგრადის პროლეტარიატს მხურვალედ მიესალმა აგრეთვე ამხ. კაშენი (ადს).

დახმარება ფინეთის გაფიცულ დოკერებს

მოსკოვი, 5 სექტემბერი. ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ც. კ-ის პრეზიდიუმმა საერთაშორისო სოლიდარობის ფონდიდან 5.000 მანეთი გადასდო ფინლანდიის გაფიცულ დოკერებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ამავე დროს კავშირის ც. კ-მა სთხოვა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, გაუწიოს ფინეთის გაფიცულ მუშებს დამატებითი დახმარება. (ადს)

კიევის მანევრები

კიევი, 5 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსმა ამხ. ბარანოვმა განაცხადა: კიევის მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო-საჰაერო ძალები; ყველაზე უფრო საინტერესო იქნება საჰაერო ძალების შეთანხმებული მოქმედება ქვითა ჯარის სხვა ნაწილების შეთანხმებული მოქმედება უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში ძალიან განვითარდა. ავიაცია გამოვა აგრეთვე, როგორც ცალკე ძალა, რომელიც დაკავშირებულია წითელი არმიის ორგანიზმთან. ჯარმა ისწავლა ავიაციასთან შეხამებით მოქმედება, მას ესმის და აფასებს კიდეც ავიაციის მუშაობას (ადს).

ალმი წითელი მეთაურების გამოშვების გამო

კიევი, 5 სექტემბერი. ქვეითა ჯარის სკოლიდან წითელი მეთაურების გამოშვების გამო, პეჩერსკის გმირთა მოედანზე გაიმართა აღლუმი, რომელიც ამხ. ვოროშილოვმა მიიღო. ამხ. ვოროშილოვმა, პატაკის მიღების შემდეგ, შემოიარა წითელ მეთაურთა ფრონტი და მიესალმა მათ. ცერემონიალის შემდეგ ამხ. ვოროშილოვმა მიმართა წითელ მეთაურებს სიტყვით, რომელშიაც, სხვათა შორის, სთქვა:

„მაღალ საპატიო წოდებას, რომელიც სამი წლის სწავლის შემდეგ დღეს თქვენ მიიღეთ, ჩვენი მთავრობა ანიჭებს მხოლოდ რჩეულებს და იმათ, ვისაც ანდობს წითელი არმიის ბედ-იღბალს, იმ არმიის, რომელიც მოწოდებულია დაიცვას სოციალისტური მშენებლობა და მშრომელთა მშვიდობიანობა. თქვენ უნდა იცოდეთ, ამხანაგებო, რომ მხოლოდ მუშათა და გლეხთა არმიას შეუძლია უზრუნველყოს სოციალისტური მშენებლობის მშვიდობიანი განვითარება მშრომელთა ამ ერთად-ერთ ქვეყანაში. რევოლუციონური სამხედრო საბჭოს სახელით გესალმებით და გილოცავთ წითელი არმიის მეთაურის საპატიო წოდებას, გამოვსთქვამ რწმენას, რომ თქვენ ამ წოდებას პატივით ატარებთ". (ადს).

ღამის ცნობები

ამხ. ჩიჩერინის გამგზავრება საზღვარგარეთ

მოსკოვი, 5 სექტემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი გაემგზავრა საზღვარგარეთ სამი თვის შვებულებაში - საექიმოდ.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ბერლინი, 5 სექტემბერი. „ბერლინერ ცაიტუნგ ამ მიტტაგ" ეხება გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომ ლონდონის კონსერვატიული გაზეთის „დეილი ტელეგრაფ"-ის განცხადებას იმის შესახებ, რომ გერმანიას განზრახული აქვს განამტკიცოს თავისი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, და სწერს:

„თუ ჟენევაში არავითარ ნაბიჯს არ გადადგამენ რეინის ოლქის საკითხის მოსაგვარებლად, მაშინ გერმანიის საგარეო პოლიტიკა იძულებული იქნება ეძიოს გარეშე გზები. ცხადია, რომ, ამასთან დაკავშირებით, გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკების განახლება, რომელიც აქვს მხედველობაში „დეილი ტელეგრაფ"-ს იღებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ასევე ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის და შეერთებული შტატების დაახლოვება შლის ისეთ პერსპექტივებს, რომელნიც იპყრობენ ინგლისის განსაკუთრებულ ყურადღებას". (ადს).

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა შ შ

ფაბქარხკომების კონფერენცია

ბერლინი, 5 სექტემბერი. შესდგა ფაბქარხკომების კონფერენცია, რომელიც მოიწვია რეიხსტაგის კომფრაქციამ. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 500-ზე მეტი ფაბქარხკომი. კონფერენციის დელეგატებიდან ნახევარი უპარტიოები და ბევრი სოციალ-დემოკრატები იყო. გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრმა პიკმა მოუწოდა ფაბქარხკომებს ყველა წარმოებებში შექმნან მუშათა საგანგებო კომიტეტები საყოველთაო კენჭისყრისათვის ნიადაგის მოსამზადებლად ჯავშნოსანის აგების საკითხთან დაკავშირებით. ფაბქარხკომების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მუშები უყოველმხრივ მხარს უჭერენ კომპარტიის მოთხოვნილებას საყოველთაო კენჭისყრის შესახებ.

რუმინეთის ოფიციოზური წრეები უარყოფენ

ვენა, 5 სექტემბერი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო ბუქარესტიდან იუწყება, რომ რუმინეთის ოფიციოზური წრეები კატეგორიულად უარყოფენ ცნობას, თითქოს პილსუდსკი აწარმოებს მოლაპარაკებას პოლიტიკურ და სამხედრო საკითხების შესახებ. ისინი უარყოფენ აგრეთვე ხმებს იმის შესახებ, თითქოს პილსუდსკიმ ინახულა რუმინეთის ხელმძღვანელი გენერლები.

ოფიციოზური განმარტების თანახმად, პილსუდსკის ხანგრძლივი საუბარი გარეშე საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით აღმასრულებელთან არჯეტოიანთან შეხებოდა თურქეთში გარდაცვალებულ პოლონეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ბემის გვამის რუმინეთით ჩამოსვენებას.

დეპეშათა სააგენტო დასძენს, რომ მიუხედავად ყოველგვარი უარყოფისა, სარწმუნო წრეები ამტკიცებენ, რომ საუბრის დროს იხილავენ საგარეო პოლიტიკის იმ საკითხებს, რომელნიც აინტერესებენ პოლონეთსა და რუმინეთს. პილსუდსკის ჩამოსვლა ბუქარესტში, რომელსაც მოელიან სექტემბრის ბოლო რიცხვებში, შეადგენს სამხედრო მინისტრის და ხელმძღვანელ გენერლების მსჯელობის საგანს, რადგანაც პილსუდსკის ჩამოსვლას ბუქარესტში ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას.

ტასლენაუს დაპატიმრება

ვენა, 4 სექტემბერი. ბუქარესტის გაზეთების ცნობით, ნავთის საქმეში აფიორის ჩადენასთან დაკავშირებით, დააპატიმრეს ვაჭრობის ყოფილი მინისტრი ავერესკუს კაბინეთში ტასლენაუ. (ადს)

იტალიის პროტეჟე

ვენა, 4 სექტემბერი. ტირანიდან იუწყებიან: ალბანეთის მონარქად გამოცხადების შემდეგ ახალმა მეფემ ზოგუმ მიიღო იტალიის ელჩი, რომელმაც განუცხადა, რომ იტალია სცნობს ალბანეთის მმართველობის ახალ ფორმას. მეფე ზოგუმ იტალიის მეფეს და მუსოლინის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც მეგობრობას უცხადებს მათ.

მუსოლინისაგან მიღებულ იქნა საპასუხო დეპეშა. მუსოლინი დახმარებას პირდება ახალ მეფეს. ამავე დროს ალბანეთის პრემიერმა და იტალიის ელჩმა ერთმანეთს გადასცეს მეგობრობის ნოტები. (ადს).

კელერმანი მოსკოვში მიემგზავრება

ბერლინი, 4 სექტემბერი. მოსკოვში მიემგზავრება ცნობილი გერმანელი მწერალი ბერნგარდ კელერმანი. კელერმანი მონაწილეობას მიიღებს იმ იუბილეში, რომელიც ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო, მოსკოვში გაიმართება. (ადს)

მე-15 საერთაშორისო ბაზრობა

ვენა, 4 სექტემბერი. კვირას ვენაში გაიხსნა მე-15 საერთაშორისო ბაზრობა. საბჭოთა კავშირის ორივე პავილიონი სავსე ხალხით. ყველაზე მეტი ხალხი აწყდება საბჭოთა პავილიონის შინამრეწველობის და სასუსართო პროდუქტების განყოფილებას. (ადს)

საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

თესვის ჩამტარებელი კომისიის თათბირი

გუშინ დილით მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში შესდგა საშემოდგომო თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: ბორჩალოს, გორის, თბილისის, კახეთის, ქუთაისის, რაჭა-ლეჩხუმის მაზრების და სამხრეთ-ოსეთის საადგილმამულო განყოფილებათა გამგეები, „სოფლის კავშირის", კოლმეურნეობათა ცენტრის და სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენლები.

პირველად თათბირმა მოისმინა მიწადმოქმედების სახკომის ამხ. ს. ჟუღელის მოხსენება საშემოდგომო თესვის კამპანიის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა გზადაგზა თათბირს გააცნო მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ პრაქტიკული ღონისძიებები კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

ამხ. ჟუღელის ცნობით, უკვე დამუშავებულია თესვის ჩატარების გეგმა და სათანადო ახსნა-განმარტებით დაგზავნილია ადგილებზე. პირველ ყოვლისა გეგმა თვალისწინებს ღარიბი გლეხობის უზრუნველყოფას სათესლე მასალით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, საკვებით და მუშა-საქონლით. ამ გეგმის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენათ უნდა დაიხარჯოს 210.000 მანეთი, მუშა-საქონლის შესაძენად—85.000 მანეთი, საკვები მასალის—70.000 მანეთი და სათესლე მასალის — 205.000 მანეთი. ეს თანხები უკვე დამტკიცებულია სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. თუ საჭიროებამ მოითხოვა, დამატებით გაღებული იქნება კიდევ 70.000 მანეთი. ამ თანხებით მიწადმოქმედების კომისარიატმა ადგილობრივ სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებათა საშუალებით უნდა შეასრულოს ის დავალება, რომელიც მას მიმდინარე თესვის კამპანიის ჩატარების დროს ეკისრება.

შემდეგ თათბირი ისმენს ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებებს, მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

თბილისის სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების გამგის ცნობით, თბილისის მაზრა თესვის კამპანიის მოსამზადებელ მუშაობას შეუდგა ა. წ. 15 ივნისიდან. მოწყობილია კომისიები თემებში სამი, ხოლო სოფლებში 5 კაცისაგან. ამ შემოდგომაზე სულ მაზრაში დაითესება 40.000 ჰექტარი, აქედან 6.000 ჰექტარი ეკუთვნის ღარიბ გლეხობას, 3.800 კოლმეურნეობათ. ამ კამპანიის ჩასატარებლად საჭიროა სულ 600 სული ხარ-კამეჩი. დიდი ნაწილი ამ საქონლისა მაზრაში მოიპოვება და ნაწილის შესაძენათ მიღებულია ზომები.

კოლექტიური მეურნეობანი, რომელთა რიცხვი 42 უდრის, კამპანიის ჩატარებას შესძლებენ საკუთარი ძალებით. მაზრაში მოწყობილია 9 გასაქირავებელი პუნქტი, სადაც 20 [illegible] სათესი მანქანაა. ამჟამად მაზრაში აღრიცხულია 1200 გუთანი. საჭიროა კიდევ [illegible] გუთანი, 15 ტრაქტორი და 20 ტრიერი, 7 თესლის საწმენდი მანქანა, რომლებითაც შეიძლება გაიწმინდოს მთელი თესლის 50 პროცენტი. მიღებულია ზომები ტრიერების რიცხვის გასადიდებლად.

გორის მაზრის საადგილ-მამულო განყოფილების წარმომადგენლის განცხადებით, მაზრაში სამზადისი თესვის კამპანიისათვის დაიწყო ერთი თვის წინად. ადგილებს დაეგზავნათ სათანადო ინსტრუქციები, რომლების მიხედვით ისინი უკვე შეუდგნენ მუშაობას; დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების აღრიცხვა და ამჟამად ირკვევა, თუ რამდენი სათესლე მასალა იქნება საჭირო მთელი მაზრისათვის.

მომხსენებლის აზრით, თესვის კამპანიამ რამოდენიმეთ დაიგვიანა, რადგან ზოგიერთ ადგილებში თესვა უკვე დაიწყო. საჭიროა კამპანიის ტემპი აჩქარდეს, რომ თესვის კამპანიის პროგრამა სავსებით იქნეს შესრულებული. მომხსენებელი ითხოვს, თანხების გადიდებას, გორის მაზრისათვის სათესი მანქანების შესაძენათ.

კახეთის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების წარმომადგენლის ცნობით, მაზრაში უკვე დაწყებულია ნათესების კონტრაქტაცია. მიმდინარე შემოდგომაზე განზრახულია დაითესოს მთელი სათესი მოედნის 60 პროცენტი. სასოფლო-სამეურნეო იარაღის აღრიცხვა უკვე ჩატარებულია და ეხლა ირკვევა ამ კამპანიისათვის ჩასატარებლად საჭირო სათესი მასალის რაოდენობა.

ახმეტის რაიონის აგრონომი აღნიშნავს, რომ თესვის კამპანიის ჩატარებას აძნელებს იმ დაპირების შეუსრულებლობა, რომელსაც თესვის კამპანიის დაწყების წინ იძლეოდა „სოფლის კავშირის" ინსტრუქტორები. მაგალითად, ამას წინათ ახმეტის თემმა „სოფლის კავშირის" ინსტრუქტორისაგან მიიღო დაპირება, რომ თემს დაეთმობოდა ერთი ტრაქტორი. გლეხობამ სწორედ ამ დაპირებას შეუფარდა თავისი მუშაობა: საჩქაროდ გატარდა მიწადმოწყობა, მოეწყო კოლმეურნეობები, მაგრამ ტრაქტორი რომელზედაც გლეხობა მთელ იმედებს ამყარებდა, მას დღემდე არ მიუღია.

წინა ორატორის საპასუხოდ, კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელი ამხ. ცაგარელი აცხადებს: „სოფლის კავშირს" საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან იმდენი მოთხოვნილება მოდის ტრაქტორზე, რომ ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია, რადგან საამისო საშუალებები „სოფლის კავშირს" არ მოეპოვება.

ტრაქტორების რიცხვი განსაზღვრულია და რადგან ეს ასეა, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების რაციონალურად გამოყენებას. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ იარაღები არ გაცდეს, ერთ ადგილას არ დააგვიანდეს, რომ ერთი და იმავე იარაღით რაც შეიძლება მეურნეობის მეტმა რიცხვმა ისარგებლოს. თავის მხრივ „სოფლის კავშირი" მიიღებს ღონისძიებებს ტრაქტორების ახალი პარტიის შესაძენათ, რომელსაც მალე განაწილებს მაზრებს შორის.

შემდეგ ილაპარაკეს აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის და ბორჩალოს მაზრის წარმომადგენლებმა.

დასასრულ ლაპარაკობს ამხ. ს. ჟუღელი, რომელიც მაზრის წარმომადგენელთა ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს შემჩნეული დეფექტები და შეცდომები სავსებით იქნეს გათვალისწინებული, ამ თავითვე მიღებულ იქნეს სათანადო ზომები, რომ ეს შეცდომები არ განმეორდეს.

თათბირმა მიიღო დადგენილება, რომელიც თვალისწინებს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს; კერძოდ „სოფლის კავშირს" წინადადება ეძლევა ეხლავე შეუდგეს მაზრებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებელ სახელოსნოების მოწყობას.

ამავე დადგენილების ძალით სამაზრო კომისიებს ევალებათ ყოველი კვირის შემდეგ რესპუბლიკანურ კომისიას მიაწოდონ სწორი ცნობები კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

ვემზადოთ შემოდგომის თესვისათვის

(წერილი სიღნაღიდან)

წელს სიღნაღის მაზრაში მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ აგვისტოში მოსულ წვიმებმა საგრძნობლად დააზიანა სიმინდის ყანები. ამიტომ დღის წესრიგში დაისვა საკითხი მიმდინარე შემოდგომაზე ქერისა და ხორბლის დათესვის აუცილებლობის შესახებ.

როგორც ვიცით, ეს ორი მცენარე დაითესება რა შემოდგომაზე, მომწიფდება ივნისში. ამასთან ერთად ივნისში შემოდგომის ნათესების აკრეფის შემდეგ, იმავე არეზე შესაძლებელია სიმინდის დათესვაც და მისგანაც მოსავლის მიღება.

საადგილ-მამულო გაყოფილებასთან ეხლახან დამთავრებულ თათბირმა საჭიროდ სცნო ამ მიმართულებით დაჩქარებითი მუშაობის წარმოება: დათესილი უნდა იქნეს არა ნაკლები 2—3 ათასი დღ. შემოდგომის ნათესისა. შემოტანილი იქნება 12 ათასი ფუთი ქერისა და 24 ათასი ფუთი ხორბლის თესლი, რაც სრულიად საკმარისია მოსახლეობის მომარაგებისათვის.

ეხლა საქმე იმაშია, რომ ჩვენს გლეხობაში აგრო-ძალებმა გააფართოონ პროპაგანდა და [illegible] მოამზადონ შემოდგომის ნათესების დათესვისათვის განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ნათესები წვიმებმა დააზიანა.

თათბირის დადგენილება სასწრაფოდ უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული. გლეხობას უნდა დაეხმაროს აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობები სესხის მიწოდების საქმეში.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ თესვის კამპანიაში უნდა გამოვიყენოთ გლეხობის მიერ კოლექტიურად მიწის დამუშავების იდეა. რამდენადაც შემოდგომის ნათესებს განსაკუთრებული ადგილები ესაჭიროება, განსაკუთრებული მოვლა და სხვა, კოლექტიურად ასეთების დამუშავება მიზანშეწონილია და გლეხობისათვის სასარგებლო. ეს აზრი აუცილებლად უნდა განვამტკიცოთ გლეხობაში და [illegible] შევუწყოთ მის ცხოვრებაში გატარებას.

ეხლა ჯერი თვით გლეხობაზეა, არც ერთი გლეხი არ უნდა დარჩეს გულზე ხელდაკრეფილი, ყველამ უნდა იზრუნოს თათბირის მიერ დასახულ გეგმის ცხოვრებაში გატარებისათვის.

ბ. უჩანეიშვილი.

ფროლენკო თბილისში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, თბილისში ჩამოვიდა ძველი რევოლუციონერი, „სახალხო თავისუფლების" („Народная Воля"-ს) პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ამხ. მიხეილ თედორეს-ძე ფროლენკო.

ამხ. ფროლენკო რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს 1872 წლიდან.

1874 წელს ფროლენკო „193-ის პროცესი"-ს დროს ბრალდებულთა რიცხვში ითვლებოდა, მაგრამ მან მოასწრო მიმალვა და პროცესი თავიდან აიცდინა.

1882 წელს ამხ. ფროლენკო გაასამართლეს „20 ხალხოსანის" პროცესზე და მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რომელიც შემდეგ შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით. 1884 წელს პეტრე-პავლეს ციხიდან ის გადაიყვანეს შლისელბურგის ციხე-სიმაგრეში, სადაც მან 24 წელი და 8 თვე დაჰყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი გაემგზავრა უცხოეთში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მას მოუსწრო გელენჯიკში (შავი ზღვის სანაპიროები) თავის პატარა სახლში.

უკანასკნელ წლებში ამხ. ფროლენკო მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა სოჭსა და ანაპის კურორტებზე. ამ ჟამათ ორივე ცხოვრობს ამხ. ლენინის სახელობის რევოლუციის ვეტერანების სახლში მოსკოვში.

ამხ. ფროლენკო თბილისის მუშათა კლუბებში წაიკითხავს ლექციებს 1870-71 წ. წ. რევოლუციონურ პარტიების მოღვაწეობის შესახებ, თავის პირად მოგონებებთან დაკავშირებით.

კოლმეურნეობათა საბჭოს 1-ლი სესია

მეორე სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ქანთარიას მოხსენება კოლმეურნეობათა ცენტრის 1928—29 წ. ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრი არსებობს 1928 წლის 8 იანვრიდან.

ამ ხნის განმავლობაში კოლმეურნეობათა ცენტრმა მოახერხა ინსტრუქტორების კადრის შექმნა, რითაც მან შესძლო კოლმეურნეობებთან მჭიდრო კავშირის დამყარება. შემოიღო ანგარიშწარმოება კოლმეურნეობებში, შემოიღო „ველური" კოლექტივები, მოხდა კოლექტივების სოციალური წმენდა და სხვა.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კოლმეურნეობათა ცენტრის მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაზე და ამბობს, რომ 1928—29 წელში კოლმეურნეობათა ცენტრის შენახვა დაჯდება 77.632 მანეთი.

კოლმეურნეობათა მშენებლობის მთავარ ხელის შემწყობ პირობას წარმოადგენს აგრონომიული დახმარების გაძლიერება კოლმეურნეობებში. ამისათვის საჭიროა აგრონომების სპეც კადრების მომზადება და მათი გაგზავნა მაზრებში.

მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, აგრონომიული დახმარების წესიერ ორგანიზაციისათვის განზრახულია აგრონომების მომაგრება შემდეგ მაზრებში. ზუგდიდის მაზრაში—2 აგრონომი, სენაკის მაზრაში—2 აგრონომი, სენაკის მაზრაში—2, ოზურგეთის მაზრაში 2, ქუთაისის მაზრაში—3. რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში—1, შორაპნის მაზრაში—2, გორის მაზრაში—3, ახალციხის მაზრაში—1. ახალქალაქის მაზრაში—2, ბორჩალოს—2, თბილისის—4, კახეთის—7, სამხრეთ-ოსეთში—1, აჭარისტანში—2, აფხაზეთში—3.

აღნიშნულ მაზრებში გასანაწილებელ აგრონომების შენახვა მომავალ წელში დაჯდება 88.000 მანეთი.

კოლმეურნეობათა განვითარება ჩქარი ტემპით მიდის წინ. თუ 1928 წლის პირველ აპრილისათვის 212 კოლმეურნეობა არსებობდა, ეხლა მათი რიცხვი 113-ით გაიზარდა, ხოლო 1928—29 წლისათვის კოლმეურნეობების რიცხვი მიაღწევს 520-ს. კოლმეურნეობების ძალით ზრდა მოითხოვს მოანგარიშე მუშაკების შესაფერ კადრების მომზადებას. სულ საჭიროა 90 მოანგარიშე. მათი შენახვა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დაჯდება 103.680 მან. ამას გარდა დამატებით გადადებული იქნება 4500 მან. მოსამზადებელ კურსების მოსაწყობათ.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ კადრების მოსამზადებლად იწყობა მოსამზადებელი კურსები 8 ადგილას. კურსები მოამზადებს 400 კოლმეურნეობის ხელმძღვანელს. კურსების შენახვა და ორგანიზაცია 12.245 მანეთი დაჯდება.

სესიამ კოლმეურნეობათა ცენტრის ხარჯთაღრიცხვა მოიწონა.

ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო ახალი წესდება.

ახალი წესდების მიხედვით კოლმეურნეობათა სექცია გადაკეთებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივთა ცენტრალურ კავშირად. („კოლმეურნცენტრი").

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის საბჭოს თავმჯდომარედ სესიამ ერთხმად აირჩია ამხ. ს. ჟუღელი. არჩევნების შემდეგ სესია დაიხურა.

სახალხო კვების მუშაკთა კავშირის მეორე პლენუმი

მეორე სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები სახალხო კვების საკითხებზე.

ცეკავშირის მხრივ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხანთაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ცეკავშირმა მოახერხა სასადილოების „სახალხო კვების სისტემა"-ში ჩაბმა. მომავალში სასადილოები მიიღებენ იმ აუცილებელ შეღავათებს, რომელიც საჭიროა მათი არსებობისათვის, ახალი სასადილოები მოეწყობა მსხვილ სამუშაო ცენტრებში.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დავალებული აქვს გაითვალისწინოს სახალხო კვების საქმე 5 წლიან პერსპექტიულ გეგმაში.

შემდეგ მუშკოოპის სახელით გამოვიდა ამხ. გძელიშვილი, რომელმაც დაახასიათა სასადილოების მდგომარეობა გასულ წლებში და დღეს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წელს სახალხო კვების საქმე გასულ წლებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაშია, მუშკოოპი ყოველ ღონეს ხმარობს ამ საქმის გასაუმჯობესებლად, რადგანაც იგი ერთად-ერთი ორგანიზაციაა, რომელიც ყველაზე უფრო ახლო დგას სახალხო კვების საკითხთან.

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი.

მანევრები გორის მაზრაში

ნაცარ-გორაზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

შუა დღე გადასულია.

აგრილდა.

მივემგზავრებით „ბრძოლის" ველისაკენ

„წითლები" აწარმოებენ ძნელ ოპერაციას: მათ თანდათანობით უნდა გაარღვიონ „ლურჯების" რკალი და შეიჭრან „მოწინააღმდეგის" მიერ დაკავებულ მიდამოებში.

ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გვხვდება ტელეფონის ხაზი.

წინა პოზიციას მჭიდრო კავშირი აქვს გაბმული სათადარიგო ნაწილებთან და ზურგთან. ტელეფონზე მომუშავენი მოკალათებულნი არიან მყუდრო ადგილას და იქიდან აწვდიან ნაწილებს სათანადო განკარგულებებს.

უახლოვდებით ბრძოლის ასპარეზს. ისმის თოფის სროლა და, დროგამოშვებით, ტყვიამფრქვევის კაკანი.

ავდივართ მაღლობზე, საიდანაც საუკეთესოდ მოსჩანს ბრძოლის მთელი ველი.

ვეებერთელა მიდამო სავსეა წითელ არმიელებით.

აგერ, მეტყვიამფრქვევეთა ნაწილი ჩაწოლილა მაღალ სიმინდში. მეტყვიამფრქვევე არმიელს მიზანში ამოუღია „მოწინააღმდეგე" და გზავნის მისკენ „ცხელ ტყვიებს". არმიელი მუშაობს ლამაზად, არ გინდა მოაშორო მას თვალი. ეტყობა, იგი კარგად იცნობს ტყვიამფრქვევს, და ეხერხება მიზანში ამოღებაც.

— ადექ, დაწექი, — ისმის მეთაურის განკარგულება და არმიელნი, როგორც ერთი კაცი, ეკვრებიან მიწას. მათ მოიმარჯვეს თოფები და ელოდებიან განკარგულებას. მეთაური იძლევა ბრძანებას და ნაცადი თოფები დაუზარებლივ, ტკაცა-ტკუცით, „ანადგურებენ" მიზანში ამოღებულ საგანს.

„წითლები" მიიწევენ წინ. თანდათანობით გადადიან ერთ ადგილიდან მეორეზე და უკან ახევინებენ „ლურჯებს" გამაგრდებიან თუ არა ახლად დაპყრობილ ადგილზე, ამუშავებენ მაშინვე პატარა ნიჩბებს და იკეთებენ თავშესაფარს.



სქემა შეტევითი ბრძოლისა „წითლებსა" და „ლურჯებს" შორის 1-2 სექტ. 1928 წ.

პირობითი ნიშნ.: ⊂⊃ — წითლ. ეშელონები ▥ — „ლურჯები"

არმიელნი [illegible] არიან ბრძოლის წარმოებაში, ყოველივე სამუშაოს ასრულებენ რიგიანად, შეგნებულად.

— ეს ასეც უნდა იყვეს — ამბობს მეთაური — ყოველი წითელი არმიელი საუკეთესოდ უნდა იცნობდეს თავის ერთეულის ამოცანას ბრძოლის დროს. უამისოდ იგი ვერ შესძლებს გამოიჩინოს თვითმოქმედების უნარი და სძლიოს მტერს.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს შავი ფერის ძაღლი, რომელიც გამალებით მიჰქრის წინ. აგერ შეჩერდა მეთაურთან და ისევ მოჰკურცხლა უკან. მან მიუტანა მეთაურს ბრძანება და, შესრულა რა დავალება, დაბრუნდა უკან.

დასავლეთით, გზაზე, უეცრივ ავარდა მტვერი. მოვიმარჯვეთ ბინოკლები, ტელეფონით გამოწვეული არტილერია მიეშურება პოზიციებისაკენ. თვალის დახამხამებაზე ზორბა და ძლიერმა ცხენებმა აიტანეს ზარბაზნები მაღლობზე. არ გასულა რამოდენიმე წუთი და ჰაერი შეარყია გაუბიცის პირველმა ყუმბარამ. პირველ გასროლას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე...

არტილერია ეხმარება ქვეითა ჯარს, თავისი ყუმბარებით იგი უკაფავს მას გზას და ანადგურებს მტრის არტილერიას და ტყვიამფრქვევებს, რადგან ეს უკანასკნელნი საშიში მტერია ქვეითი ჯარისათვის.

„წითლების" მხარეს დაეტყო არაჩვეულებრივი გამოცოცხლება. ალბად ემზადებიან იერიშზე გადასასვლელად. გაისმა უეცრად ძლიერი „ვაშა" და „წითლები", მომარჯვებული ხიშტებით, ელვის სისწრაფით გაეშურნენ წინ.

„ბრძოლა" შესწყდა. ნაწილები დაბრუნდნენ თავთავიანთ ადგილას.

აქვე მინდვრად თავი მოიყარეს „წითლებისა" და „ლურჯების" მეთაურებმა და შეუდგნენ ბრძოლის გარჩევას. იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იქნა შესრულებული მანევრების მორიგი ამოცანა.

ელ. ხუციშვილი.

სოფ. ნაცარგორა.
3 სექტემბერი

პარტიული ცხოვრება

დელეგატ ქალთა გადარჩევისათვის

დელეგატ-ქალთა გადარჩევის კამპანია წელს ქალთა განყოფილების არსებობის ათი წლის თავზე ტარდება. ამიტომ მიმდინარე წლის არჩევნებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. გადარჩევების ძირითადი მიზანი უნდა იყოს მუშა-ქალთა ფართო მასების ჩაბმა კამპანიაში და ღირსეული დელეგატების არჩევა.

დელეგატთა არჩევისადმი ფორმალური მოპყრობა, როგორც, ამას წინად ჰქონდა ადგილი, ეხლა აუცილებლად უნდა აღმოფხვრილ იქნეს. ამისათვის—კი საჭიროა არჩევნებისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება: მოხსენებების მოწყობა, სათანადო ახსნა-განმარტებების მიწოდება მუშა-ქალებისათვის, მტკივნეული საკითხების გაშუქება, როგორც მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებზე, ისე პარტიულ უჯრედებზე. მუშა-ქალებს დაწვრილებით უნდა განემარტოს სადელეგატო კრებების მნიშვნელობა და დანიშნულება. მათ უნდა აეხსნათ, რომ არჩეულ პირთ საჭიროა გარკვეული დავალებანი მიეცეს. ამ დავალებათა ჩამოსაყალიბებლად—კი აუცილებელია მუშა-ქალთა ყოფა-ცხოვრების, მათი ჭირ-ვარამის ცოდნა, ცოდნა იმისა თუ რა უშლის ხელს ქალის ნაყოფიერ მუშაობას, რა პირობები ჰბორკავს მის ნიჭს და უნარიანობას საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მუშა-ქალებს დელეგატთა გადარჩევის წინ უნდა მიეცეს საშუალება გამოსთქვან თავიანთი პირადი ჭირვარამი, თავისი ცხოვრების ნაკლოვანებანი, და მიუთითონ ამ ნაკლთა გამოსწორების საშუალებებზე. ასეთი მსჯელობა-კამათის შემდეგ გამოირკვევა უპირველეს ყოვლისა ის, თუ რა შეადგენს საერთო ნაკლს და წარმოადგენს მტკივნეულ მხარეს მუშა-ქალის ცხოვრებაში. გარდა ამისა ამ მსჯელობის დროს გამოირკვევა ისიც, თუ მუშა-ქალთაგან ვინ უფრო იცის ქალების ყოფა-ცხოვრება და მდგომარეობა და ვინ უფრო შესძლებს ამ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას. დელეგატებათ სწორედ ასეთი დაკვირვებულნი და აქტიური ქალები უნდა აირჩიოთ.

ამავე დროს დელეგატებს და აგრეთვე მათ ამრჩევლებსაც უნდა განემარტოს ჩვენი ხელისუფლებისა და პარტიის მორიგი ამოცანები: კულტურული საკითხი და ბრძოლა გაუნათლებლობასა და უმეცრებასთან (ცრუმორწმუნოება, ექიმბაშობა, და სხვ.).

სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა. ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა, ქვეყნის თავდაცვის—უნარის განმტკიცება და სხვ.

დელეგატებისათვის არ უნდა იყვეს გაუგებარი ეს ამოცანები, რადგან სწორედ ამ ამოცანებს უნდა შეუფარდოს და დაექვემდებაროს მთელი მათი მუშაობა, როგორც ცენტრში ისე სოფლად. მხოლოდ ასეთ შეგნებულ და აქტიურ მომუშავეთ შეუძლიათ შეასრულონ მიცემული დავალებანი და ღირსეულად ატარონ დელეგატ-ქალის სახელი.

ა.

სახელმძღვანელოები პოლიტსკოლებისათვის

პარტგანათლების ქსელი, რომელიც დაამტკიცა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასთან გამართულმა საკავშირო თათბირმა ა. წ. მაის-ივნისში, საგრძნობლად განსხვავდება შარშანდელი ქსელისაგან. წელს ჩვენ გვექნება მთლიანი პარტიული სკოლა, რომელიც გაყოფილ იქნება ქალაქის და სოფლის სკოლად.

სკოლის ტიპის მიხედვით უნდა შექმნილიყო სახელმძღვანელოები მისი მსმენელებისათვის, რის განხორციელებასაც მაშინვე შეუდგა ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება; მთელ რიგ ამხანაგებს დაევალა ახალი პროგრამების მიხედვით შეედგინათ სახელმძღვანელოები. ამავე დროს რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამთან შეთანხმებით შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა 1928—29 წლისათვის. ამჟამად სახელგამმა მიიღო ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ სახელმძღვანელოები რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას გამოშვებული.

პარტსწავლების პერიოდის მოახლოვება თბილისის პარტიულ ორგანიზაციას ავალებს ეხლავე შეუდგეს ძირითადი პარტიული სკოლებისა, საღამოს პარტსკოლებისა, მარქსისტულ-ლენინური წრეებისათვის სახელმძღვანელოების მიწოდების საქმის მოგვარებას. აუცილებელია თავის დროზე გამოირკვეს სახელმძღვანელოების საჭირო რაოდენობა, რათა სავსებით იქნას დაკმაყოფილებული მთელი ქსელის მოთხოვნილება და უზრუნველყოფილ იქნას სამოსწავლო პროგრამის კალენდარულად ჩატარება. ამისთვის საჭიროა ეხლავე დაუყენოთ რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის ადგილობრივ განყოფილებას სახელმძღვანელოების საჭირო რაოდენობა.

სახელმძღვანელოების სიების დათვალიერება შეიძლება საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტში ან რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის მაღაზიაში (რუსთაველის პრ. № 16).

ძირითადი სახელმძღვანელოები სექტემბრის განმავლობაში იქნება მიღებული თბილისში.

კამინი.

თბილისის კომიტეტში

მასიური მუშაობა ექიმებს შორის

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ექიმთა შორის მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მედსანშრომის კავშირს გააძლიეროს კულტურული მუშაობა მედიკურ ძალებს შორის და მიიზიდოს ისინი ყველა იმ საკითხების გადაჭრაში, რომელიც სამკურნალო-სასანიტარო ქსელის მოწყობასა და რეორგანიზაციას ეხება. ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს საექიმო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ექიმთა რესპუბლიკანურმა ბიურომ გადაათვალიეროს თავისი მუშაობის გეგმა იმ მიზნით, რომ გეგმაში შეტანილ საკითხებს უფრო კონკრეტული სახე მიეცეს.

ორ თვეში ერთხელ მაინც უნდა ეწყობოდეს [illegible] საქალაქო კრებები და კონფერენციები, რომლებზედაც უნდა განხილულ იქნეს ხელმძღვანელობის ორგანოთა მუშაობის საკითხები და ღონისძიებები.

რესპუბლიკანურმა ბიურომ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა ახალგაზრდა ექიმებისათვის მარქსისტული წრეების დასაარსებლად. ამ წრეებში უნდა ჩაბმულ იქნან ახალგაზრდა ექიმები. აქტივისტები, კომუნისტმა ექიმებმა მაქსიმალური მონაწილეობა უნდა მიიღონ წრეების მუშაობაში. ამას გარდა ექიმები სხვა საზოგადოებრივ მუშაობაშიაც უნდა იქნენ ჩაბმული.

მედსანშრომის კავშირმა მოაწყოს ექიმთა წრეები პროფმოძრაობის ისტორიისა და პრაქტიკის შესასწავლად, გააძლიეროს მუშაობა უმუშევარ ექიმებს შორის. მეტი ყურადღება მიაქციოს ექიმთა კოლექტივებში საქმიანობას.

ახლო მომავალში დაარსებულ იქნება „ექიმის სახლი". ამ სახლში უნდა თავმოყრილ იქნეს ყველა მეცნიერული საექიმო საზოგადოებები, სამედიცინო ბიბლიოთეკა და სხვ.

საჭიროა ფასიანი ორგანიზატორები

ბევრჯერ გვსმენია, რომ ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს ადგილებზე, რაც ზოგიერთ უჯრედების სუსტი ხელმძღვანელობით არის გამოწვეული. ზოგჯერ არ ხდება ქალთა ორგანიზატორების სწორი შერჩევა, ქალორგებს სათანადოდ არ იყენებენ, ტვირთავენ სხვადასხვა დავალებებით და ამით ხელს უშლიან ნორმალური მუშაობის წარმოებას ქალთა შორის. ადგილებზე დიდია გლეხ-ქალების ლტოლვა პარტიისადმი, მაგრამ არც ამას აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება. დაწინაურების მხრივაც ქალები ჩამორჩენილი არიან. ამ საქმეს ხშირად წინ ეღობებიან მამაკაცები. გორის მაზრაში დელეგატ-ქალებთან პირად საუბრის დროს გამოირკვა, რომ ასეთ შემთხვევას ჰქონია ადგილი:

ქალთა შორის მუშაობის სისუსტეში არ შეიძლება ბრალი მარტო მაზრის ხელმძღვანელ ორგანოებს დავდოთ. საქმე დირექტივების მიცემაში არ არის, თუ ამ მითითებებს ადგილებზე არ გაატარებენ ცხოვრებაში.

სისუსტის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქალთა შორის მუშაობა არ არის უზრუნველყოფილი მომუშავეთა საკმაო შტატით. იქ, სადაც ფასიანი რაი-ორგანიზატორებია, მუშაობა ნაწილობრივ გამოცოცხლებულია, სადაც ასეთი არ არის, იქ მუშაობის კარგად დაყენებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. რასაკვირველია კარგია შტატების გაბერვის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ქალ-ორგანიზატორთა შემცირება უნდა გატარდეს მხოლოდ იქ, სადაც ქალთა მასა საკმაოდ შეგნებული და დარაზმულია; იმ მაზრებში კი, რომლებიც ტერიტორიალურად დიდია და რომელთა მოსახლეობა შედარებით ჩამორჩენილია, ფასიანი მომუშავეების ყოლა აუცილებელია.

ქალთა შორის მუშაობა დღითი-დღე რთულდება და შინაარსიანდება. ამჟამად საჭიროა მასასთან უფრო ახლოს მისვლა, ქალების მეტად გამოყენება საზოგადოებრივ მუშაობაში, მათი დაწინაურება, პოლიტიკური მომზადების აწევა და სხვ.

ყველა ამ საკითხებს ყურადღება უნდა მიექცეს სად. კრებების მომავალი გადარჩევის დროს.

მ. გ—შვილი.

კომკავშირში

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად

(მეხუთე სტამბა)

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მეხუთე სტამბის კლუბში გაიმართა საზეიმო საღამო-წარმოდგენა. საღამოს მოწყობაში დიდი ენერგია გამოიჩინეს ამავე სტამბასთან არსებულ კომუჯრედის წევრებმა და კლუბის კულტკომისიამ.

საღამო გაიმართა ალ. გვინჩიძის ხელმძღვანელობით. დაიდგა რევოლუციონური პიესა „ძმები" (2 მოქმ.) და სატირა—„უსარგებლო ქაფი" (3 მოქმ.).

უნდა აღინიშნოს, რომ პიესების მომზადებას საზეიმო დღემდე მხოლოდ ერთი კვირით ადრე შეუდგნენ, ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ „ძმები" ნაწილობრივ მოისუსტებდა. სამაგიეროდ „უსარგებლო ქაფი" კი ახალგაზრდა სცენის მოყვარეების პირობებზე ძლიერ კარგად იყო დამუშავებული.

საღამოს აურაცხელი მუშა-მოსამსახურენი დაესწრნენ. საზეიმო საღამო საერთოდ კარგად ჩატარდა. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

მუშ.

ჩვენი ლაშქრობა

(ლაილაშის და ჭრებალოს თ., ლეჩხ. მაზრა)

ლაილაშისა და ჭრებალოს თემორგანიზაციებმა ჩაატარეს ლაშქრობა.

ა. წ. 26 აგვისტოს დილით სწარმოებდა ლაშქრობაში მონაწილეთა ვარჯიში. საღამოს 7 საათზე მოვარჯიშენი დაიშალნენ. ღამის 12 საათზე ატყდა განგაში (ზარების რეკა და თოფის სროლა), ნახევარი საათის განმავლობაში მოხდა შეკრება. ლაილაშის ორგანიზაცია გაემგზავრა სოფ. ლაილაშსა და ქვიშეს შუა მდებარე მთის „ველის თავის" მიმართულებით. აღნიშნულ მთაზე დაბანაკებული იყო „მოპირდაპირე"—ჭრებალოს ორგანიზაცია. ამ უკანასკნელთ აღნიშნული მთა ღამის 11 საათზე დაეჭირათ.

გათენების დროს ლაილაშიდან გასული რაზმი უკვე დაუახლოვდა მაღლობზე გამაგრებულ „მოწინააღმდეგეს". სანამ დანიშნულ ადგილას მივიდოდა ლაილაშის რაზმის ერთ ოცეულს ხელთ ჩაუვარდა „მოპირდაპირეთა" მზვერავი ჯგუფი, რომელიც სწრაფათ იქნა განიარაღებული.

ამის შემდეგ გამაგრებულ გორაკზე სამი მიმართულებით აწარმოეს შეტევა, ლაილაშელებმა დაამარცხეს „მტერი" და მთა [illegible] დაიჭირეს.

ლაილაშის ორგანიზაციის მხრივ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 71 კაცმა, ამათში ქალი იყო 11; ჭრებალოს ორგანიზაციიდან კი მონაწილეობა მიიღო 90 კაცმა, ამათგან ქალი იყო 5.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლაშქრობა მიზანშეწონილად ჩატარდა. მან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მონაწილეებზე. დასრულებულ ლაშქრობის დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბარი ჩაატარეს ამხ. გ. ხეცურიანმა და გ. ყუფუნიძემ.

ამის შემდეგ მოეწყო ნიშანში სროლა, [illegible]. სროლაში ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ბ. ხუცაძე.

ბიუროების გადარჩევის შედეგები

(ქუთაისი)

ბიუროების გადარჩევამდე ყველა უჯრედებში გამოყოფილ იქნა თვით-შემოწმების კომისიები, რომლებშიაც [illegible] საუჯრედო მუშაობის გარეშე მდგომი ამხანაგები იყვნენ ჩაბმული.

გადარჩევა სწარმოებდა ღია კრებებზე, სადაც უპარტიო მუშა-ახალგაზრდობაც ესწრებოდა. გამოირკვა კომისიებში ქალაქის უჯრედებმა გამოიყენეს სპეცები და ინჟინრები, სოფლის უჯრედებმა—აგრონომები და სოფლის კულტურული ძალები.

გადარჩევის დროს ადგილი არ ჰქონია კანდიდატების თავზე მოხვევას, ზევიდან ბრძანებლობას, მაზრკომის დირექტივაც ხელს უწყობდა შინა საკავშირო დემოკრატიის ფართოდ გაშლას.

გადარჩევის დროს სწარმოებდა კანდიდატურების პერსონალური დასახელება. კომკავშირლები მოურიდებლად ახასიათებდნენ წამოყენებულ კანდიდატურებს. ასეთმა მიდგომამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბიუროს შემადგენლობა.

ყველაზე დამახასიათებელ დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს მკაცრი, ულმობელი თვითკრიტიკა, საქმიანი მითითებანი გადარჩევის დროს, კრიტიკამ გამოარკვია, რომ [illegible] ქარხნის უჯრედის ბიუროს ძლიერ ცოტა რამ აქვს გაკეთებული, ბიუროს წევრები ეწეოდნენ ლოთობას,—ფარავდნენ ერთიმეორის დანაშაულს და სხვა. მუშა-ახალგაზრდობამ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ბიუროს წარსული მუშაობა. [illegible] ყველაფერი გულახდილად გამოაქვეყნა, არჩევნების დროს საქმე ქარხნის ძველი ბიუროს შემადგენლობა გააშავეს. მუშაობა სუსტად ჩაითვალა, ბიურო შეცვლილ იქნა მთლიანად.

კამპანიის შედეგად საწარმოო უჯრედებში საგრძნობლად აიწია მუშა-კომკავშირლების პროცენტმა ბიუროს შემადგენლობაში, სოფლის ბიუროების შემადგენლობაში—მოჯამაგირე და ღარიბი კომკავშირლების პროცენტი გადიდდა.

საერთოდ ბიუროების შემადგენლობაში მუშათა რიცხვი გაიზარდა 6 პროცენტით, გლეხობის—9 პროც.

ს. მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

მეტი ყურადღება პროპაგანდა-აგიტაციის საკითხებს

პოლიტგანმანათლებელ ორგანოების უპირველეს დანიშნულებას შეადგენს მშრომელ მასების კულტურული დონის ამაღლება, მათში თვითშეგნების შეტანა. ხელისუფლება ამ საქმეზე საკმაოდ მოზრდილ თანხებს ხარჯავს ყოველ წლიურად.

მაზრაღმასკომებთან არსებული პოლიტგანმანათლებელი ორგანოები შესაძლებლობის ფარგლებში აწარმოებენ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას, მაგრამ მათი მუშაობა უმთავრესად სწარმოებს ცენტრში, იქ სადაც ასე თუ ისე მშრომელი გლეხობა უფრო გათვითცნობიერებულია; რაც შეეხება განაპირა კუთხეებს, მიყრუებულ სოფლებს, აქ

დღეს ძალიან ბევრია სოფლად ისეთი სა-პოლიტგანის ხელი ნაკლებად სჩანს. კითხები, რომლებიც მოითხოვს ვრცელ განმარტებას გლეხობის ფართე მასებში. ასეთ საკითხების რიცხვს ეკუთვნის გლეხობისათვის კოლექტიური მეურნეობის მნიშვნელობის გაშუქება, სახდოზღვევის საკითხი, რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის მავნებლობა, კოოპერაციის დანიშნულება, სესხის მნიშვნელობა და მრავალი სხვა, რომლებიც მოითხოვენ პოლიტგანმანათლებელ ორგანოებიდან ყურადღების მიქცევას.

იმ სოფლებსა და თემებში, სადაც კლუბი, ან სამკითხველოები არსებობს, ადვილია ზემოაღნიშნულ კითხვების გაშუქება, თუ სამკითხველოს გამგე შესაფერისი ცოდნითა და ენერგიით არის აღჭურვილი, მაგრამ კლუბი და სამკითხველო ყველა სოფელში არ მოიპოვება, ასეთ ადგილებში პროპაგანდა-აგიტაციის წარმოება უნდა იკისროს სოფლის მოწინავე ძალებმა, თემსაბჭოს წევრებმა, პარტიულ და კომკავშირელებმა, მასწავლებლობამ და სხვ.

სამწუხაროდ ყველას როდი აქვს შეგნებული ეს მოვალეობა. მასწავლებლობის ერთი ნაწილი სოფლად გარდა თავისი პირადი მოვალეობისა, თითქმის არაფერს არ აკეთებს. ეს კი ყოვლად დაუშვებელი და შეუწყნარებელია. სოფლის მასწავლებელი თავის მოვალეობის შესრულებასთან ერთად უნდა იყოს აგრეთვე პროპაგანდისტიც, ხელისუფლების ხაზის სწორად დამცველი და ამ ხაზის გლეხობისათვის განმმარტებელი. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიმსახურებს ის ნამდვილ სახალხო მასწავლებლის სახელწოდებას.

პროპაგანდა-აგიტაციის საკითხის მოგვარებას მარტო პოლიტგანები ვერ შესძლებენ, თუ მათ დახმარება არ გაუწიეს ყველა კულტურულმა ძალებმა, რომლებსაც სოფლად უხდებათ მუშაობა.

აუცილებლად საჭიროა აგრეთვე ამიერიდან პოლიტგანების მიერ მეტი ყურადღება ჩამორჩენილ კუთხეებს მიექცეს, სადაც არც სკოლაა, არც სამკითხველო და არც სხვა რაიმე კულტურული კერა.

ამასთან ერთად სახელმწიფო გამომცემლობასთან არსებულ წიგნის გამავრცელებელ ამხანაგობამ მეტი უნარი და ენერგია სწორედ ასეთ ჩამორჩენილ რაიონებს უნდა მოახმაროს.

შეერთებული ძალით, მთელი ენერგიის გამოყენებით ჩვენ ადვილად შევსძლებთ მშრომელი გლეხობის სიბნელიდან გამოყვანას.

გლეხკორი.

აღმშენებლობა სოფლად

სოფ. წალენჯიხა, ზუგ. მაზრა

სოფ. წალენჯიხა ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთ რაიონულ დაბად ითვლება. აქ ყოველ წლობით ეწყობა ბაზრობა. მოთავსებულია სასამართლო, მილიცია, საკრედიტო ამხანაგობა, საავადმყოფო და სხვა სასოფლო ორგანიზაციები. საბჭოთა აღმშენებლობა აქაც გაცხოველებით სწარმოებს. ახლად აგებულია ქვის ორსართულიანი შენობა სკოლისათვის და საპარკე ფარდული; რაიონის ცენტრი გადმოტანილია ახალ ადგილზე, რომელიც აუცილებლად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლებს შორის ერთგვარი დავა არსებობს ცენტრის საკითხით, რაც საბოლოოდ უნდა მოგვარდეს, ის ადგილი, სადაც ამჟამად ცენტრია მოთავსებული, ყველაზე უფრო ხელსაყრელია.

კოოპერაცია ამ რაიონში ძლიერია და ნაყოფიერად მუშაობს, მაგრამ სავსებით მაინც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, რის გამოც ამ რაიონზე საკმაო რაოდენობით მოიპოვება კერძო სავაჭროები. საჭიროა კოოპერაციამ უფრო გააღრმაოს მუშაობა და გააფართოვოს სავაჭროთა ქსელი.

წალენჯიხაში სამიკიტნოები ზომაზე მეტია. აქ დამახასიათებელია ერთი სამიკიტნო, რომელსაც გლეხკომის წითელი სასადილო ეწოდება. სინამდვილეში სასადილო კერძო პირს ეკუთვნის და გლეხკომს ფირმისათვის ყოველთვიურად 10 მან. აძლევს. სიძვირე კი მასში უფრო მეტია. ასეთი მოქმედება გლეხკომს მოსახლეობაში სახელს უტეხს. საჭიროა ამ სასადილოზე გლეხკომის ფირმის ჩამოხსნა.

გასული წლის ცუდი მოსავლის გამო, მოსახლეობა განიცდის სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას. ხელისუფლება და სათანადო ორგანოები გლეხობაზე სიმინდის მოწოდებას აწარმოებენ, მაგრამ არასაკმაო რაოდენობით ამით სარგებლობენ კულაკები, რომლებმაც ძალზე აწიეს სიმინდის ფასები. მომავალი წლის მოსავალს კარგი პირი უჩანს და ალბად კულაკების მადაც მალე შეიკვეცება.

მ. პ.

მოგვაშორეთ ასეთი ნოქარი

ტობანიერის თემი, ქუთ. მაზრა

ტობანიერის თემში არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია (საკრედიტო ამხანაგობა), რომელიც ემსახურება თემის 2.800 კომლს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მისი თანამშრომლები ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. თანამშრომელთა შორის ყველაზე უარყოფითი ტიპია აკაკი ნასარიძე, რომელიც ერთ და იმავე დროს მოლარის თანამდებობასაც ასრულებს და ნოქარისაც. თუ გლეხი საწყობში მივიდა და რაიმე მოითხოვა, მაშინ აკაკის სალაროში აქვს საქმე, ხოლო თუ მოანგარიშემ ვინმეს ჩეკი გამოუწერა და ფული გადასახდელი, მაშინ კი საწყობში უხდება საქმე.

გარდა ამისა აკაკი ხშირად სტოვებს სამსახურს და თავის სახლში საკუთარ საქმეზე მუშაობს, ანდა ამხანაგებში ბაასობს. მთელი დღეებით იცდიან საქმეზე მოსული გლეხები საწყობის წინ და ელოდებიან ნოქრის მობრძანებას.

საკრედიტო ამხანაგობას მანქანა-იარაღები იმდენი აქვს, რომ მთელი თემის მოსახლეობას დააკმაყოფილებს, მაგრამ ნოქრის დაუდევრობით ტყვილად აწყვია საწყობში. ღარიბი გლეხობა კი კულაკებიდან ქირაობენ მანქანებს.

საჭიროა ადგილობრივმა ორგანოებმა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და საკრედიტო კოოპერაციის საქმიანობა სასურველ ნიადაგზე დააყენონ.

მეურნე რ. შ.

საჭიროა ხიდის შეკეთება

დ. საჩხერე, შორაპნის მაზრა

სოფლები: ივანწმინდა, საირხე, სავანე, არაგვეთი; ქორეთი; მერჯევი; გორისა და სხვა დაშორებულნი არიან დ. საჩხერეზე რამოდენიმე კილომეტრით. აღნიშნულ სოფლებში არ მოიპოვება კოოპერატიული ან კერძო სავაჭროები. ამის გამო ადგილობრივ მცხოვრებლებს უხდებათ სიარული საჩხერეში სხვადასხვა საქონლის სასყიდლად, რკინის გზით მიმოსვლა, ფოსტით და სასამართლოებით სარგებლობა. ამას ზედ დაერთო ბაზრობა, რომელიც კვირაობით იმართება საჩხერეში, სადაც გლეხებს გამოაქვთ თავიანთი ნაწარმოები გასასაღებლად.

ხსენებულ სოფლებს და საჩხერეს შუაში ჩამოუდის მდინარე ყვირილა, რომელზედაც იყო გაკეთებული დიდი რკინის ხიდი, მაგრამ ვინაიდან წყლის მიმდინარეობამ კალაპოტი შეიცვალა, ამიტომ ხიდი გარიყა გვერდზე და წყალი ხიდის აქეთ თავში მიმდინარეობს, ასე რომ მდინარეებზე გასვლა ყოვლად შეუძლებელია.

საჩხერის აღმასკომმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება, დახარჯა საკმაო თანხა და გაუკეთა დამბა წყლის სწორი მიმართულებით წასაყვანად, მაგრამ ამაოდ. დამბა იმდენად არა კეთილ საიმედოთ ნაკეთები აღმოჩნდა, რომ მაშინვე წალეკა წყალმა და კვლავ თავისი მიმდინარეობა დაიჭირა. გააკეთეს ძველ ხიდს ზევით გამბული ხიდი (ბონდი), რომელზედაც პირველ ხანებში ადვილათ შეიძლებოდა გასვლა, მხოლოდ ეხლა რომ მასზე გავლა მოინდომოთ თავი გაწირული უნდა გქონდეთ.

თვით ამ სტრიქონების დამწერი იყო მოწმე იქაური მოსახლეობის ჩივილის და მასთან ქალების ხვეწნა-მუდარის, რომ ისინი ვინმეს გაეყვანა მდინარის გაღმა.

საჭიროა საჩხერის აღმასკომმა ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით სასწრაფო ზომები მიიღოს ზემოდ აღნიშნულ ხიდის გასაკეთებლად.

კოწია.

ორი მოიჯარადრე საჭირო არაა

(წერილი შორაპნიდან)

სადგ. შორაპნის მახლობლად მდებარეობს საფერავი ყურძნის ბაღი, თავისი მარნით, რომელიც ზომით შეიცავს ხუთ ქცევას. აღნიშნული ბაღი ძველად ეკუთვნოდა ვინმე გიორგი თუთბერიძეს. შორაპნის აღმასკომმა 1925 წელს იჯარით გადასცა ყოფილ მეპატრონე თუთბერიძეს სამი წლის ვადით. ამ ვადის გათავების შემდეგ კი აღნიშნული ბაღი თუთბერიძემ (რასაკვირველია აღმასკომის თანხმობით) გადაუბარა თავის შვილ კოლიას თუთბერიძეს წელიწადში 500 მანეთად. აღსანიშნავია, რომ თუთბერიძეები თვითონ კი არ ამუშავებენ აღნიშნულ ბაღს, არამედ მათაც გაცემული ქონდათ და ახლაც გაცემული აქვთ გლეხ დიმიტრი ქათამაძეზე მოსავლის სანახევროდ.

პირველ ყოვლისა საჭიროა გამოირკვეს, თუ რატომ ასე მცირე ფასად გასცა შორაპნის აღმასკომმა ბაღი იჯარით, როდესაც ის წლიურად 40 საპალნე ღვინოს იძლევა.

აგრეთვე ისიც საინტერესოა, თუ ამდენი ხნის განმავლობაში რატომ ითბობენ თუთბერიძეები ხელს აღნიშნულ მამულიდან, როცა ისინი ამ ბაღში ჩხირსაც კი არ აბრუნებენ? თუ იჯარით გაცემაა აუცილებელი, ნუ თუ აღმასკომი უშუალოდ ვერ გასცემს ამა თუ იმ უღარიბეს გლეხზე, რომ თუთბერიძეები არ გახდნენ მოსამუალენი ამ მამულში?

იმედია, შორაპნის მაზრის ხელისუფლება ამას ყურადღებას მიაქცევს და არამკითხე მოიჯარადრეებს ამ ბაღიდან ჩამოაცილებს.

მუშკორი ნ. მკერვალი.

ცხოველი მუშაობის ნიმუში

(წერილი სენაკიდან)

სულ რამოდენიმე ხანია, რაც თვალსაჩინო გახდა ქ. სენაკის კეთილ-მოწყობის ზრდა. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში დაგებულია ქვაფენილები, გადიდებულია ქალაქის სამოსახლო არე. გაყვანილია ახალი ქუჩები. აბჯესის სინათლე ყველგან ანათებს. განსაკუთრებულის სილამაზით და ესტეტიური გემოვნებით არის მოწყობილი ქალაქის ბაღი, რომლის შუა გულში აღმართულია ლენინის ძეგლი ცოცხალი დეკორაციით.

ამას წინად დამთავრდა ქალაქის აბანოს მოწყობა, რაც დიდი მიღწევაა ქალაქის აღმასკომის მუშაობაში. აბანო დაჯდა 20 ათას მანეთზე მეტი. ქალაქის სამოსახლო არეზე ყველგან გაგანიერებულია ქუჩები. დღითიდღე იზრდება ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი. ქ. სენაკის აღმასკომის მუშაობა სანიმუშოა მომავალში ალბად უფრო მეტი გაკეთდება.

დომ-ლოლი.

სწრაფად ვიზრდებით

ბაღდათის თემი, ქუთ. მაზრა

ბაღდათის თემში აღმშენებლობა იშვიათი სისწრაფით მიდის წინ. ეხლახან დასრულდა სახალხო სახლის აგება, დომ-როკიტის არხის გაყვანა, აგებულია ს. წაბლარასხევში საურმე ხიდი. შეძენილია სახალხო სახლისათვის ორკესტრი და პიანინო, რომელიც 5.600 მანეთი დაჯდა. მალე მოეწყობა პატარა ელექტრო-სადგურიც. შენდება ახალი შენობები რაიმილიციისა და ცენტრალური სამკითხველოსათვის. სოფ. წაბლარასხევში იგება შრომის სკოლის შენობა. გაიხსნა სამი ახალი სამკითხველო. თვით ბაღდათში იხსნება საბავშო ბაღი. სწარმოებს ახალი გზების გაყვანა ბაღდათი-სვირის და ბაღდათი-ვანის მიმართულებით.

ქუთაისის სამაზრაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით მომავალი საბიუჯეტო წლიდან დაიწყება მდ. ყვირილაზე ახალი ხიდის აგება, რისთვისაც ბაღდათის თემ-აღმასკომი გადასდებს 30.000 მან.

ადგილობრივი ბიუჯეტი 26—27 წელში უდრიდა 16.000 მანეთს; 27—28 წელში—55.000 მანეთს და 28—29 წელს უდრის 75000 მანეთს.

სას.-სამ. გადასახადი 26—27 წელს იყო 4 700 მანეთი, ხოლო 27—28 წელს—23.000 მანეთი. ასეთი სწრაფი ზრდის მიზეზი ისაა, რომ შეძლებულ გლეხობას და კულაკებს თავიანთი მეურნეობა - შემოსავალი გადამალული ქონდათ, რაც აღმოჩენილ იქნა თემ-აღმასკომის ენერგიული მუშაობით.

28—29 წლის სას.-სამ. გადასახადი ინდივიდუალურ დაბეგვრასთან ერთად უდრის 30.000 მანეთს.

გლეხობის 55 პროც. განთავისუფლებულია გადასახადისაგან და მთელი სიმძიმე გადატანილია შეძლებულ და კულაკურ ელემენტებზე.

მემამულეებს ჩამოერთვა 460 ქცევა მიწა, რომელიც გადაეცემა პირველ რიგში კოლექტიურ მეურნეობებს და შემდეგ უღარიბეს გლეხობას.

გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებს მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ. ამ მოკლე ხანში აღმოჩენილია 100-მდე ყიდვა-გაყიდვის შემთხვევა. გამყიდველები უმთავრესად მემამულეებია.

წელს გლეხობა შეშინებული იყო შაბამანის სიმცირით, მაგრამ სას.-სამ. საკ.-ამხანაგობამ მოთხოვნილება სრული 100 პროც. დააკმაყოფილა.

ასეთია ბაღდათის თემის დღევანდელი მდგომარეობა.

ალ. აბულაძე.

წერილებიდან

ს. მესხეთი. (ქუთაისის მაზრა) ადგილობრივი ოთხწლედის მასწავლებელ სიმონ ქუხიანიძეს ბინა უჭირავს ამავე სკოლის შენობაში. მას აქვს საკუთარი სახლი, როგორც სოფ. მესხეთში, ისე ქუთაისშიაც. ნეტავი რას უყურებს თემაღმასკომი, რომ ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს?

მესხეთელი კალამი.

ტობანიერის თემი. (ქუთ. მაზ.) ადგილობრივ გლეხობას თავი მოაბეზრეს ვახშმიანი საღამოების მოწყობით. რამოდენიმე ქალი, რომლებიც საღამოს მომწყობ კომისიას უწოდებენ თავს, დადიან სოფლებში და გლეხებიდან უფასოდ აგროვებენ ყველს, კვერცხს ქათამს და სხვა სანოვაგეს. გლეხობა შეწუხებულია ქვეყნის ასეთი „ქორისუფლებისაგან", რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

მომავალი ტეხნიკოსი.

ს. არაშენდა (კახეთის მაზრა). ამ სოფლის გლეხობას სათიბად ესაჭიროებოდა ცელი. ვინც საკრედიტო ამხანაგობის წევრი არ იყო, მათ ცელი ბანკმა არ მისცა: ისინი იძულებული გახდნენ ჩარჩ ვარდო ხიზანაშვილისაგან შეეძინათ ნისიათ ახალ მოსავლამდე თითო ცელი შვიდ ლიტრ ხორბალზე, ან 9 ლიტრ ქერზე. დღეს ხიზანაშვილი თავისი მოჯამაგირით და ორი ცხენით აგროვებს გლეხებიდან ხორბალსა და ქერს, რაც შემდეგში ისევ გლეხობას უნდა მიჰყიდოს მაღალ ფასებში. საკრედიტო ამხანაგობას მეტი უნარი უნდა გამოეჩინა გლეხობის დასახსნელად ჩარჩებისაგან.

რუჭა.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 6 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს მუშკორთა გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში სდგას სახდაზღვევის სამმართველოს წარმომადგენლის მოხსენება და მიმდინარე საკითხები.

საბინაო საამშენებლო ამხანაგობების გაერთიანება

„ფიქრის გორაზე" ლენინის სახ. საბინაო საამშენებლო ამხანაგობა წელს დაამთავრებს სამი სახლის აშენებას, რომელშიაც ჩასახლებული იქნება 12 ოჯახი; ეს ამხანაგობა ეკუთვნის მშენებელთა პროფკავშირის მუშებს. წელს აქ მშენებლობა უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე შარშან იყო.

თუ დღემდე ვერის რაიონში ლენინის სახელობის საბინაო საამშენებლო ამხანაგობა მარტო უძლებოდა საბინაო აღმშენებლობის საქმეს, ეხლა ეს ამხანაგობა უფრო მკვიდრ ნიადაგზე იქნება დაყენებული და მომავალიც დიდ იმედებს გვაძლევს, რადგან მას შეუერთდა ორი ამხანაგობა: კომუნალური ბანკის მუშა-მოსამსახურეების ამხანაგობა „ნდობა" და ყოფილ სამრეწველო ბანკის; პირველი—ლენინის და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში ერთი თვის შემდეგ სრულიად დაამთავრებს სამსართულიანი სახლის აშენებას, რომელშიაც 24 ბინაა, მეორეს კი ვერაზე ნიკოლოზის ეკლესიის ახლოს ამთავრებს 12 ბინიან სახლს.

კვირას, 2 სექტემბერს მოხდა საერთო კრება ზემოხსენებული ორივე ამხანაგობის შეერთების შესახებ ლენინის სახელ. საბ. საამშ. კოოპ. ამხანაგობასთან, რაც საერთო კრებამ დაამტკიცა და სამივე ამხანაგობა დარჩა ლენინის სახ. საბ. საამშ. კოოპ. ამხანაგობის სახელწოდებით. ყოფილი ამხანაგობამ „ნდობამ" ლენინის ამხანაგობის საბ.-საამშ. კოოპერაციას გადასცა 10 ბინა, რომელშიაც განზრახულია ჩასახლებულ იქნენ მშენებელთა კავშირის მცირეხელფასიანი მუშები, რომლებიც ირიცხებიან ლენინის სახ. საბ. საამშ. ამ-ბის წევრებად. ამას გარდა სამრეწველო ბანკმა ამხანაგობას თავის ფონდიდან დაუთმო სამი ბინა ასე რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ლენინის ამხანაგობას ექნება საკუთარი 25 ბინა, რომელიც საგრძნობლად შეამსუბუქებს ამხანაგობის წევრთათვის ბინის კრიზისის საკითხს. ბინებში ჩასახლების საქმის მოწესრიგება დაევალა გამგეობას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს თავის წევრის ბინის საკითხი და ისე მოახდინოს ბინების განაწილება რომ გაუგებრობას არ ექნეს ადგილი ჩასახლების დროს.

უნდა ითქვას, რომ ვერაზე ძალიან ფართე ხასიათი მიიღო წვრილი ამხანაგობების გამრავლებამ, რაც ძლიერ უშლის მუშა-მოსამსახურეებს ბინის კრიზისის დაძლევას, მაგრამ ამ ამხანაგობებში უმეტეს ნაწილად ეწერებიან ისეთები, რომლებიც არ განიცდიან ბინის მწვავე კრიზისს, დაზგის მუშები კი მცირე რაოდენობით არიან ამხანაგობებში გაერთიანებული.

საჭიროა ასეთი დაქსაქსული ამხანაგობების ერთ მსხვილ ამხანაგობაში გაერთიანება, როგორც ეს მოახდინეს ზემოხსენებულმა ამხანაგობებმა. ასეთი გაერთიანება მით უფრო მიზანშეწონილია, რომ გეგმიანი აღმშენებლობა შემდეგისათვის უფრო რაციონალურად იქნება დაყენებული.

სასურველია ამ საკითხს სერიოზული ყურადღება მიაქციოს საქართველოს ბინათკავშირმა და მასთან ერთად თბილისის აღმასკომმაც.

ყ—ნი.

ისევ ქვის სატეხ კარიერზე

(სად. ხარაგოული)

ყველა ჩემს წერილებში, რომლებიც ხარაგოულის ქვის სატეხ კარიერის საქმიანობას ეხებოდნენ, მე ვასაბუთებდი წყალ-გაღმა კარიერის გახსნის აუცილებლობას, რადგანაც იქ საუკეთესო ხარისხის ქვა გამოდის, და ამ კარიერის რკინის გზასთან შეერთებას საფუძვლიანი ხიდით.

იყო ლაპარაკი ხელის ვაგონების გამძლე ხიდის გაკეთებაზე, რაც ზედმეტ და მიზანშეუწონელ ხარჯებად მიმაჩნდა და ჩემი წინასწარმეტყველება დღეს კიდეც გამართლდა. აღნიშნულ კარიერთან გაკეთდა ხის ხიდი, ხელის ვაგონებისათვის, რომელზედაც დახარჯული მასალა არც ისე იაფი დაჯდა, მაგრამ მუშაობის სიმძიმის გადატანას კი ამ კარიერში ვერც ხიდი გაუძლებს და ვერც მოხერხდება კარიერის გაფართოება. აქ უნდა გაკეთებულიყო ისეთი ხიდი, საიდანაც იმაზე მეტი ქვა უნდა გამოსულიყო, რაც გამოდის კარიერიდან გამოდის, ვინაიდან გამოღმა კარიერში მუშაობა ამჟამად ორნაირად არის საშიში. კარიერი აივსო ღორღით, რასაც გაწმენდა სჭირია. ყოველი ახლად მოტეხილი ქვა ლიანდაგზე გამოდის და თუ ლიანდაგი გადაურჩა დაზიანებას, ქვა მაინც წყალში გადადის და იკარგება.

ამ ზაფხულში იყო შესაძლებლობა ამ კარიერის გაწმენდისთვის. ზესტაფონში ეწყობა ლიანდაგები, რისთვისაც რამოდენიმე ათასი კუბ. მეტრი ღორღია საჭირო და ხეირიანი ხიდის უქონლობამ ხელი შეუშალა ამ კარიერის საფუძვლიან გაწმენდას.

მუშაობა გაღმა კარიერში ამჟამად ასე მიმდინარეობს. ერთ დღეს გამოაქვთ ზესტაფონისთვის 25—30 ვაგონი ღორღი და მეორე დღეს 20 ვაგონი ქვა. წყალ გაღმა კარიერი კი საშუალოდ 6 ვაგონ ქვას ვერ იძლევა.

ერთხელ კიდევ მოვაგონებ სამმართველოს ნუ მოერიდება ხარჯებს და ამ კარიერის ექსპლოატაციისათვის ააგოს ისეთი ხიდი, რომლებზედაც ორთქლმავლის ვაგონების გავლა შესაძლებელი იქნება. ადგილმდებარეობა ამ კარიერის შესაძლებლობას იძლევა მის გასაფართოებლად, რაც ყოველდღიურად 30—40 ვაგონ ქვას მოგვცემს.

და—ლი.

კულტურული მუშაობა ფართოვდება

შავი ზღვის რკინის გზა

კულტურული მუშაობა ზუგდიდის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებში გასულ წელთან შედარებით გაცხოველებულია. ჩამოყალიბებულია წრეები: კედლკორთა, დრამატიული, ფიზკულტურელთა, მავნე ჩვე-ჩვეულებებთან მებრძოლი და სხვა. თვითეულ წრეს გამოყოფილი ყავს ხელმძღვანელი, რომლებიც წრეების მუშაობის შესახებ მოხსენებას უკეთებს აღმასკომს, თუ რა გააკეთა წრემ ამა თუ იმ მუშაობის პერიოდში. შესრულდა თუ არა მან გამომუშავებული გეგმა.

კერძოდ უნდა შევეხოთ კედლკორთა წრის საქმიანობას. სადგურ ზუგდიდში ამ წრის მუშაობა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. არ გამოდის კედლის გაზეთი სისტემატიურად, კედლკორები სარედაქციო კოლეგიას არ აწვდიან თავის დროზე წერილებს. არ შუქდება კედლის გაზეთში მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხები.

სულ სხვაა დრამატიული წრის საქმიანობა. ეს მუშაობა გაცილებით გაცხოველებულია გასულ წელთან შედარებით. იდგმება წარმოდგენები, როგორც ფასიანი, ისე უფასო. ფასიანი წარმოდგენებიდან შემოსული თანხა ხმარდება ისევ კულტურული საჭიროების დაკმაყოფილებას. წრეში ჩაბმულია, როგორც მუშა-მოსამსახურეები, ისე ახალგაზრდობა. კლუბში მოწყობილია რადიო-მიმღები, საკლუბო მუშაობის გასაცხოველებლად გამოყოფილია ცალკე ხელმძღვანელი, რომელიც უფასოდ ასწავლის მუშებს მუსიკას. მუშებში საკმაო რაოდენობით ვრცელდება ჟურნალ-გაზეთები.

ფიზკულტურელთა წრის მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს, ეწყობა შეჯიბრი მაზრებში და სხვა, მხოლოდ დღემდის არაა ჩამოყალიბებული სამხედრო წრე, რომელიც მალე უნდა ჩამოყალიბდეს.

მოეწყო მუშების ექსკურსია თბილისსა და ბათომში.

ამჟამად შავი ზღვის რკინის გზაზე მუშაობა ფართოვდება და მუშათა რიცხვიც საგრძნობლად გაიზრდება, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გაცხოველოთ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

ნ. გ. შეროზია.

მუშების ხარჯზე გაატარეს რაციონალიზაცია

წარმოებაში რაციონალიზაციის გატარება და მით ზედმეტი ხარჯების შემცირება რა თქმა უნდა სასურველი და აუცილებელია, მაგრამ რაციონალიზაციის გამტარებლებმა ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ რაციონალიზაცია გატარებულ იქნეს სისწორით და არა დაბალი თანრიგის მუშების ხარჯზე. ნამდვილად კი ასეთი სახის რაციონალიზაცია გატარდა ხაშურში, ზესტაფონში და სამტრედიაში. რაციონალიზაციის მსხვერპლი პირველ რიგში გახდნენ ვაგონების აღმწერი მუშები, რიცხვით 12 კაცი. ისინი გადაიყვანეს მეისრეებათ პატარა სადგურებში, რა თქმა უნდა უფრო დაბალ ხელფასზე. აქედან მიღებული მომჭირნეობა, რომ სახელმწიფო სალაროს დარჩენოდა, კიდევ კარგი. მაგრამ სამაგიეროდ ხელფასი გაუდიდეს უფროს მეისრეებს, რომელი თანამდებობაც სულ არაა საჭირო.

ხშირად ვაგონების აღმწერ 12 კაცის ხელფას კანტორის ერთი თანამშრომელის ჯამაგირი უდრის, ხოლო ამათგან კი არც ერთ კაცს არ შეხებია შემცირებაში მოყოლა, ან ხელფასის დაკლება.

საჭიროა პროფორგანოებმა შემდეგში მაინც მეტი სიფხიზლე გამოიჩინონ რაციონალიზაციის გატარების დროს და მეტი კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციას.

ბორითელი.

ტრაქტორი რაციონალურად გამოვიყენოთ

(ხაშური)

ხაშურში მიმდინარეობს „აზნევთის" სამუშაოები, რაზედაც მრავალი წერილები იყო მოთავსებული გაზ. „კომუნისტი"-ს ფურცლებზე. აღსანიშნავია, რომ ეს წერილები არც ერთი არ დარჩენილა უნაყოფოთ, ყველას როგორც ადმინისტრაციამ, ისე ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და მდგომარეობაც გამოასწორა.

ამ პატარა წერილში გვინდა შევჩერდეთ ტრაქტორის არარაციონალურად გამოყენებაზე. ხაშურში „აზნევთის" მიერ ჩამოტანილია რამოდენიმე ტრაქტორი სხვადასხვა გადასაზიდ მასალების საჭიროებისათვის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტრაქტორები არაა რაციონალურად გამოყენებული. მაგალითად ტრაქტორს მიბმული აქვს ჩვეულებრივი ხარის ურემი, რითაც ზიდავენ როგორც ხრეშს, ისე თივას და სხვა მასალებს. ტრაქტორებს 18 ცხენის ძალა აქვს და რა თქმა უნდა მას შეუძლია ატაროს არამც თუ ურემი, არამედ ფურგუნი და უფრო დიდი ეკიპაჟი, რითაც მუშაობა არ გაჭიანურდება და ტრაქტორებიც გამოყენებული იქნება რაციონალურად.

იმედია ქარხნის ადმინისტრაცია მიაქცევს სათანადო ყურადღებას და გამოასწორებს აღნიშნულ ნაკლს ისე, როგორც სხვა ნაკლი გამოასწორა.

ეთერი.

დროა ჩვენც მოგვხედოთ

სადგ. თბილისის შუშის ჩიხში 12 ვაგონია ჩამოყენებული, რომლებშიაც სცხოვრობენ სხვადასხვა ადგილებიდან გადმოყვანილი დაბალი თანრიგის მუშა-მოსამსახურენი. ისინი ყველა ცოლ-შვილის პატრონია და დიდ სივიწროვეს განიცდიან შესაფერი ბინის უქონლობის გამო. საბინაო კომისია მათთვის სრულებითაც არ ფიქრობს. ისეც რომ არ იყოს, 12 ვაგონის გაცდენა რკინის გზისათვის წარმოადგენს საგრძნობ ზარალს, რასაც მაინც უნდა გაუწიოს ანგარიში რკინის გზის გამგეობამ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი უკვე ოთხი ხუთი წელია სცხოვრობენ ვაგონებში და ცოლ-შვილნი ყველანი დაავადმყოფებულნი არიან.

საჭიროა თბილისის უბკავშირის საბინაო კომისიამ ეხლა მაინც მიაქციოს ყურადღება ამ მუშების მდგომარეობას და აღმოუჩინოს შესაფერი ბინები.

მცოდნე.

მოგვეცით მოსვენების საშუალება

გრიბოედოვის ქ., სახლი № 13-ში სცხოვრობს ვინმე ამოთ კარახანიანი, რომელიც მეტად თავაშვებულ და გარყვნილ ცხოვრებას ეწევა.

3 სექტემბერს მოქ. კარახანიანი ჩვეულებრივად მთვრალი მოვიდა სახლში, ჯერ სცემა თავის ცოლს (ეს ხომ მისი ხელობაა), ხოლო იმავე დღეს საღამოთი ცოლი გაისტუმრა „სავაჭროდ" და თვითონ წაიღო ქალის ტანსაცმელი და სახლიდან გაიპარა. ღამის 3 საათ. დაბრუნებულ ცოლმა, როდესაც გაიგო თავისი ტანსაცმელის ქმრის მიერ მოპარვა, მორთო წივილ-კივილი და მშვიდობიანი მოსვენების საშუალება მოუსპო ამ სახლში მცხოვრებ მდგმურებს. ასეთი საქციელი კარახანიანის მიერ პირველი არაა.

ალბად პროკურატურა მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას და დაიხსნის მდგმურებს შევიწროებისაგან.

მდგმური.

აგვიკლეს ხულიგნებმა

მე-7 ამბულატორიას თითქმის ორი წელია შეეჩვია ხულიგნები და მოსვენებას არ აძლევენ როგორც ამბულატორიის თანამშრომლებს, ისე ავადმყოფებსაც. ხულიგნების ჯგუფს მეთაურობს ვინმე შალვა დავლიანიძე, რომელიც სცხოვრობს კლარა ცეტკინის ქუჩაზე № 60; ამ ვაჟბატონმა ამას წინად რევოლვერით გამოეკიდა ამბულატორიის თანამშრომელს და უნდოდა მისი მოკვლა. 15 აგვისტოს დავლიანიძე იჯდა ამბულატორიაში თავჩაქინდრული და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ აეტეხა ჩხუბი. ის ეწეოდა პაპიროსს რითაც ფეხი დასწვა ავადმყოფ ქალიშვილს. ქალმა ტირილით მიმართა ამბულატორიის თანამშრომელს, მაგრამ ვინ გაუბედავდა რამეს მხეც დავლიანიძეს. მან ესეც არ იკმარა და სრულიად უმიზეზოდ დაარტყა ამბულატორიაში მყოფ ერთ-ერთ ავადმყოფს. ამის შემდეგ მოქ. დავლიანიძე დააპატიმრეს. როდესაც კომისარიატის უფროსის მორიგე შეეკითხა მას, თუ რატომ დაარტყით უცნობ მოქალაქეს, დავლიანიძემ განაცხადა: მე ნერვებაშლილი ვარ და ვისაც მინდა იმას დავარტყამო.

გარდა ამისა, დავლიანიძე მოსვენებას არ აძლევს ამბულატორიის თანამშრომელ ა. კობაძის ქალს, რომელსაც მოკვლით ემუქრება, თუ ის დავლიანიძეს ცოლად არ გაჰყვება.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა აილაგმოს ასეთი ხულიგნობა მე-7 ამბულატორიაში და როგორც თანამშრომელთ, ისე ავადმყოფებსაც მიეცეთ მოსვენების საშუალება.

ბორისი ილორელი.

მუშკორთა წერილებიდან

შეაკეთეთ ქუჩა, (ქუთაისი), ჯაფარიძის ქუჩა უმწეო მდგომარეობაშია. გასულ წელს აღმასკომმა დაიწყო მისი შეკეთება, მაგრამ ისევ შეაჩერეს. წელსაც არავინ ყურადღებას არ აქცევს. ქუთაისის აღმასკომმა უნდა იზრუნოს ქუჩის შეკეთებისათვის.

კვიმსაძე.

მიიღეთ ზომები, (სად. ბორჯომი) თანახმად გზათა მმართველობის ნორმისა, სად. ბორჯომის 21 და 28 კილ. კარიერებიდან ყოველდღიურად უნდა იზიდებოდეს 20 ვაგონი ქვა. მოძრაობის დარგმა დაუბრკოლებლივ უნდა მიაწოდოს კარიერს ვაგონები. უკანასკნელ ხანებში ვაგონების მიწოდება ფერხდება, რაც აფერხებს ნორმის შესრულებას. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

ზახელი.

შეგვისრულეთ დაპირება. თბილისის [illegible] მილიციის თანამშრომლები დიდ სივიწროვეს განიცდიან უბინობის გამო. გარდა ამისა, მათ აწუხებთ ტრამვაით სარგებლობის უფლების შეზღუდვა. ამ ორი თვის წინად დაგვპირდნენ პირობების გაუმჯობესებას მაგრამ დღემდის შედეგი არა სჩანს. დროა შეგვისრულოთ დაპირება.

კალმოსანი.

განაახლეთ მატარებლის მიმოსვლა. 30 აგვისტომდე თბილის-გორის შუა დადიოდა მატარებელი, რომელსაც მიჰყავდა რკინისგზის მუშა-მოსამსახურენი ახლო-მახლო სადგურებზე. ახლა ამ მატარებლის მიმოსვლა გააუქმეს და ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. საჭიროა მატარებლის მიმოსვლის კვლავ განახლება.

ვ. გ—ძე.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხის ქრონიკა

10.000 მანეთის ობლიგაცია

გუშინ სახელმწიფო ბანკში მოქალაქეებმა ნაღდ ფულზე შეიძინეს 10.000 მანეთის ობლიგაცია. უკანასკნელ დღეებში სახ. ბანკში იმ განყოფილებასთან, სადაც იძენენ ობლიგაციებს, დაუსრულებელი რიგებია გამართული.

175.000 მ. ობლიგაციების შეძენა

შინამრეწველთა და ხელოსანთა კავშირის წევრთა საერთო კრებამ, რომელიც შესდგა გუშინ, ერთხმად დაადგინა საქართველოს შინამრეწველთა და ხელოსანთა შორის გავრცელებულ იქნეს 175.000 მანეთის ობლიგაცია.

ერთი თვის ხელფასი

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციების თანამშრომელთა გაფართოებულმა კრებამ დაადგინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხელფასი. მათი თვიური ხელფასის რაოდენობა უდრის 19.000 მანეთს.

მკერავთა შორის

გუშინ შესდგა მკერავთა კრება, რომელზედაც სათანადო მოხსენების მოსმენის შემდეგ, დაადგინეს ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხელფასი.

იუსტიციის სახ. კომისარიატში

იუსტიციის სახ. კომისარიატის თანამშრომლებმა გუშინ საერთო კრებაზე დაადგინეს გადასდონ თითო თვის ხელფასი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების შესაძენად.

ობსერვატორიაში

გუშინ შესდგა საქ. ობსერვატორიის თანამშრომელთა კრება. კრებამ ერთხმად დაადგინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე მოაწერონ ხელი თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

კახეთის რკინისგზის ხაზზე

დღეს გაემგზავრა თბილისის საუბნო პროფკავშირის კომისია მთავარ სახელოსნოს მუშების წარმომადგენლებთან ერთად კახეთის რკინისგზის ხაზზე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების რეალიზაციის ჩასატარებლად. კომისიამ თან წაიღო ასი ათასი მ. ობლიგაცია.

ინდუსტრიალიზაციის სესხი სოფლად

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის ჩასატარებლად სოფლად „სოფლის კავშირმა" დაუგზავნა სპეც. ცირკულიარები სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს.

საკრედიტო ამხანაგობები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სესხის რეალიზაციის საქმეში და თავის მხრით ჩააბამენ გლეხთა ფართო მასებს.

ამხანაგობები დასდებენ ადგილობრივ აღმასკომებთან საკონტრაგენტო ხელშეკრულებებს. თემაღმასკომები ამხანაგობებს მიაწოდებს ობლიგაციების საჭირო პარტიას და სააგიტაციო ლიტერატურას.

ამხანაგები ინდუსტრ. მეორე სესხის პოპულიარიზაციისათვის მოაწყობენ მიტინგებს ჩაატარებენ მოხსენება-საუბრებს.

აღნიშნულ კომპანიას ამხანაგობები ჩაატარებენ, კულტ. მუშაობისათვის გადადებულ თანხების საშუალებით.

ზესტაფონი

28 აგვისტოს შესდგა ზესტაფონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის წევრთა უმრავლესობა.

ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ტ. აბაშიძემ. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა კავშირის თვითეულმა წევრმა ობლიგაციების შესაძენად გადასდოს ერთი თვის ხელფასი.

ამ დადგენილების განსახორციელებლად კრებამ დაავალა ადგილკომებს გამოყონ კომისიები.

ახალი სამოსწავლო წელი

სწავლის განახლება შრომის სკოლებში

სოციალურ-აღზრდის მთავარმმართველობის დადგენილებით 1928—29 სასწავლო წელი მთელ რესპუბლიკაში დაიწყო 1-ლ სექტემბრიდან.

1-ლ საფეხურის სკოლებში (4 წლედებში) ყოველგვარი წინასწარი მუშაობა (ბავშვების მიღება, განმეორებითი კოლოკვიუმები და სხვ.) დამთავრდა გუშინ, 5 სექტემბერს, მეცადინეობა დაიწყება დღეიდან 6 სექტემბრიდან.

მეორე საფეხურის პირველ კონცენტრში 7 წლედებში წინასწარი მუშაობა დამთავრდება 10 სექტემბრამდე, სწავლა კი განახლდება 11 სექტემბრიდან.

მეორე საფეხურის მეორე კონცენტრში—8 წლედებში ყოველგვარი წინასწარი მუშაობა დასრულდება 14 სექტემბერს, ხოლო სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან.

ამ დადგენილებასთან ერთად განათლების განყოფილებებს ეცნობათ, რომ 1928—29 სასწავლო წელში გარდა საზაფხულო არდადეგებისა, უნდა ჩატარდეს ორი დასვენება—ზამთარში 14 დღით და გაზაფხულზე—10 დღით.

პირველი დასვენება ჩატარებული უნდა იქნეს დეკემბერს და იანვარში, ხოლო მეორე დასვენება—10 დღის რაოდენობით—მარტის და აპრილის თვეების განმავლობაში.

აღნიშნულ თვეების ფარგლებში როგორც პირველ, ისე მეორე დასვენების დრო შერჩეული უნდა იქნეს ადგილობრივ პირობებს მიხედვით მაზრის განათლების განყოფილებების მიერ, ისე რომ დასვენების დღეებში არ გამოერიოს საეკლესიო დღესასწაულები.

პროფტეხნიკურ სკოლებში

განათლების კომისარიატის პროფგანათლების მთავარმმართველობის ცნობით პროფტეხნიკურ სკოლებში—ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში, საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში, სამრეწველო-ეკონომიურ სკოლებში, პროფტეხნიკუმებში, პროფსკოლებში და მუშფაკებში სწავლა დაიწყება 17 სექტემბრიდან.

ახალი მასწავლებლები

განათლების კომისარიატმა აცნობა განათლების სამაზრო განყოფილებებს, რომ ახალი მასწავლებლების სკოლებში მიღების დროს იხელმძღვანელონ შემდეგით: 4 წლედებში მასწავლებლებათ მიღებული უნდა იქნენ ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ პედაგოგიური განხრიანი 9 წლედები და პედაგოგიური ტეხნიკუმები.

7 წლედებში და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მისაღებ ახალ მასწავლებლებს დამთავრებული უნდა ჰქონდეს პედაგოგიური ინსტიტუტი და უმაღლესი სასწავლებლები, 9 წლედებში მისაღებ ახალ მასწავლებლებს კი უმაღლესი სასწავლებელი.

ამხ. კამოს სახელობის საქ. საფ. ცენტრალურ სკოლაში

1928—29 სამოსწავლო წელში ამხ. კამოს სახელობის საქ.-საფ. ცენტრალური სკოლაში რუსულ და ქართულ კლასებში სულ მიღებული იქნება 50 მოწაფე. მისაღებ მოწაფეთა წლოვანება განსაზღვრულია 14—17 წლამდე.

პირველ რიგში მიღებულ იქნებიან ის ახალგაზრდები, რომელნიც ითვლებიან ჯავშანში თუ მათი თეორიული მომზადების დონე დააკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნილებებს. მეორე რიგში იქნებიან მიღებული ს. მ. უ. ს. და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის წამოწყებათა მუშების შვილები შრომის ბირჟის ახალგაზრდათა სექციიდან. მესამე რიგში—სხვა წამოწყებათა მუშების შვილები.

ბავშვთა ბაღებიდან მიღებულ იქნებიან მუშების შვილები რიცხვით 10 კაცი, რომლებსაც განსახკომის პროფგანათლების მთავარი სამმართველო გამოგზავნის.

მისაღებათ დაშვებულმა უნდა წარმოადგინონ: 1) მეტრიკული ამონაწერი, 2) ჯანმრთელობის მოწმობა, 3) განათლების მოწმობა და 4) მოწმობა სოციალურ მდგომარეობის შესახებ.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1) მათემატიკაში, 2) ენებში—მხოლოდ წერაში, 3) საზოგადო მეცნიერებაში და 4) ფიზიკაში—შვიდწლედის პროგრამის მიხედვით.

მისაღები გამოცდები და კოლოკვიუმები იწარმოებს 15 სექტემბრიდან.

სამოსწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

შირაქის ნავთი

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ინჟ. ციციძემ შირაქის ნავთის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

როგორც ცნობილია შირაქის ნავთის საცდელ ამოღებას აწარმოებს იტალია-ბელგიის საზ-ბა. საზ-ბას მუშაობა შეწყვეტილი ქონდა მარტიდან ივლისამდე საჭირო ხელსაწყოების უქონლობის გამო. ივლისის პირველ რიცხვებში საზ-ბამ უცხოეთიდან მიიღო დამატებითი ხელსაწყოები და მუშაობაც განახლდა.

საზ-ბა დღემდე აწარმოებს საცდელ-საგამოკვლეო მუშაობას. საზ-ბის მიერ გათხრილ ჭაბურღილის სიღრმე უდრის 490 მეტრს. ამ ჭაბურღილის ამოღების დროს 875 მეტრის სიღრმეზე დაიწყო ნავთის დენა და საზ-ბა შეუდგა ჭის საცდელ ამოწურვას. პირველ დღეებში დღე-ღამეში ამოღებულ ნავთის რაოდენობა აღემატებოდა 40 ფუთს, შესაძლებელი იყო ჭის ამოწმენდის შემდეგ ნავთის დებეტი საგრძნობლად გაზრდილიყო, მაგრამ საზ-ბამ გადასწყვიტა განეგრძო ჭის გაღრმავება.

აღსანიშნავია, რომ ნავთის წყაროებს წავაწყდით წინასწარ თეორიულად გამოანგარიშებულ სიღრმეზე. ნავთის წყაროები უმთავრესად მდინარებენ ქვიშოვან ფენებიდან, ფენებიდან, რომლებიც უხვადაა აღნიშნულ ჭაბურღილში. საზ-ბას განზრახვა აქვს ეს ჭა გათხაროს 500—640 მეტრამდე. წინასწარი ვარაუდით ცდები შეიძლება სასურველად დამთავრდეს. თუ ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო, საზ-ბა შეუდგება შირაქის ნავთის წყაროების ექსპლოატაციას.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

5 სექტემბერს თბილისში დაიწყო 1906 წ. დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა წითელ ჯარში.

თბილისის სამხედრო კომისარიატის ცენტრალურ შესაკრებ პუნქტზე (პუშკინის ქ. № 24) 7 საათიდანვე დიდი ფუსფუსია.

აგიტპროპი, ცნობათა მაგიდა, მიმღები და საექიმო კომისიები წვეულთა შესაკრებად ემზადებიან.

დილის 8 საათიდან იწყება წვეულთა გამოცხადება.

შესაკრებ პუნქტის ეზოში ფარდულების ქვეშ მაგიდებზე დალაგებულია ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები. აწყვია აგრეთვე ჭადრაკი, ნარდი, დომინო და სხვა სათამაშოები.

სრულ 8 საათზე იწყებენ მუშაობას მიმღები კომისიები და საექიმო კომისიები.

რიგის მომლოდინე ახალგაზრდები კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს.

პუნქტის ეზოში დადგმულია მაგიდები და სკამები, სადაც გაწვეულები ისვენებენ და საუბრობენ.

თ.

პრაქტიკანტების და სტაჟიორების გამოყენება

მრეწველობის სხვადასხვა დარგებში სპეციალისტების მომზადების მიზნით სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ ცირკულარული მიმართვა დაუგზავნა ყველა ტრესტებს, ახალშენებათა სამმართველოს და ქიმიო-ტეხნიკურ ინსტიტუტს.

აღნიშნულ დაწესებულებებს ცირკულიარი უთითებს რა წარსულში პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების მომზადების საქმეში დაშვებულ შეცდომებზე, წინადადებას აძლევს ამ შეცდომების თავიდან ასაცილებლად მიიღონ შემდეგი ღონისძიებები: იმ ტრესტებსა და გაერთიანებებში, სადაც მუშაობენ სტაჟიორები და პრაქტიკანტი სტუდენტები გამოყოფილი იქნეს სპეციალური პასუხისმგებელი პირი, რომელსაც დაეკისრება სტაჟიორებისათვის და პრაქტიკანტებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა. აგრეთვე წარმოებებში სტაჟიორებისა და პრაქტიკანტებისათვის მუშაობის დროს მიჩენილი უნდა იქნენ ტეხნიკური ხელმძღვანელები.

ტრესტებისა და გაერთიანებათა დირექტორებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო ზომები, რათა აღკვეთილი იქნეს სამუდამოდ სტაჟიორებისა და პრაქტიკანტების გამოყენება მათი სპეციალობის გარეშე.

გარდა ამისა ტრესტებს და გაერთიანებებს წინადადება ეძლევათ გააუმჯობესონ პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების პირობები. მიეცეთ მათ საჭირო მასალა, ბიბლიოთეკებით სარგებლობის საშუალება და სხვ.

აგრეთვე სტაჟიორების და პრაქტიკანტებისათვის უნდა მოეწყოს ლექციები და საუბრები პრაქტიკულ მუშაობასთან დაკავშირებით. ამავე დროს უნდა სისტემატიურათ სწარმოებდეს პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების დღიური ნამუშევრების განხილვა შესაფერი განმარტებების მიცემით.

საერთოდ ტრესტებს და გაერთიანებებს ევალებათ ყოველგვარათ ხელი შეუწყონ სტაჟიორებს და პრაქტიკანტებს შესაფერი პრაქტიკული ცოდნის მისაღებათ.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1929 წლის 1 იანვრიდან ამიერ კავკასიაში შემავალ რესპუბლიკებში ჩატარებული იქნეს იმ დაწესებულებების მოსამსახურეთა ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება, რომლებიც იმყოფებიან ადგილობრივ ბიუჯეტზე.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება ჩატარებული იქნება ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომელიც დაწესდება 1928—29 წლის ხარჯთაღრიცხვით და აგრეთვე იმ წყაროების მიხედვით, რომელთა ხელფასისათვის მოხმარა ნებადართული იქნება ბიუჯეტის გარეშე. ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება ჩატარებული უნდა იქნეს არსებულ შტატების და თანამდებობრივ ფაქტიურ ხელფასის საფუძვლებზე, რომელიც დამყარებული იქნება პროფკავშირებთან შეთანხმებით, ან უკანასკნელ 2 თვეში გაცემულ საშუალო ხელფასის გამოანგარიშებით.

საშუალო ფაქტიურ ხელფასის დაკლება მუშაკთა უმრავლესობისათვის დაუშვებელია.

ხელფასის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ძირითად ჯამაგირზე ზევით გაცემული გასამრჯელო და ზედმეტი ნამუშევარი.

თბილისის აღმასკომის საკონტროლო ციფრები

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე აღმასკომის საფინანსო განყოფილების წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება აღმასკომის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შეტანა გამოიწვია დუშეთის მაზრის თბილისის მაზრასთან გაერთიანებამ და უმთავრესად შეეხება საგასავლო ნაწილს.

საფინანსო განყოფილების მიერ წარმოდგენილ პროექტით მომავალ 1928—29 წელში დამატებით დაიხარჯება საზოგადოებრივ წესრიგის დასაცავად—62.000 მ., საერთო განყოფილების ხარჯების დასაფარავად დამატებით გადადებული იქნება 12.000 მ., სახალხო განათლების საქმეზე—22.000 მ., ჯანმრთელობის დასაცავად—17.000 მან. და კეთილმოწყობის საქმეზე—34.000 მ. პრეზიდიუმმა წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცა.

ვინ დასჭრა სლისარენკო

ანუ

მუშკორის მახინჯი სახე

მიმდინარე წლის 29 ივნისს, ღამით, ახალ გაგრასა და სოფელ კოლხიდას შორის, ყოფილ თავად ემუხვარის სახლთან მოხდა აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედება. ვიღაც უცნობი ბოროტგანმზრახველი მოკვლის მიზნით თავს დაესხა გლეხკორ თედორე სლისარენკოს და დანით ზურგში დასჭრა ის. სლისარენკო იყო ახალ გაგრის, კოლხიდის და კოლდახარის მოჯამაგირეთა მუშკომის თავმჯდომარე, ენერგიული და საქმის მცოდნე ახალგაზრდა მოსკოვის გაზეთ „ბატრაკი"-ს და „საბჭოთა აფხაზეთი"-ს სოფლის კორესპონდენტი.

სლისარენკოზე თავდასხმის ამბავმა აღაშფოთა მთელი რაიონი. ფიცხლავ ეცნობა მომხდარი ამბის შესახებ აფხაზეთის ხელმძღვანელ ორგანოებს. პასუხისმგებელ ამხანაგებმა სასტიკი განკარგულება მოახდინეს, რომ დაეწყოთ გამოძიება და, რაც არ უნდა მომხდარიყო, თავდამსხმელი აღმოეჩინათ, იქვეით დაპატიმრებულ იქნა ათამდე კაცი, სამსახურისადმი გულგრილობისათვის იმ რაიონში, სადაც ბოროტმოქმედება მოხდა, დათხოვნილ იქნა მილიციის ოთხი თანამშრომელი, თვითონ დაჭრილი სლისარენკო მოათავსეს საავადმყოფოში და თავს დააყენეს საუკეთესო ექიმები. ხელმძღვანელი ამხანაგები მას გამამხნევებელ მოკითხვას მოკითხვაზე უთვლიდნენ სოხუმიდან და პირდებოდნენ, რომ დამნაშავე ნაპოვნი და სამაგალითოდ დასჯილი იქნებაო. მთელი რაიონის მოჯამაგირეებიც ესალმებოდნენ მუშკომის თავმჯდომარეს იშვიათ ამხანაგური სოლიდარობის ნიშნად.

სლისარენკო ყოველნაირად იფერებდა ასეთ არაჩვეულებრივ პატივს, თავი საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის განწირულ კაცად მოჰქონდა, ყველას მოკრძალებით მადლობას უთვლიდა და თან მორცხვად დასძენდა: „კმარა, ამხანაგებო, ნუ მარცხვენთ ამდენი ქება-დიდებით"-ო.

ერთი სიტყვით, თედორე სლისარენკოს სახელი მთელ რაიონში ყველას პირზე ეკერა. ის გადაიქცა ჩვენი დროის რაინდათ. თედორე სლისარენკომ თითქმის უკვე შესდგა ფეხი ისტორიაში.

მაგრამ სლისარენკო მაინც ვერ ისვენებს. მას გული საგულეს არა აქვს. ჭრილობა იმდენად არ აწუხებს, რამდენადაც აზრები სულ სხვა რამეზე. ის არ ეთანხმება სოხუმიდან გაცემულ განკარგულებას იმის შესახებ, რომ მოხდეს სასტიკი გამოძიება გლეხკორ სლისარენკოს დაჭრის შესახებ, თედორე იმდენად სულგრძელი კაცია, რომ ის მზად არის აპატიოს თავდამსხმელს დანაშაული, მზად არის უხმოდ გადაიტანოს ფიზიკური ტკივილები, რომელიც მას მიაყენეს, ოღონდ ხელისუფლება ნუ შეწუხდება, დამნაშავეს ნუ დაუწყებს ძებნას, ამას ხომ ზედმეტი ფული და დრო უნდა?

მაგრამ სლისარენკოს არ ეთანხმებიან. საბჭოთა ხელისუფლების კანონში არსად სწერია, რომ მუშა ან გლეხ კორესპონდენტზე თავდასხმა მსუბუქი ატლეტიკის კატეგორიას ეკუთვნის, ჩვენს პირობებში, ეს არის დიდი სისხლის სამართლის ხასიათის ბოროტება, რომლისთვისაც შუბლში არავის კოცნიან. ამიტომ კვლევა-ძიება გამალებით და ენერგიულად მიმდინარეობდა. და, რაც უფრო წინ მიდის გამოძიება, მით მეტი აღელვება ეტყობა დაჭრილ თედორე სლისარენკოს. რაღაც უცნაური რამ ხდებოდა. ის, ვინც ყველაზე უმალ უნდა ითხოვდეს საქმის გამოძიებას, სდუმს, პირში წყალდაგუბებულია. თავდასხმის მიზეზი, რომელიც პირველ დღეებში თითქოს ყველასათვის სავსებით ნათელი იყო, თანდათან გაურკვევლობის ბურუსში ეხვევა. ამან, ბუნებრივად, კიდევ უფრო დააინტერესა საზოგადოებრივი აზრი და საგამომძიებლო ორგანოები. კიდევ უფრო აუცილებელი შეიქნა დანაშაულისათვის ფარდის ახდა.

და აი, საგამომძიებლო ორგანოებმა მოკლე ხნის განმავლობაში, იპოვნეს ბოროტმოქმედების სწორი კვალი. იქვეით დაპატიმრებულთა შორის იყო აგრეთვე სლისარენკოს უგულითადესი მეგობარი—დიმიტრი კაშჩეევი, რომელიც მუშაობდა მოჯამაგირედ სოფელ კოლხიდაში.

კაშჩეევმა რატომღაც დაკითხვის პირველ დღეებიდანვე განსაკუთრებული ენამეტყველება გამოიჩინა. მოჰყვა ცას და ბარს, ილაპარაკა და იმასლაათა იმდენი, რომ, როგორც ეშმაკი ჩიტი ორივე ფეხებით ხაფანგში გაება. უდაო შეიქნა, რომ სლისარენკოს დაჭრასთან კაშჩეევს უთუოდ რაღაც კავშირი აქვს.

როცა კაშჩეევმა შეატყო, რომ შორს შესტოპა, დაიწყო უკან დახევა, მოჩმახა ახალი ამბავი და ისტორია, მაგრამ გვიანღა იყო... დოკუმენტალურად დადასტურდა, რომ სლისარენკოს ზურგში დანა უთავაზა მისმა „ავთანდილმა"—დიმიტრი კაშჩეევმა. რისთვის ან როგორ უნდა მომხდარიყო ეს? ამ კითხვაზე თვითონ კაშჩეევი, რომელმაც წინასწარ ინახულა სლისარენკოს ცოლი და მასთან ერთად შეიმუშავა ჩვენება, ასეთ პასუხს იძლევა:

ბოროტმოქმედება მოხდა იჭვიანობის ნიადაგზე. მე მიყვარდა სლისარენკოს ცოლი, გრუზდიოვის ქალი. მე უკვე ვცხოვრობდი მასთან. ერთად ერთი საზიზღარი დაბრკოლება, რომე ტანჯვას, ჩვენს მალულობას დასასრულიც წინ ელობებოდა ჩვენს ბედნიერებას, ეს იყო სლისარენკო. მისგან უნდა გაგვეწმინდა გზა, რომ ჩვენს ტანჯვას, ჩვენს ლულაობას დასასრული მისცემოდა. და მე... მე... ჩავიდინე გამოუსყიდველი დანაშაული... მე ავღმართე ხელი ჩემი უგულითადესი...

აქ უკვე ცრემლები მოერია კაშჩეევს, ყელში ბრაზი მოაწვა და ის იყო უნდა აღრიალებულიყო, რომ გამომძიებელმა ის დაამშვიდა და უკანვე გაისტუმრა. ხოლო საქმის საბოლოოდ შესამოწმებლად, დასაკითხავად მოიწვია სლისარენკოს ცოლი.

ქალი იდგა თავდახრილი გამომძიებლის წინაშე. დარცხვენილი და უხერხულობისაგან [illegible], მაგიდის კუთხეს თითებს უსვამდა და გულამოსკვნით უამბობდა გამომძიებელს, რომ ყოველივე, რაც კაშჩეევმა სთქვა, მართალია; რომ ის მოექცა ისეთ ჩიხში, საიდანაც სხვა გამოსავალი არ იყო, თუ არ მისი ქმრის—სლისარენკოს მოკვლა. და კაშჩეევთან ერთად მან გადასწყვიტა გადაედგა ასეთი ვერაგული ნაბიჯი თავისივე ქმრის წინააღმდეგ...

საქმე ამით არ დასრულებულა. კაშჩეევის და გრუზდიოვის ქალის ვერსია ერთი შეხედვით ძალიან ახლო იყო სიმართლესთან, მაგრამ ამავე დროს ერთობ შორსაც იყო სინამდვილიდან. რაღაც აქ ასე არ არის, ნამდვილი მიზეზი უთუოდ სხვაგან მარხია. ამას მოწმობს თვითონ სლისარენკოს საქციელიც, რომელიც სრულიად არ გავს იჭვიანობის ნიადაგზე დასჯილ ადამიანს.

საჭირო გახდა კაშჩეევისა და გრუზდიოვის ქალის ერთმანეთისათვის პირისპირ წაყენება. აქ კი უკვე ქალს მოთმინება აღარ ეყო, რომ შემდეგშიაც ტყუილების საშუალებით დაეფარა ის საზიზღრობა, რომელსაც ნამდვილად ქონდა ადგილი. აქ უკვე საბოლოოდ აეხადა ფარდა სინამდვილეს. აქ მთელი თავისი უმზგავსოებით დაიხატა სლისარენკოსა და კაშჩეევის მიერ ჩადენილი სისაძაგლე, რომელიც პირველ ხანებში მიჩნეულ იქნა, როგორც გლეხკორზე თავდასხმა და, რომელმაც, როგორც ასეთმა, დიდი თანაგრძნობა და პოპულიარობა მოუხვეჭა სლისარენკოს.

რა მოხდა სინამდვილეში? ამის შესახებ სჯობს სიტყვა დაუთმოთ თვით დანაშაულობაში უკვე საბოლოოდ გამოაშკარავებულ სლისარენკოს, რომელსაც განსაკუთრებული პათოსით უყვარს წერაც და ლაპარაკიც. მაგრამ ჯერ, სლისარენკოს მოკლე ბიოგრაფია, თვითონ სლისარენკოს გადმოცემით:

თედორე სლისარენკო არის 25 წლის. მან უკვე მოასწრო კომკავშირში ყოფნა, რომლის წევრიც იყო 1922 წლიდან 1925 წლამდი. კომკავშირიდან სლისარენკო გამორიცხეს 2.300 მანეთის გაფლანგვისათვის, რის შემდეგ სათანადო ორგანოებმა გაასამართლეს და მიუსაჯეს ერთი წლით იზოლიაცია, ხოლო შემდეგ ორი წლის განმავლობაში უფლების აყრა. ეს ამბავი მოხდა უკრაინაში 1925 წლის ივნისში. მას შემდეგ, დიდხანს არ გაუვლია, რომ სლისარენკო უკრაინიდან, ანუ უკეთ აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილ შახტის მაღაროებიდან, სადაც ის მუშაობდა, ჩნდება ბაქოში. აქედან ის ერთ ხანს თბილისის სტუმარიც არის და შემდეგ სამოღვაწეოთ მიემგზავრება სოხუმში.

აქ, მიუხედავად იმისა, რომ ის სასამართლოს განაჩენით უფლება აყრილი იყო ორი წლის ვადით, რომელიც ჯერ კიდევ არ გასულიყო, სლისარენკო მოეწყო მოჯამაგირეთ აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში. ასე მოგვითხრობს თვითონ სლისარენკო საკუთარ ბიოგრაფიას. თუ როგორია მისი ნამდვილი წარსული, ეს ჯერ კარგათ კიდევ არავინ იცის.

და აი, სრულიად უცნობი სლისარენკო, რომელიც მოეწყო მოჯამაგირეთ ერთ-ერთ სოფელში, ყველაზე საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს. ის ნაკითხი და განვითარებული ახალგაზრდა მოჯამაგირეა, ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში, აქტიურად მუშაობს საზოგადოებრივ ასპარეზზე, სწერს კორესპონდენციებს გაზეთებში. ასეთი ახალგაზრდები არც თუ ისე ხშირი მოვლენაა მოჯამაგირეებში. ამიტომ სლისარენკო სულ მალე დაწინაურდა. მას ირჩევენ სამი სოფლის მოჯამაგირეთა მუშკომის თავმჯდომარედ. მაგრამ სლისარენკო ამით არ კმაყოფილდება, ის უფრო დიდი მოწოდების კაცია, ის ეძებს გზას ამაღლებისა და განდიდებისათვის პირადი ანგარების მიზნით. და აი, იწყება ისტორიაც, რომელსაც სლისარენკო თავის წერილობით ჩვენებაში დაახლოებით ასე ურცხვად მოგვითხრობს:

მე მინდოდა რაიმე საშუალებებით მეპოვნა გზა კარგი ცხოვრებისაკენ. მინდოდა მოსკოვის ჟურნალისტების ინსტიტუტში მოხვედრა. ვცდილობდი სახელის მოხვეჭას ხელისუფლების თვალში, ამიტომ გადავწყვიტე, რომ მომეწყო ჩემზე, როგორც გლეხკორზე, თავდასხმის სიმულიაცია. ეს აზრი გავუზიარე ჩემს დაახლოებულ ამხანაგ კაშჩეევს. მან აღმითქვა დახმარება. დასახულ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო რევოლვერი, მაგრამ, რაკი რევოლვერი ჩვენ არ გვქონდა, მე მივეცი სამი მანეთი კაშჩეევს და დავავალე ეყიდნა მას დანა. დავალება შესრულებულ იქნა. კაშჩეევმა იყიდა დანა და საგანგებოთ გალესა ის. 29 ივნისს, როცა მე ღამის 12 საათზე კინოდან ვბრუნდებოდი, კაშჩეევი პირობის თანახმად, დამიხვდა ახალ გაგრასა და სოფელ კოლხიდას შორის სახერხ ქარხანასთან, ყოფილ თავად ემუხვარის სახლის მახლობლად და იქ მოხდა შემდეგი: კაშჩეევმა ამოიღო დანა რომელსაც შუამდე, ტარს ქვემოთ, გაზეთი შემოახვია. მე ვურჩიე გაზეთისათვის თავი დაენებებია, რადგან ის ზედმეტ ნივთიერ საბუთად გადაიქცეოდა ბოროტმოქმედის ძებნის დროს. ამის შემდეგ კაშჩეევმა მომიარა ზურგიდან, დამადო დანა წვერით მარცხენა ბეჭის ძირში. მე კი მქონდა ნათქვამი, რომ ბეჭის ზემო ნაწილში დაერტყა, ალბათ შეეშალა.

სანამ დანას დააწვებოდა, კაშჩეევმა გადამკოცნა და მითხრა: „აბა, ბიჭო, გამაგრდი, იცოდე ყვირილი არ დაიწყო"-ო. ამაზე მე ვუპასუხე: შენ არხეინად იყავი მეთქი.

ამის შემდეგ კაშჩეევმა აამუშავა იარაღი და, როცა საქმე მზად იყო, თავის გზას გაუდგა. „გლეხკორმა" სლისარენკომ კი, მორთო ღრიალი დაჭრილ დათვივით და მთელი კუთხე ფეხზე დააყენა. ასტყდა განგაში მაგრამ თავდამსხმელი ვერსად ნახეს..

ჯერ-ჯერობით, სანამ აფხაზეთის უზენაესი სასამართლო გაარჩევს „გლეხკორ" სლისარენკოს საქმეს, ისტორია ამით თავდება. მაგრამ ჩვენთვის საქმე უკვე ისედაც გამორკვეულია.

რას მოწმობს სლისარენკოს საქმე? პირველყოვლისა ის განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ მოხერხებულმა გაიძვერამ, გაქნილ შანტაჟისტმა ავტორიტეტის მოსახვეჭად და ხელისუფლების გულის მოგებისათვის იარაღად სწორედ გლეხკორის სახელი გამოიყენა და ის არც მოტყუებულა. მან იცის როგორ აფასებს მუშა და გლეხ კორესპონდენტს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება და მან სწორედ აქ სცადა ბედი. სლისარენკოს მზგავსი ხორცმეტები ვერ შეარყევენ პარტიისა და ხელისუფლების ნდობას მუშა და გლეხ კორესპონდენტისადმი. მათ მომავალშიაც განსაკუთრებულ მზრუნველობას და მფარველობას გავუწევთ ჩვენ. მაგრამ ამასთან ერთად უნდა ვეცადოთ, რომ სლისარენკოს მზგავსი მიტმასნილ ელემენტებს ადგილი არ ექნეს მუშგლეხკორთა რიგებში. ეს არის ის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიტანოთ ჩვენ ახალ გაგრის რაიონში მომხდარ ამბიდან.

ისტორია გადმოგვცემს, რომ ძველ საბერძნეთში განდიდების მანიით შეპყრობილ ბერძენმა ჰეროსტრატემ დასწვა დიანას საუცხოვო ტაძარი, რომ ამით უკვდავეყო თავისი სახელი შთამომავლობისათვის. თედორე სლისარენკომ, შეიძლება ითქვას, თავის ორიგინალური გამოგონებით უკვდავჰყო საკუთარი სახელი ჩვენს მუშა და გლეხ კორესპონდენტთა შორის, მაგრამ ეს უკვდავება მუდამ მოცული იქნება გაიძვერაობის, პოლიტიკურ შანტაჟისტობის „შარავანდედით", რომელსაც საფუძვლად უდევს პირადი ანგარება.

სლისარენკო მუშა და გლეხ კორესპონდენტის მახინჯი ტიპის ნიმუშად დარჩება მშრომელ კორესპონდენტების მოძრაობაში.

კვესი.

ქრონიკა

ამხ. ფ. მახარაძის და ი. ვარძიელის დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

შვებულებიდან დაბრუნდა საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. ი. ვარძიელი და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

გერმანელთა კოლონიების შესწავლა ამიერ-კავკასიაში

თბილისში ჩამოვიდა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დასავლეთის და აღმოსავლეთის ლიტერატურის და ენების შემსწავლელი ინსტიტუტის პროფესორი ვ. მ. ჟირმუნსკი.

პროფ. ჟირმუნსკი, ინსტიტუტის დავალებით, ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაკებთან პოგორელსკაიასთან და სოკოლსკაიასთან ერთად აგროვებდა დიალექტოლოგიის და ეტნოგრაფიის მასალებს ყირიმის და ამიერ-კავკასიის გერმანელთა კოლონიებში.

ა. ქ. ცაკის სამძიმარი

გუშინ ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ალამალი-ოღლიმ დაღესტანის რესპუბლიკის ცაკის სახელზე გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელთა სახელით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დაღესტანის რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. ახუნდოვის გარდაცვალების გამო.

ამხ. ახუნდოვის სახით დაღესტანის რესპუბლიკის მუშებმა და გლეხებმა დაკარგეს ერთი-ერთი საუკეთესო ხელმძღვანელი, მუშაკი და მებრძოლი, კულტურულ რევოლიუციისა და მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნისათვის. ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები იზიარებენ დაღესტანის მშრომელების მწუხარებას და დარწმუნებული არიან, რომ ამხ. ახუნდოვის სიკვდილი კიდევ უფრო შეამჭიდროვებს დაღესტანის რესპუბლიკის მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელებს კულტურულ რევოლიუციისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნისათვის ბრძოლაში".

ტრამვაი ქუთაისში

სახალხო მეურ. უმაღლესი საბჭო ამჟამად აწარმოებს გამოკვლევას და გეგმის შედგენას ქუთაისში—ქუთაისი-გუმბრი-წყალტუბოს მიმართულებით ტრამვაის გასაყვანად. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის სამაზრო ალმასკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს ტრამვაის ხაზი ქალაქის ცენტრიდან რკინის გზის სადგურამდე სამრეწველო რაიონებში გავლით.

საექსკურსიო-ტურისტულ ბიუროში

7 სექტემბერს თბილისში გაიხსნება საქართველოს პოლიტგანის საექსკურსიო-ტურისტულ ბიუროს რ. ს. ფ. ს. რ-ის გაერთიანებულ ბიუროს, აჭარისტანის და აფხაზეთის საექსკურსიო ბიუროების მუშაკთა თათბირი. თათბირზე მოსმენილი იქნება მოხსენებები განვლილ საექსკურსიო სეზონის შედეგების შესახებ და აგრეთვე განხილული იქნება პერსპექტიული მუშაობის გეგმები შემდეგი წლებისათვის.

საექსკურსიო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გარდა თათბირზე მოწვეულნი არიან ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

თბილისის ალმასკომში

◆ **მელიორაცია.** საგეგმო კომისიას დაევალა წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ერთად შეადგინოს თბილისის მაზრის მელიორაციის გეგმა.

ლუდის ქარხანა. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება შეუდგა ლუდის ახალ ქარხნის აგებას.

განათლების კომისარიატში

◆ **ლენინის სახელობის პოლიტექ.** ინსტიტუტთან არსებული რუსული და სომხური მუშფაკები გაერთიანდა. გაერთიანებულ მუშფაკის დეკანად დაინიშნა ამხ. პისეცკი, სასწავლო ნაწილის გამგეთ—თუმანოვი.

◆ **ახალი სკოლა.** განათლების კომისარიატის ცნობით კახათში (ზუგდიდის მაზრა) შენდება სკოლის ახალი შენობა.

სხვადასხვა

◆ **საზოგადო სამუშაოებს** მოსაწყობათ ბათომის ალმასკომმა გადასდო 30.000 მ.

◆ **ექსკურსია.** 8 სექტემბერს ბათომში გაემგზავრება კავშირების შერეული მასიური ექსკურსია.

ბეკონის ქარხანა. ზუგდიდში განზრახულია მიმდინარე წელს დაიწყოს ბეკონის ქარხნის აგება.

◆ **ახალი ხიდი.** მდინარე ყვირილაზე ხიდის ასაგებათ ქუთაისის ალმასკომმა მთავრობადან გამოითხოვა 150.000 მ.

◆ **პურის საცხობი ქარხანა.** მუშკოოპი თბილისში შეუდგა პურის საცხობი ქარხნის აგებას.

◆ **საექსკურსიო ბაზების დახურვა.** 1 სექტემბრიდან გარდა თბილისისა და ბათომისა, დაიხურა პოლიტგანათლების მთავარმმართველობის ყველა საექსკურსიო ბაზები.

◆ **საბინაო მშენებლობა.** გორის ალმასკომმა ხაშურის საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად კომბანკიდან გამოითხოვა 60.000 მანეთი.

— **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ალ. **წერეთელის** წიგნი „ძველი აღმოსავლეთი" და **ვსევოლოდ კაპანაძის**—„პედოლოგიის შესავალი".

ხელოვნების ქრონიკა

ვ. ვერესაევის და გ. იაკულოვის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ მწერალი ვ. ვ. ვერესაევი და ცნობილი მხატვარი **გიორგი იაკულოვი.**

მუსიკალური აღზრდის სისტემა

სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობა სასწრაფოდ შეუდგა, დღემდე არსებულ მუსიკალურ აღზრდის საერთო სისტემის გადამუშავებას.

გამომუშავებული იქნება გეგმები, პროგრამები და უფლებები ყველა ტიპის მუსიკალურ სასწავლებლებისათვის.

აღნიშნულ სამუშაოების შესასრულებლათ საქ. განათლების სახალხო კომისარიატის, ხელოვნების განყოფილებამ ცოტა ხნით შეაჩერა გამოცდების წარმოება ყველა ტიპის მუსიკალურ სასწავლებლებში გარდა სახ. კონსერვატორიისა.

◆ **მოძრავი თეატრის** მოსაწყობათ გორის სამაზრო ალმასკომმა გადასდო 20.000 მანეთი.

◆ **ხელოვნების მუშაკთა კავშირის** კულტ-ფონდის გასაძლიერებლად 10 სექტემბერს „ეუკეი კლუბში" გაიმართება დიდი მხატვრული საღამო.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დღეს ბერდიაევის ხელმძღვანელობით გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ **ყიხარევას გასტროლი.** საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება ყიხარევას გასტროლი.

◆ **ტრამვაის მუშათა კლუბში** დღეს რუსულ დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „რელსები გუგუნებენ".

შემთხვევები

მკვლელობა

სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ სოფ. მარგანეთის (თბილისის მაზრა) მცხოვრებმა გორგი ჩოლოგაურმა კეტის დარტყმით მოჰკლა ხეთისო ხოჯაშვილი. ჩოლოგაური დაპატიმრებულია. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა აგრეთვე მოკლულის ძმა ნიკო ხოჯაშვილი. გამოძიება გრძელდება.

ქურდობა

გაქურდეს არშაკ ბაბოვის ბინა (სასამართლოს ქ. № 46); მოპარულია 3.000 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა. ანა აფიევას ბინიდან მოიპარეს 130 მანეთის ნივთები—მატო გაორგაძეს სადგურში მოპარეს 150 მანეთის ტანისცმელი. გარდა ამისა. 4 სექტემბერს, ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის ოთხი შემთხვევა. დაპატიმრებულია ორი ქურდი.

ტრამვაის ახალი ვაგონები

ამ დღეებში თბილისის ტრამვაის დირექციამ მოსკოვიდან მიიღო 8 ახალი ტრამვაის ვაგონი.

თავის კონსტრუქციით ეს ვაგონები განსხვავდებიან, ამჟამათ თბილისში მომუშავე ტრამვაის ვაგონებისაგან.

ახალი ვაგონები სავსებით დახურულია ოთხივე მხრიდან, ზაფხულში კი შეიძლება ჩარჩოების აწევა.

ვაგონის მოძრაობის დროს ოთხივე კარი დახურულია, ასე რომ მგზავრებს გაჩერებამდე გადმოხტომა არ შეუძლიათ, სანამ თვით ვატმანი არ გააღებს კარებს.

აღნიშნული ვაგონები მომარაგებულია საფოსტო ყუთებით.

ტრამვაის დირექციის ცნობებით მომავალ წლის იანვრისათვის მიღებული იქნება 46 ახალი ვაგონი.

ტრამვაის ახალი ვაგონები თბილისისათვის მზადდება მოსკოვში, მიტიშჩევის ქარხანაში.

თბილისის ტრამვაის სახელოსნოები ამჟამათ, აწარმოებენ ძველ ვაგონების გადაკეთებას ახალ სისტემაზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

პროფკავშირის წევრებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის შესახებ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. ჩხარტიშვილის და ხუციევის მოხსენება, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დღემდე მუშური განათლების დარგში არ არსებობდა ერთიანი ქსელი. მომავალ სასწავლო წლიდან განზრახულია შემოღებულ იქნეს მთლიანი ფორმა მუშურ განათლების დარგში, იმ მიზნით, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების კურსდამთავრებულებს საშუალება მიეცეთ მეცადინეობა გააგრძელონ მცირემცოდნეთა სკოლებში, მაღალ ტიპის სკოლებში და მუშათა უნივერსიტეტებში. განზრახულია აგრეთვე სამოსწავლო ვადის გაგრძელება სალიკვიდაციო სკოლებში. მეცადინეობა სალიკვიდაციო სკოლებში ნაცვლად 4 თვისა, გაგრძელდება 6 თვეს. მომავალ სასწავლო წლიდან გაიხსნება ახალი სპეციალური სალიკვიდაციო პუნქტები სასოფლო-სამეურნეო დარგის მუშებისათვის.

გარდა ამისა, თბილისში გაიხსნება 100 სალიკვიდაციო სკოლა, 38 მცირემცოდნეთა სკოლა, 3 მაღალი ტიპის სკოლა, 1 მუშათა უნივერსიტეტი, 12 სკოლა მოზრდილთათვის, 7 სკოლა ნაციონალურ უმცირესობათათვის და 5 სკოლა კლუბებთან.

მაზრებში განზრახულია წელსავე გაიხსნას 180 წ.-კ. უცოდინარობის სკოლა, 40 მცირემცოდნეთა სკოლა, ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ 14 სკოლა, მოზრდილთათვის—20 სკოლა და კურსები სასოფლო-სამეურნეო განხრით, სადაც სხვადასხვა სპეციალურ საგნებთან ერთად (მესაქონლეობა, მემინდვრეობა) მსმენელები გაივლიან საერთო ხასიათის საგნებსაც.

მოხსენებების მოსმენის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა, გაფართოვდეს სალიკვიდაციო და მაღალი ტიპის სკოლების ქსელი ქალაქ თბილისში, ხოლო მაზრებში—მოჯამაგირეთა სკოლებისა და კურსების რიცხვი.

ახალი სკოლების გახსნა წარმოებული იქნება იმ ვარაუდით, რომ უახლოეს 5 წლის განმავლობაში სრულიად იქნეს მოსპობილი წერა-კითხვის უცოდინარობა პროფკავშირის წევრებს შორის; დაევალოს სათანადო კავშირების ც. გამგეობებს თავიანთ წევრებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე მოაწესრიგონ პოლიტგანათლების ორგანიზაციებთან შეთანხმებით. პრეზიდიუმის დადგენილებით ლიკპუნქტები უნდა მოეწყოს მსხვილ წარმოებებთან და კავშირის ხაზით.

იმ სამაზრო პროფბიუროების გამგეობებს, რომლებსაც არა აქვს საშუალება გახსნან დამოუკიდებლად ლიკსკოლები, ნება მიეცეთ მეზობელ სამპროფბიუროებთან ერთად გახსნან სკოლები.

მუშათა განათლების ყველა სკოლებში სამოსწავლო წელიწადი უნდა დაიწყოს 1 ოქტომბრიდან.

დაევალოს ს. პ. ქ. ქ. კულტგანყოფილებას გადასინჯოს არსებული ხელშეკრულება პოლიტგანათლების მთავარ მმართველობასთან და ახალი ხელშეკრულებები დაუგზავნონ ადგილებს, სახელმძღვანელოდ.

კავშირების წევრების გაგზავნა სკოლებში უნდა სწარმოებდეს ფაბქარხკომების საშუალებით, ხოლო უმუშევრებისა კი ც. გ. გამგეობისა და სამპროფბიუროს მიერ.

სასამართლო

ცდილობდა „განმარტოებას"

— „ვცდილობდი მუდამ განმარტოებით ყოფნას და ვფიქრობდი გამწვავებულ მდგომარეობაზე"...

მკითხველი, ალბად, ფიქრობს, რომ ამას ლაპარაკობს რომელიმე რომანტიკოსი, მეოცნებე რომელსაც ცალი ფეხი მიწაზე უდგია და მეორე კი ცის კამარაზე აქვს მიბჯენილი.

არა. ამას ლაპარაკობს საზოგადოება „საქართველოს ღვინო"-ს კომერციული აგენტი **დიმიტრი ირაკლისძე შარაშიძე.**

რამ მიიყვანა ასეთ სასოწარკვეთილებამდე შარაშიძე? დიმიტრი შარაშიძე, რომელსაც ყოველთვის მომღიმარს და ხალისიანს ხედავდნენ, როცა ის ფულის ასაკრეფად მიდიოდა დაწესებულებებში, დღეს მარტოობას ნატრობს და ღრმა ფიქრებს მისცემია.

..."ძნელი არის მარტოობა სულისა"... ძნელი არის გაცლოცება ფულისა...

ეს მეორე სტრიქონი თუ არ მივაწერეთ ბარათაშვილს, შარაშიძის „ტრაღედიას" ვერ გავიგებთ.

უსათუოდ მძიმეა შარაშიძის მდგომარეობა.

მშვენიერ პირობებში დაიწყო მან მუშაობა საქართველოს ღვინის გასავრცელებლად ათი დღის მუშაობით შარაშიძემ უკვე შტატში ამოჰყო თავი. მას დაუნიშნეს კარგა მოზრდილი ჯამაგირი და პროცენტები საერთო ბრუნვიდან.

თუ რამდენად დასაფასებელია შარაშიძის „ღვაწლი", გაიგებთ მისივე სიტყვებიდან, რომელიც მან თავისი ხელით შეიტანა ოქმში დაკითხვის დროს.

...„სანამ მე დავიწყებდი მუშაობას, „საქართველოს ღვინო"-ს ბრუნვა მუშკოოპთან 7000 მანეთს არ აღემატებოდა... თავგამოდებული მუშაობით ორიოდე თვის განმავლობაში ეს ბრუნვა ავიყვანე 14.000-დე. გავიდა რამდენიმე ხანი და 40.000 მანეთს გასცილდა ბრუნვა...

...„ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება გამგეობამ და მოინდომა ჩემი ამაგის უფრო მეტად დაფასება. მანამდი მეძლეოდა მეოთხედი პროცენტი საერთო ბრუნვიდან. გამგეობამ დაადგინა მომცემოდა ამიერიდან ნახევარი პროცენტი"...

ასე კარგად მიდიოდა კომერციულ აგენტის საქმე. უდიდესი ნდობა მოიხვეჭა გამგეობის თვალში.

მაგრამ „კაზინომ" უკუღმა შეატრიალა ჩარხი. „იგი ჩაება უნებლიეთ ბანქოს თამაშში".

„შეაცდინა ამხანაგმა" და წააგებია კაზინოში ფული".

ერთხელ წაგებულს მეორე დღეს უნდოდა ამოგება. მივიდა მეორე დღეს და კიდევ დასტოვა ორი იმდენი.

როგორც იქნა ერთხელ მოიგო 50 მანეთი და ამით წახალისებულს აღარ შეუწყვეტია კაზინოში სიარული. დადიოდა და აგებდა ყოველდღე.

როდის ეძებდა მარტოობას ჩვენი „რაინდი"? მაშინ როდესაც წაგებული თანხა 3000 მანეთს გასცილდა და არსად იყო ერთი „კონის" ჩასადები ფულიც.

უეცარმა რევიზიამ კიდევ უფრო მეტ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო შარაშიძე, რომელსაც მისცეს „განმარტოებით" ყოფნის საშუალება გამსახლში.

შარაშიძეს გაასამართლებს თბილისის სამაზრო სასამართლო. საქმე გაირჩევა 20 სექტემბერს.

—:—

ღირსეულად დაჯილდოვებული „გასტროლიორი"

ალექსი გრუმბახი ალბად გახსოვთ. ცნობილი აფერისტია, რომელიც დაძრწოდა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში და თან დაათრევდა ჩემოდანს, გავსებულს ყალბი ბეჭდებით, ბლანკებით და შტამპებით.

უმაღლესი განათლება აქვს მიღებული გრუმბახს. მაგრამ, როგორც ფუფუნებაში აღზრდილი, თავს არ იცხელებს ცხოვრებისათვის და „ხელის მოწერით და სათანადო ბეჭდის დასმით" იოლად გააქვს თავი.

გრუმბახს შეუძლია დღეს წარმოსდგეს თქვენს წინაშე, როგორც რომელიმე რესპუბლიკის სახალხო კომისარი, ხვალ მას ნახავთ პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარეთ, ზეგ ტეხნიკუმის სამეურნეო ნაწილის გამგეთ და სხვ. მრავალფეროვანია მისი თანამდებობა, სანამ ხელში აქვს მის მიერ გაკეთებული ყალბი ბეჭდები და შტამპი.

ასეთი მანდატებით აღჭურვილი გრუმბახი დადიოდა სხვადასხვა ქალაქებში და ატყუებდა სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებებს. გაჰქონდა სხვადასხვა საქონელი მაღაზიებიდან და ჰყიდდა.

უკანასკნელად თბილისში ჩამოვიდა გრუმბახი საგასტროლოდ. სამოქმედო შტაბად გრუმბახმა გაიხადა **ვლადიმერ და მიხეილ ჰანტურიების ბინა.**

ჰანტურიებიც თავის მხრივ ხელს უწყობდნენ გრუმბახს და ასე მზადდებოდა ამ მთავარ შტაბში ყალბი საბუთები.

ვერ იხეირა გრუმბახმა თბილისში. მასაც ეწია „ცნობილი" სმოლსკის ბედი.

ყალბი საბუთით გრუმბახმა ერთ დღეს მოინდომა მუშკოოპის მაღაზიიდან საქონლის გატანა.

გრუმბახი ჩავარდა მთელი თავის შტაბით.

აფერისტი გრუმბახი და მისი დამხმარე ჰანტურიები გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ.

ალექსი გრუმბახს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, უფლებების აყრა სამი წლის ვადით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ სამუდამოდ გადასახლება ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან.

მიხეილ და ვლადიმერ ჰანტურიებს, როგორც ხელის შემწყობთ, მიესაჯათ თითო წლით თავისუფლების აღკვეთა.

გერ.

თეთრი პური

გუშინ დილიდან დაიწყო თეთრი პურის გამოცხობა.

მაგრამ ტეხნიკურ მიზეზების გამო პირველ დღეს შეუძლებელი შეიქნა თეთრი პურის საკმაო რაოდენობით გამოცხობა, რამაც გამოიწვია რიგები პურის მომწოდებელ პუნქტებთან.

რიგების მოსპობის მიზნით და ქალაქის თეთრი პურით სავსებით დასაკმაყოფილებლად შინა-ვაჭრობის კომისარიატმა მაშინვე გასცა ბრძანება ყველა იმ ორგანიზაციებისადმი, რომლებიც აწარმოებენ პურის გამოცხობის საქმეს, ყოველ მიზეზს გარეშე გამოაცხონ თეთრი პური ქალაქისათვის საჭირო რაოდენობით.

ამასთან ერთად თბილისის ალმასკომთან არსებულ ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებას დაევალა თვალყური ადევნოს პურის წესიერათ გამოცხობის საქმეს და მიიღოს ზომები დამნაშავე პირთა წინააღმდეგ.

რკინისგზელთა პროფკავშირში

თბილისის უბნის ადგილკომების გადარჩევა

რკინის გზელთა პროფკავშირის საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს ადგილკომების გადარჩევის კალენდარული გეგმა. პირველ სექტემბრიდან დაიწყება ხაზის ადგილკომების გადარჩევა, ხოლო 20 სექტემბრიდან თვით ქალაქ თბილისში არსებულ ადგილკომების გადარჩევა. გადარჩევასთან დაკავშირებით განახლებულ იქნება სამქრო ბიუროები და სადელეგატო ინსტიტუტი, ადგილკომებს წინასწარ დაეგზავნა სადირექტივო ინსტრუქცია გადარჩევის შესახებ.

საადმინისტრაციო კურსებზე მივლინება

გზათა სახალხო კომისარიატის საადმინისტრაციო კურსებზე მისავლინებლად საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოყო ოთხი მუშა, სახელდობრ: ოქუაშვილი—დეპოდან, ელიაშვილი, ზეისელი—ნავთსადენიდან და შეკელიოვი—სამოსამსახურო დარგიდან.

90 რკინისგზელთა ოჯახის ჩასახლება

ტრამვაელთა ახლად დამთავრებულ სახლებში 20 პროც. ოთახებისა დაეთმო რკინის გზელებს. საუბნო პროფკავშირმა ამ ოთახებში ჩაასახლა 90 რკინის გზელთა ოჯახი.

თბილისის უბნის ადგილკომების კონფერენცია

ამ დღეებში ჩატარებულ იქნა ხაზის ადგილკომების კონფერენცია, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები:

მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ; ადგილკომების მომავალი გადარჩევის გეგმა; საგზაო ყრილობაზე დელეგატების არჩევა.

პირველი საკითხის შესახებ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ადგილკომებს ავალებს საინფორმაციო მოხსენებების ჩატარებას ადგილებზე, რათა კავშირის ყველა წევრმა შეიძინოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები.

მეორე საკითხის შესახებ კონფერენციამ უცვლელად დაამტკიცა პრეზიდიუმის მიერ გამომუშავებული გეგმა ადგილკომების გადარჩევისა.

დასასრულ, მოხდა არჩევნები სრულიად საკავშირო რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებისა. სულ არჩეულ იქნა 13 კაცი, მათ შორის მსხვილ სადგურების ადგილკომების წარმომადგენლებიც.

რკინის გზებზე

ამხ. პოზდეევის დაბრუნება

ერევნიდან დაბრუნდა ამიერ-კავკასიის რკ. გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პოზდეევი.

ამხ. კაზანცევის ჩამოსვლა

ამ დღეებში ჩინეთიდან ჩამოვიდა, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მოძრავი შემადგენლობის მუხრუჭების მომარაგების ხელმძღვანელი ამხ. ვ. პ. კაზანცევი.

ამხ. კაზანცევი საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატმა მიავლინა ჩინეთში, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზებზე თავისი სისტემის მუხრუჭების შემოსაღებად.

თათბირი სატყეო მასალით მომარაგების შესახებ

ა. წ. 17 სექტემბერს, როსტოვში მოწვეულია თათბირი—ჩრდ. კავკასიის რკინის გზების სატყეო მასალით მომარაგების შესახებ.

ა. კ. რკინის გზების გამგეობა თათბირზე გზავნის თავის წარმომადგენლებს.

ავტო-დრეზინის დამსხვრევა

მძიმეთ დაშავდა ორი კაცი

4 სექტემბერს, რიონსა და ქუთაისს შორის კატასტროფა განიცადა ავტოდრეზინამ, რომელშიაც ისხდენ, სათადარიგო ავენტი ჭუმბურიძე და საგ. სახ. პოლიტ. სამმართველოს აგენტი წერეთელი.

დრეზინა დაეჯახა რკინის გზის ხაზზე გადამავალ ძროხას, გადავარდა ლიანდაგიდან და შემდეგ მთლიანად გადაბრუნდა.

წერეთელმა და ჭუმბურიძემ მიიღეს მძიმე ჭრილობები.

დაშავებულები სასწრაფოდ გადაგზავნეს საავადმყოფოში.

მატარებლები ნაკლებად იგვიანებენ

სახალხო მატარებლის დაგვიანებასთან სისტემატიური ბრძოლის წყალობით, მატარებლების დაგვიანებამ 75 პროცენტით იკლო.

მატარებლების დაგვიანების შემთხვევების საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის, გზების გამგეობამ წინადადება მისცა ადმინისტრაციას გააძლიეროს ამ მიმართულებით წარმოებული ბრძოლა.

მატარებლების მიმოსვლის ცხრილი

მატარებლების გასვლა თბილისიდან

მატ.	№ 1	ლენინგრადში, კვირ.	— 9 ს. 00 წ.
„	№ 1	მოსკოვში, შაბათობით და ოთხშაბათობით	— 9 ს. 00 წ.
„	№ 9	მოსკოვ-ყაზ. ყოვ.-დღე	— 1 ს. 45 წ.
„	№ 10	ბათომში	„ — 8 ს. 35 წ.
„	№ 9	ერევანში	„ — 11 ს. 00 წ.
„	№ 8	ბაქოში	„ — 11 ს. 30 წ.
„	№ 3	ჯულფაში	„ — 6 ს. 00 წ.
„	№ 3	თელავში	„ — 11 ს. 50 წ.
„	№ 4	ბათომში	„ — 8 ს. 00 წ.
„	№ 12	ფოთში	„ — 7 ს. 00 წ.
„	№ 14	ბათომში	„ — 5 ს. 45 წ.
„	№ 13	თელავში	„ — 8 ს. 05 წ.
„	№ 20	ბორჯომში	„ — 2 ს. 45 წ.
„	№ 24	გორში შაბათობით და უქმე დღეების წინ	— 1 ს. 40 წ.

თბილისში მოსვლა

მატ.	№ 2	ლენინგრად., პარასკ.	— 5 ს. 30 წ.
„	№ 2	მოსკოვიდან, ხუთშაბათობით და ორშაბ.	— 5 ს. 30 წ.
„	№ 10	მოსკოვ-ყაზ. ყოვ.-დღე	— 4 ს. 00 წ.
„	№ 9	ბათომიდან	„ — 7 ს. 10 წ.
„	№ 10	ერევნიდან	„ — 6 ს. 00 წ.
„	№ 4	ბაქოდან	„ — 7 ს. 00 წ.
„	№ 4	ჯულფიდან	„ — 11 ს. 45 წ.
„	№ 4	თელავიდან	„ — 5 ს. 00 წ.
„	№ 3	ბათომიდან	„ 10 ს. 30 წ.
„	№ 11	ფოთიდან	„ — 8 ს. 40 წ.
„	№ 13	ბათომიდან	„ — 5 ს. 35 წ.
„	№ 14	თელავიდან	„ — 4 ს. 45 წ.
„	№ 12	ბორჯომიდან	„ — 6 ს. 40 წ.
„	№ 25	გორიდან კვირაობით და უქმე დღეებში	— 8 ს. 05 წ.

მატარებლების მიმოსვლის საათები ნაჩვენებია მოსკოვის დროით, რომელიც ადგილობრივს ერთი საათით ჩამორჩება.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტრონის გემი

ამერიკაში წყალში ჩაუშვეს სამგზავრო საოკეანო გემი—„კალიფორნია", რომელსაც შეგვიძლია სრულის საბუთით უწოდოთ ნამდვილი ელექტრონის გემი. ამ გემზე ყველაფერი დაწყებული ხრახნილებიდან და გათავებული კომპასის დასადგმელ მოწყობილობით, ელექტრონის საშუალებით მოჰყავთ მოძრაობაში.

ელექტრონი ათბობს მგზავრების ოთახებს, ხარშავს საჭმელს, რეცხს, ანათებს გემს, სწევს და ტრიუმში უშვებს ტვირთს, ელექტრონის ავტომატები კატასტროფის დროს საშველ ნავებს უშვებენ ზღვაში, ელექტრონის ჩოთქები სწმენდენ გემის პალუბას და საყვირიც კი ელექტრონის საშუალებით მუშაობს.

ცურვის ხელოვნება ძველ ეგვიპტეში

ცნობილი ამერიკელი არქეოლოგი პროფ. **დონლეპი** ამ რამდენიმე ხნის წინედ გამოვიდა საინტერესო ცნობით ცურვის ხელოვნების შესახებ ძველ ეგვიპტეში. ძველ ეგვიპტელების სურათებმა და მოზაიკებმა დაარწმუნეს ამერიკელი მკვლევარი, რომ ეგვიპტელებმა იცოდნენ ცურვის თანამედროვე სტილი, ე. წ. „კროლი", რომელიც ცურვის უმაღლეს მიღწევად ითვლება. ცურვის ეს სტილი ევროპიელებმა მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს, ამრიგად, ამერიკელი პროფესორის აზრით, ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომელსაც კაცობრიობის კულტურის ისტორიკოსები ხშირად ხვდებიან. რომელიმე მიღწევის დავიწყებასთან და ამ მიღწევის ხელახლა „აღმოჩენასთან" შემდეგ თაობების მიერ.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 6 სექტემბერი

გადაცემა რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის რადიო-სტუდიიდან.

პარასკევი, 7 სექტემბერი

პარასკევს, 7 სექტემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

საუბარი მუშკორთა საერთაშორისო კავშირზე—ქართულ ენაზე.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—სომხ. ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

როგორ მიმდინარეობს თვითკრიტიკა—თურქულ ენაზე.

ფეხმძიმეობის ჰიგიენა—თურქულ ენაზე.

გაზეთი ოსურ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

8 სექტემბრის პროგრამის გადაცემა.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 6 აგვისტოს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ნინო ლობადა, ასმიკ იპატიანი, სირანუშ მატინიანი, ოგანეს ოგანესიანი, მიხეილ კოგანი, სვიმონ კასპაროვი, ფედოსია კალანდაძე, ბიკანუშ სანოსიანი, ვასილ ბუაჩიძე, მარტიროს აბრამოვი, სერაფიონ მხითარიანი, აბრამ სალმინი, შაბათა იაკობაშვილი, მისაკ საკიანი, სისაკ შახბაზიანი, სურენ ტონოიანცი გერასიმე მარგოშვილი, გაბო ზაალიშვილი, ლუკა ბარამიძე, იური ერმოლაევი, სერგო დავიდოვი, ზაქარია სორინი, ტიმოთე კოპაძე, გიორგი გველესიანი, ხარლამპ ჩამუროვი, გიორგი ბარამიძე, გიორგი კერესელიძე, სერაფიონ ჩილინძე, ლავრენტი დოთვაძე, ლეო შენგელია.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ილია ბოჭორიშვილი, ელისაბედ ლომიძე, მიხეილ ჟუჟუნაძე, ბორის სტიუარტი, სტეფანე ბაბაევი, გენადი გაჩეჩილაძე, დავით ბისტარაშვილი, ისაკ აბესალომოვი, ამბაკო შავგულიძე, არსენ მაქაცარია, თამარ ხურუმოვა, იულია არგუთინსკაია, ზინაიდა მირმანოვა, ანიკო მამიკონიანი, ნადეჟდა გაბაშვილი, ალექსანდრე გედევანიშვილი, ვალენტინა ციგანკოვა, ფარიე ნერსესოვა, ვლადიმერ ადამია, ზოია სპირიდონოვა, საიდ უსტიევი, არმენაკ ბალასიანი, ხაჩატურ დრამპოიანი, ლევ კარლინსკი, დარია აბრამიშვილი, კაპიტონ ახვლედიანი, პარმენ ტორონჯაძე, ილარიონ დვალიშვილი, ნიკოლოზ კობიძე, ბორის კორინთელი, ივანე ისაკაძე, სტეფანე ხაბარევი, ნინო ციტურაძე, პეტრე არმანიშვილი, იოსებ ხავთასი, ვლადიმერ ხმიადაშვილი, მიხეილ ჭელიძე, ალექსი ჯაბუა, კონტრიძე, ოსებ უმიკაშვილი, ოლღა ლეოვსკაია, კორტიუკოვა, ბაგრატ ესიანცი და კვირიკაშვილი.

მედსექციიდან: პეტრე ავალიშვილი, ცაგარეიშვილი, თამარ რობაქიძე, შალვა სხირტლაძე.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოსი

იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადასახადისა, ბაჟისა და გამოსაღების ხარჯების გადახდევინება

გადასახადთა გადახდევინების დებულების (სსრკ. კან. კრ. 1925 წ. № 70, მუხ. 518 და 1926 წ. № 2. მუხ. 10) 17 და 18 მუხლის თანახმად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წლის ნოემბრის 12-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (საქართველოს სსრ. კან. კრ. 1926 წ. № 6, მუხ. 133) შესაცვლელად, რომელი დადგენილებაც შეეხება სხვადასხვაგვარი ქონებისათვის ისეთი რაოდენობის დაწესებას, რაზედაც, გადასახადთა გადახდევინების დებულების მე-17 მუხლის თანახმად, არ შეიძლება გადასახდელი მიიქცეს, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემოაღნიშნული ნუსხა იმ ქონებისა, რომელზედაც არ შეიძლება მიიქცეს გადასახადისა, ბაჟისა და გამოსაღების ნარჩენის გადახდევინება.

ნუსხა

იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რ ცეულ იქნეს გადასახადისა, ბაჟისა და გამოსაღების ნარჩენის გადახდევინება

I. ხელთქონებული თანხა, მენარჩენეს მიერ მესამე პირთაგან (მათ შორის დაწესებულებათა და ორგანიზაციათაგან) მისაღები თანხა და აგრეთვე ის თანხა, რომელიც ირიცხება მენარჩენეს მიმდინარე ანგარიშზე საკრედიტო დაწესებულებაში ან შეტანილია ანაბარად—სულ ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა მუშა მოსამსახურეთათვის სამუშაო ხელფასის მისაცემად ვასული დროისათვის და წინდაწინ ორი კვირისათვის და აგრეთვე სოციალური დაზღვევის შენატანისა და ალიმენტების გადასახდელად იმავე დროისათვის.

II. ყველა სახისა და საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციისა, საურთიერთო და სასოფლო - სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა და შრომითი არტელის წევრის საპაიო შენატანი და აგრეთვე საპასუხისმგებლო შრომის არტელის წევრის პაი.

III. თანხა, რაც მენარჩენეს ერგება სავალდებულო საგადანაკვეთო და არასაგადანაკვეთო დაზღვევით.

IV. თანხა, რაც მენარჩენეს მიეცემა სოციალური დაზღვევის წესით, აგრეთვე გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების მიერ დახმარების ან სესხის სახით მიცემული თანხა და ის თანხა, რასაც სასოფლო - სამეურნეო კრედიტის დაწესებულება მისცემს სესხად ხელმოკლე გლეხურ მეურნეობას წარმოებითი მიზნისათვის.

V. სახელმწიფო ქონება, რის გასხვისება და დაგირავება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ შეუძლიან იმ ორგანოს, რომელიც ამ ქონებას განაგებს.

VI. სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს შენობა და აგრეთვე ის ქონება, რაც სახელმწიფო საწარმოს ძირითადი კაპიტალის შედგენილობაში შედის.

VII. ნედლეულობა და სათბობი მასალა, რაც საჭიროა საწარმოს ფაქტიური მუშაობისათვის სამი თვის განმავლობაში.

VIII. საწარმოო იარაღი, ინსტრუმენტები, სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც საჭიროა როგორც თვით მენარჩენის, ისე მის რჩენაზე მყოფი მისი ოჯახის წევრის ხელობისა, შინა - მრეწველობისა და პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის: 1) საწარმოო იარაღი და ინსტრუმენტები, რაც საჭიროა მენარჩენეთა იმ კატეგორიების ხელობისა ან შინამრეწველობისათვის, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინიჭებული აქვთ საგადასახადო შეღავათები, სახელდობრ: ხუროს და დურგლისათვის — დაზგა, შალაშინი, ცული, ხელის ხერხი და ბირდაბირი, რანდა, ხვეწი, ჩაქუჩი, სატეხი და სხვ.; მეწაღისათვის —ჩაქუჩი, სადგისი, ფეხსაცმელის დანა, გადასაჭიმი გაზი, კალაპოტი, არა უმეტეს ხუთი წყვილისა, კავი, არა უმეტეს ერთი წყვილისა და სხვ.; მჭედლისათვის — ქურა, საბერველი, გრდემლი, ჩაქუჩი, გაზი, ჰოპასანი და სხვ.; მეწაღე - გამომჭრელისათვის — გამოსაჭრელი მანქანა, მაკრატელი, ფეხსაცმელის დანა და სხვ.; მლესავისათვის — სალესავი დაზგა; პარიკმახერისათვის — სარკე, სამართებ., მაკრატელი, თმის საკრეჭი მანქანა, საპარსავი ხელსაწყო და სხვ.; ზეინკალისათვის — საზეინკლო დაზგა, ჩაქუჩი, გაზი, საკავშირებელი ლამპა, ქლიბი, მუხრუჭი, პრტყელტუჩა და სხვ.; მეშუშისათვის — ალმასი და ხვეწი; შინ მომუშავე ფეიქრისათვის — საფეიქრო დაზგა; ტრიკოტაჟის მქსოველისათვის საქსოვი მანქანა, ნართის ამოსახვევი დაზგა, ჩხირები და სხვ.; მკერავისა და მკერავი ქალისათვის— საკერავი მანქანა, მაკრატელი და სხვ.; და აგრეთვე სხვა საგნები, რაც კი საჭიროა ზემოხსენებული და სხვაგვარი ხელობისა და რეწვისათვის. 2) საწარმოო იარაღი, ინსტრუმენტები, სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც საჭიროა პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის, სახელდობრ: სამეცნიერო და სამედიცინო დარგის მომუშავეთათვის — სახელმძღვანელოები, წიგნები და ინსტრუმენტები, რაც შეეფერება თვითეული მათგანის მუშაობის ხასიათსა და სპეციალობას და საჭიროა მისთვის; კბილის ტეხნიკოსისათვის—კბილის ტეხნიკური ინსტრუმენტები; მუსიკოსისა და მომღერლისათვის — ნოტები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვ.; მხატვრისათვის — პალიტრა, ფუნჯები, მოლბერტი და სხვ.; მხაზავისათვის — დაფა, სახაზავი, საფარგლე და სხვ.; და აგრეთვე ზემოხსენებულ და სხვაგვარი პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის საჭირო სხვა საგნები.

შენიშვნა: ამა (VIII) მუხლში აღნიშნული საგნები არ ჩამოერთმევა ამავე კატეგორიების იმ პირთ (ზეინკალს, დურგალს, მონტიორს, ექიმს, მუსიკოსს, მხაზავს და სხვ.), რომელნიც მსახურობენ ან დაქირავებით მუშაობენ და აგრეთვე მოსწავლეთ.

IX. მენარჩენისა და მის რჩენაზე მყოფი პირისათვის საჭირო საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი, თეთრეული, ფეხსაცმელი და ოჯახში სახმარებელი სხვა ნივთები: 1) საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი სულზე ერთი საზაფხულო ან საშემოდგომო პალტო (ან ნაბადი, ზიპუნი, პოდიოვკა და სხვ.), ერთი საზამთრო პალტო (ან ჯუბა, ქურქი, ტყაპუჭი და სხვ.), ერთი ხელი საზამთრო კოსტუმი (ქალისათვის—ორი საზამთრო კაბა), ერთი საზაფხულო კოსტუმი (ქალისათვის—ორი საზაფხულო კაბა), ერთი ყაბალახი, ერთი ფურაჟკა (შლაპა) და ერთი ქუდი, ხოლო ქალისათვის, ამას გარდა, ორი საზაფხულო თავსახვევი და ერთი თბილი მოსახვევი (ან შალი); 2) თეთრეული არა უმეტეს სამი წყვილისა სულზე; 3) ერთი წყვილი ტყავისა და ერთი ნაბდის ფეხსაცმელი სულზე; 4) ოჯახში სახმარებელი სხვა საჭირო ნივთები: ა) სულზე—ერთი სასადილო (თეფში, ჩანგალი, დანა და კოვზი) და ერთი საჩაიე (ჭიქა ან ფინჯანი და ლამბაქი), ხელსაწყო, ერთი სკამი (ტაბურეტი), ერთი ხელი ლოგინი (ლეიბი, ბალიში; ორი ზეწარი, ორი ბალიშის პირი; ერთი საბანი), ერთი საწოლი, ორი პირსახოცი; ბ) თვითეულ ოჯახზე—სამოვარი (ჩაიდანი ან თუჯის რამ ჭურჭელი, წყალის ასადუღებლად), პრიმუსი ან კეროსინკა), ლამპა; სასადილო მაგიდა; ორი სუფრა; ორი ჩაის ტილო, ორი ჭურჭლის ტილო, ორი ვედრო; ერთი სკივრი (ან მისი მაგიერი სხვა რამ ტანისამოსის შესანახად), სამზარეულოსათვის აუცილებლად საჭირო ხელსაწყო (ქვაბები, თუჯის ჭურჭელი, ქვაბსაჭერი; ჩეკი; ვარცლი და სხვ.).

შენიშვნა. არ შეიძლება აგრეთვე ისეთი ქონების ჩამორთმევა, აღნიშნული ნორმების ფარგლებში, რაც ეკუთვნის გლეხის კომლის დროებით წასულ წევრს, რომელიც აღრიცხულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების დროს.

X. სათბობი მასალა და პროდუქტები, რაც საჭიროა მენარჩენის ოჯახის წევრებისათვის და მასთან მცხოვრები ყველა იმ პირისათვის, ვინც მის რჩენაზე იმყოფება: 1) სათბობი მასალა იმდენი, რამდენიც საჭიროა მენარჩენის ოჯახისათვის საჭმელის მოსახარშავად და მისი ბინის გასათბობად სამი თვის განმავლობაში. 2) სურსათ-სანოვაგე იმდენი, რამდენიც საჭიროა გამოსაკვებად სამი თვის განმავლობაში. შემდეგი ანგარიშით თვითეულ სულზე თვეში ფქვილი 18 კილგ. (ან 21 კილგ. მარცვლეული), კარტოფილი 16 კილგ., ბურღული 2 კილგ. ზეთი 1 ნახ. კილგ. (2 კილგ. კაკალი ან ზეთის ხილის თესლი) და 4 კილგ. ლობიო, ცერცვი და სხვა ბოსტნეულობა.

შენიშვნა. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამღებლებისათვის სანოვაგე გამოიანგარიშება აღნიშნული ნორმების ფარგალში იმ რაოდენობით, რაც საჭირო იქნება ახალ მოსავლამდე.

XI. სასოფლო-სამეურნეო სულიერი და უსულო ინვენტარი და აგრეთვე საქონლის საკვები:

1. სასოფლო- სამეურნეო სულიერი ინვენტარი: ა) თვითეულ მეურნეობაზე—ერთი ძროხა, ერთი ცხენი (ან ერთი აქლემი, თუ ჯორი, ან ერთი უღელი ხარი; ან და სათანადო რაოდენობის სხვა მუშა-საქონელი), ერთი მოზარდი მუშა-საქონელი სამ წლისაზე არა მეტი ხნის და 1 ხბო 1 ნახ. წლამდე. ბ) ბუღები, უკეთუ მათ საზოგადო ნახირისათვის იყენებენ.

შენიშვნა. წმინდა სამესაქონლო მეურნეობისათვის დაწესდება შემდეგი რაოდენობა ოთხფეხი საქონლისა, რომლებზედაც გადახდევინება არ მიქცევა: ა) უკეთუ მეურნეობაში სამ მჭამელზე მეტი არ არის—შვიდი სული რქოსანი საქონელი, ხოლო თუ მჭამელთა რიცხვი სამზე მეტია, თვითეულ მეურნეობაზე— [illegible] მსხვილფეხა საქონელი ან სათანადო რაოდენობის სხვა საქონელი; ამასთანავე ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან საქონელს უთანაბრება ერთი ცხენი, ერთი ჯორი, ერთი აქლემი, ორი ვირი ან ექვსი სული წვრილფეხა საქონელი (ცხვარი და თხა), ბ) მთლად მოზარდი თხა და ცხვარი (ბატკანი და ციკანი).

2. საქონლის საკვები იმდენი, რამდენიც საჭიროა საკვების ახალ მოსავლამდე, შემდეგი ანგარიშით თვეში: ა) ძროხისათვის 420 კილგ. თივა, ბ) წვრილფეხა რქოსანი საქონლისათვის—48 კილგ. თივა, გ) ხარისათვის—480 კილგ. თივა, დ) ხბოსათვის—208 კილგ. თივა, ე) ცხენისათვის—240 კილგ. თივა და 136 კილგ. შვრია ან სიმინდი. 3) კვიცისათვის —80 კილგ.; თივა და 20 კილგ. შვრია ან სიმინდი.

შენიშვნა. თივის ნაცვლად შეიძლება იყოს სათანადო რაოდენობის ბზე და ჩალა ფქვილისა და ქატოს ან სათანადო რაოდენობის კონცენტრირებული საკვების არევით.

3. სასოფლო-სამეურნეო უსულო ინვენტარი: ა) გლეხის თვითეულ მეურნეობაზე—ერთი სახნისი, ერთი გუთანი, ერთი ფარცხი, ერთი ურემი, ერთი მარხილი; ცხენის მოკაზმულობა და წვრილი ინვენტარი საჭირო რაოდენობით (ნამგალი, ცელი, ცული, ფოცხი, ორთითა; ნიჩაბი და სხვ.); ბ) ნადირობისა, თევზაობისა და სხვაგვარი რეწვისათვის საჭირო იარაღი ისეთ მეურნეობაში, სადაც ასეთი რეწვა შემოსავლის ძირითადი წყაროა.

XII. საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, რაც სოფლის მეურნეობის განუყოფელ კუთვნილებას შეადგენს და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისაგან უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით მიღებული და შენობების ასაგებად დანიშნული ხე-ტყე.

XIII. მოუწეველი მოსავალი, გარდა იმ სამრეწველო ხასიათის ბოსტნისა, ბაღისა, ვენახისა, თამბაქოს პლანტაციისა და ბაღჩის მოსავლისა, რაც შრომითი კომუნას და კოოპერატიულ ორგანიზაციას არ ეკუთვნის.

XIV. თესლეულობა იმდენი, რამდენიც საჭიროა მენარჩენის მიერ დასამუშავებელი მიწის დასათესად მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს, შემდეგი ანგარიშით ფაქტიურად დასათესი მიწის ერთ დესეტინაზე: შვრია, ქერი, საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის ხორბალი, თვითეული—320 კილგ., კარტოფილი—1.600 კილგ. ჭვავი—160 კილგ., უგრეხელი—128 კილგ., ფეტვი—32 კილგ.; სიმინდი—32 კილგ. ცერცვი, ლობიო, მუხუდო და ოსპი, თვითეული 128 კილგ.; კანაფის თესლი—128 კილგ.; მზეუჭვრიტას თესლი—24 კილგ., სელის თესლი—96 კილგ., საკვები ბალახის თესლი—16 კილგ., ბამბის თესლი—64 კილგ., კენაფი—36 კილგ., სოლაფი—48 კილგ.; სოია—64 კილგ. და თამბაქოს თესლი ნახ. კილგ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

პ. მეგრელიშვილი.

1928 წ. მაისის 8.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მიმღები კომისიის თათბირი. სავალდებულოა ქვემოხსენებული ამხანაგების დასწრება:

მილიციის უჯრედიდან: ტატაევი ზურაბ, მეავანაძე ვლადიმერ, ხორავა თეოფილე, თევზაძე კონსტანტინე, ახნაზაროვი ვასილ; გუჩმაზოვა ილია; ცხოვრებოვი გიორგი, კლდიაშვილი დავით, ბეპიევი ილია; ვაჭარაძე ნიკოლოზ. დოლიძე ერმილე; ბერძენიშვილი კონსტანტინე, მსუბუქიშვილი დიმიტრი, ნახარაშვილი კოტე; ლომიძე სეით; ბოჭორიშვილი ირადიონ, ესებუა სპირიდონ, ლეჟავა შალვა; ფერაძე კონსტანტინე; ჯოიევი ირაკლი; ჭიღლაძე აკაკი, ბიბილეიშვილი ბესარიონ, ბარბაქაძე ნიკოლოზ, გელოვანი ილიკო, სხირელი ივანე; სეფერთელაძე დიმიტრი; აროშვილი დიმიტრი; საამოვი არტემ; ხაბურზანია გიორგი; ბარისაშვილი დავით და გორგაძე ალექსანდრე.

ს. გ. უ. ს. უჯრედიდან: ხატისკაცი გიორგი, მატინოვი ივანე (ამიერ-კავკასიის სახვაჭრობის უჯრედიდან), ჭიჭინაძე შ., (საქართველოს ს. გ. უ. ს. უჯრედიდან).

სახვაჭრობის უჯრედიდან: სიმონიანი ივანე.

იზოლიატორის უჯრედიდან: ეროპკინა ანნა, ანდრიას ასული.

ხუთშაბათს. 6 სექტემბერს. 6 საათზე, ალმასკომის შენობაში მოწვეულია საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მორიგი პლენუმი. რაიკომის, სარევიზიო კომისიის წევრებისა და კანდიდატების, უჯრედების მდივნების და ფაბქარხადგლკომების ფრაქციების თავმჯდომარეთა დასწრება პლენუმზე სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე, 26 კომუნარის სახელობის რაიკომის შენობაში მოხდება რაიონის 1927—28 წლის ჰოწვევის დელეგატ-ქალთა გამოშვება.

—:—

ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე ამხ. ბედიას კაბინეტში—საქარ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტში გაიმართება იმ კომისიის სხდომა, რომელიც მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს მუშგლეხკორთა მეოთხე სრ. საკავშირო თათბირისათვის.

ყველა გაზეთების რედაქციების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში გაიმართება „ურწმუნოთა" კავშირის ფრაქციის სხდომა. „ურწმუნოთა" კავშირის და რაისაბჭოების ფრაქციების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქართველოს ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ანნა მიხეილის ასულ ნოდიას ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, 10 საათზე გამოცხადდეს საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 5).

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემულნი: დედა ივდითი; ძმები: იოსებ და ალისტრო; დები: საშიკო, ელენე და ქეთო; ბიძები; ერმილე, იასონ და ესე თავიანთი ცოლშვილით; სიძეები: ალექსანდრე ჩხიკვაძე და აქსენტი კალანდაძე; მამიდები: მარო, ნინა და თეოდორა—თავიანთი ქმრებით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 5 სექტემბერს ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი მე-7-ე ჯგუფის მოწაფე

ჭიჭიკო არსენის-ძე ოსეფაიშვილი

რომლის გამოსვენება მოხდება ქალაქის პირველ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის), ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, შუადღის 1-ლ საათზე. დაკრძალვა მოხდება დაბა ჩოხატაურში შაბათს, 8 სექტემბერს.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	დუგლას ფერბენქსი სურათში	რობინ გუდ
საზაფხულო ეთერი	სეზონის საუკეთესო სურათი	პურგა სურათის ჩვენების დროს უკრავს გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრი 10 კაცის შემადგენლობით
საზაფხულო დარბაზი	საზღვარ-გარეთის ნაწარმოებთა შორის საუკეთესო კომედია	ნეპტუნი
საზაფხულო პალასი	მხატვრული დრამა	მორევი რეჟ. პეტროვ-ბიტოვი
პროლეტარი ავლაბარი	პირლ უაიტი სურათში	ნიუ-იორკის საიდუმლოებანი 1 და 2 სერია ერთად.

0—6

კინო-პალასი კინო-დარბაზი
დღეს და ყოველდღე

მხატვრული დრამა
მორევი
რეჟისორი — პეტროვ-ბიტოვი
ოპერატ. — ვერიგო-დოროვსკი
„სურათი „მორევი"—უძვირფასესი განძია საბჭოთა კინო წარმოებაში".
გაზ. სევერნაია პრავდა"
1928 წ. 11 იან.

საზღვარ-გარეთის ნაწარმოებთა შორის საუკეთესო კომედია
ნეპტუნი
მთ. როლებში:
პაულ გაიდემანი
ერრა ბეგრადი

ნ. 1555

ორჯონიკიძის სახელობის კლუბი
დღეს, 6 სექტემბერს,
სიმფონიური კონცერტი
ვალერი ბერდიაევის ხელმძღვანელობით
პროგრამაში—ვებერი, ჩაიკოვსკი, სენ-სანსი, ლისტი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის.
ბაღში—კინო.
შემდეგი კონცერტი 7 სექტემბერს, მედსანშრომის კლუბში. ნ. 1543 3—3

ქ. ტფილისის სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ჭეიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 8 სექტემბერს, 1928 წ., დღის 2 საათზე, სახლში № 8, დაღესტანის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ბატონკა პეპინიანცის მოძრავ ქონებას: ბუფეტს, გრამოფონს, ფეხის მანქანას, ხალიჩას, სამოვარს, ლიუსტრას და სხ. შეფასებულს 220 მანეთად. მოქ. არღუთინსკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის საბინაო სახალხო სასამართლოსაგან 14 მარტს 1927 წ. თარიღით, № 778, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4060

ქალ. ქუთაისის გარნიზონის უფროსი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 სექტემბერს, მე-3-ე ქ. მ. ლეგიონის შტაბში შესდგება **საჯარო ვაჭრობა** ხორცის, კართოფილის, კომბოსტოს და სხ. მიწოდებებზე ქუთ. გარნიზონის ნაწილებისათვის 1928 წ. 1 ოქტომბ. 1929 წ. 1 ოქტომბრამდე ღირებულება სანოვაგისა. ხორცი (100,000 მან.) ასი ათასი მანეთის დანარჩენი სანოვაგე კი (50 000 მან.) ორმოცდა ათი ათასი მანეთის. სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებები და აგრეთვე კერძო პირები რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში გამოცხადდებიან მე-3-ე ლეგიონის შტაბში (ვოლოდარსკის ქუჩაზე) 10 სექტემბერს, დილის 9 საათზე და სავაჭრო კომისიის სახელზე სწერენ განცხადებებს. თუ ვაჭრობის მონაწილე დებულების თანახმად არ არის განთავისუფლებული გირაოს შეტანისაგან, კონვერტში განცხადებასთან ერთად ათავსებენ გირაოს, რომლის რაოდენობა უნდა უდრიდეს მთელი ღირებულების 10 პროცენტს. გირაო შეინახება ლეგ კასაში. კონვერტების გახსნის შემდეგ გაიხსნება პირადი ვაჭრობა. კონდიციასთან და ხელშეკრულების პროექტთან გაცნობა შეიძლება სავაჭრო კომისიაში 5 სექტემბრიდან ვაჭრობის დაწყებამდე.
ნ. 1543. 2—2

მუსიკის ლექტორი
ამზადებს
ყველა საგნებში შრომის სკოლის ყოველ ჯგუფისთვის და აგრეთვე საზოგადო განათლებისთვის.
ტროცკის ქ. 14, მეორე სართული, ბინა 12. 4045

მიხეილ გედევანიშვილის.
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ყოფილ ტფილისის საბაჟოს ეზოში
ორშაბათს, ა/წ. 10 სექტემბერს, დილის 10 საათისათვის, დანიშნულია
სააუქციო ვაჭრობა
კონფისკაციქმნილი კონტრაბანდა საქონლის გასასყიდად. ვაჭრობაზე მონაწილეობის ნება შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, [illegible] საზოგადოებებს, რომლებშიაც სჭარბობს სახელმ. კაპიტალის მონაწილეობა და პროლეტარული საზოგადოებრივ ორგანიზაციებს; რომელთა წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ სათანადო რწმუნებულება. თუ საქონელი არ [illegible] პირველი აუქციონით მისი
გაყიდვა მოხდება ა/წ. 13 სექტემბერს, დილის 10 საათზე,
ღია საჯარო ვაჭრობით ყველასათვის
იყიდება: ტყავი ლაკი, შალეული მატერიები: ინდიგო, [illegible], შევიოტი №№ 3001 და 3003, ქალის ჩულქები „[illegible]", და აბრეშუმის ჩულქები, ქალების მანტო, ქალების ლაკის ფეხსაცმელი, მამაკაცების მზა კოსტიუმები და პალტოები, საკოსმეტიკო და საგალანტ. საქონელი, შავი ჩაი და სხვა საქონელი სულ 18.000 მან ღირებულ [illegible] საბაჟოს [illegible]. ამიერ-კავკასიის საოლქო სახელმწიფო საბაჟოს სამმართველოსთან არსებული ბაქოს საბაჟოს საკონფისკაციო ნაწილის გამგე ნ. ხომერიკი.
ნ. 1559

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. დ საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.
25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5 7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი —11—78. 25—1

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე
სათვალეების შერჩევა
და
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს და და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, **ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა,** ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

დაეკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 1226, გაცემული ენრის თემის მმაჩის მიერ, კალისტრატე ათანასისძე ბაღდავაძის სახელზე, ჩ. გ. 4058

დაეკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 25618, ელისაბედ დიმიტრის ასული გაბუნიას სახელზე, ჩ. გ 4057

დაეკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ფორმა 4, გრიგოლ ნესტორის-ძე თავართქილაძის სახელზე, ჩ. გ. 4059

დაეკარგა: პირადობის მოწმობა, საანგარიშო წიგნაკი № 135, კავშირის წიგნაკი № 9023, ოლია ფარნაოზის ასული წულაიას სახელზე ჩ. გ. 4062

დაეკარგა: მთლიან მუშათა კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 19514, ალექსანდრე ივანეს-ძე ფრუიძის სახელზე, ჩ. გ. 4061

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.